

**პაატა ტურავა
მანია კოვალეიშვილი
კოჭა ყალიჩავა
ირმა ხარშილაძე**

**კაზუსის ამოხსნის მეთოდის
ადმინისტრაციულ სამართალში
თანდართული კაზუსის ნიმუშით**



**თბილისი, 2020
გამომცემლობა „იურისტების საგმარო“**

ნიგნი გამოიცა საერთაშორისო სამართლებრივი
თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ)
ფინანსური მხარდაჭერით.

Dieses Buch wurde mit finanzieller Unterstützung der Deutschen
Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V.
(IRZ) verlegt.



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171

ტელ.: (+995 032) 238 35 99; (+995) 557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978 – 9941- 9698-9-8

სარჩევი

კაზუსის ამოხსნის მეთოდика.....	9
I. შესავალი.....	9
II. ორი სტილის შესახებ.....	12
III. ფაბულის ანალიზი	16
IV. კაზუსის სამართლებრივი გადაწყვეტა.....	26
V. წერილობითი დასკვნის შედგენა.....	29
VI. კაზუსის ამოხსნის სტრუქტურა.....	35
VII. ადმინისტრაციული სამართალწარმოება.....	36
VIII. ადმინისტრაციული სამართალწარმოების სტადიები.....	39
IX. კაზუსის ამოხსნის მეთოდი კონსტიტუციურ სამართალში.....	46
პირველი კაზუსი.....	58
I. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა.....	59
II. სარჩელის სათანადო სახე.....	60
III. დავის გადაწყვეტის პერსპექტივა.....	64
IV. საბოლოო დასკვნა.....	74
მეორე კაზუსი.....	75
I. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა.....	75
II. უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალება (სარჩელის სათანადო სახე).....	77
III. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.....	80
IV. შემაჯამებელი დასკვნა.....	83
მესამე კაზუსი.....	84
I. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დადგენა.....	85
II. სადავო ბრძანების კანონიერება.....	89
III. მატერიალური კანონიერება.....	92
IV. შემაჯამებელი დასკვნა.....	95
მეოთხე კაზუსი.....	96
I. ადმინისტრაციული ორგანო.....	97
II. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.....	97
III. ორმხრივი ნება.....	99
IV. შედეგი.....	99

მეხუთე კაზუსი.....	100
I. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა.....	101
II. სარჩელის სახე.....	102
III. დავის გადანაცვების პერსპექტივა.....	105
IV. სარჩელის დასაბუთებულობა.....	106
V. საბოლოო დასკვნა.....	113
მეექვსე კაზუსი.....	114
I. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა.....	114
II. სარჩელის სახე	116
III. მავალდებულებელი სარჩელი.....	116
IV. აღიარებითი სარჩელი.....	116
V. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე.....	122
VI. საბოლოო დასკვნა.....	127

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელალსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

იურიდიული სამუშაო მეთოდოლოგია, როგორც იურისტის უმნიშვნელოვანესი იარაღი უკვე მრავალი წელია წარმოადგემს თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს. ამრიგად, წინამდებარე სახელმძღვანელო მოიცავს სწორედ კანონის პრაქტიკულ შემთხვევებზე გამოყენების და მორგების მეთოდოლოგიის განხილვას ადმინისტრაციულ სამართალში. სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული მეთოდოლოგიის არსსა და მიზანზე, ასევე განმარტებულია იურიდიულ დასკვნასა და გადაწყვეტილებას შორის არსებული სისიტემური განსხვავება. ძირითადი აქცენტი დასმულია პრაქტიკულ მითითებებზე იურიდიული კაზუსის დამუშავებისას - რომელშიც ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საწყის ეტაპზე კაზუსის დამუშავება, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული და განმარტებული სამართლის ნორმა, ან როგორ უნდა მოხდეს იურიდიული პრობლემის ირგვლივ არსებული და-

პირისპირების სწორად წარმოდგენა და გადაწყვეტა. ამასთან, მოცემულია ადმინისტრაციული სამართლისთვის სპეციფიური სტრუქტურული სქემა. უპირველეს ყოვლისა კი სახელმძღვანელო შეიცავს მთელ რიგ კაზუსებს მაგალითის სახით და მათ ამოხსნებს, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სწავლებისას მოხდეს მათი ერთობლივი განხილვა და გააზრება.

ეს სახელმძღვანელო არის ძალიან მნიშვნელოვანი და ინტენსიური მუშაობის შედეგი. ვიმედოვნებთ, რომ ის ფართოდ იქნება გამოყენებული და დაარწმუნებს ქართველ იურისტებს კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის საჭიროებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოში იურიდიული განათლების გაუმჯობესებას.

Vorwort

Das vorliegende Buch wurde durch die finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahre 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Diese Entwicklungsprozesse zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats stets im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

Die juristische Arbeitsmethodik als wichtigstes Handwerkszeug des Juristen ist dabei seit Jahren ein Schwerpunkt der Zusammenarbeit. Das vorliegende Handbuch stellt die Methodik der schrittweisen Anwendung abstrakter Normen auf einen konkreten Lebenssachverhalt im Bereich des Verwaltungsrechts vor. Das Werk enthält zunächst eine kurze allgemeine Einführung zu Sinn und Zweck einer solchen Methode und erläutert den systematischen Unterschied zwischen der Abfassung eines Gutachtens im Vergleich zu einem Urteil. Der Schwerpunkt besteht sodann in praktischen Hilfestellungen für die Bearbeitung von juristischen Fällen – etwa in dem es erklärt, wie man am besten an einen Sachverhalt herangeht, wie man eine Rechtsnorm anwendet und auslegt und wie man den Meinungsstreit zu einem juristischen Problem korrekt darstellt und entscheidet. Daneben gibt es Prüfungsraster im Verwaltungsrecht. Vor allem aber enthält es eine Reihe von Fallbeispielen mit Musterlösungen, die in Lehrveranstaltungen gemeinsam erarbeitet und nachvollzogen werden können. Diese Fallbeispiele waren bereits Gegenstand von intensiven Fallbesprechungen unter den beteiligten Wissenschaftlern im

Austausch mit dem deutschen Experten.

Dieses Buch ist das Ergebnis eines besonders wichtigen und intensiven Projekts. Alle Beteiligten erhoffen und wünschen sich, dass es unter georgischen Juristen umfassende Verwendung findet und vor allem von der Notwendigkeit einer Falllösungsmethode überzeugt und damit zur Verbesserung der juristischen Ausbildung in Georgien beiträgt.

კაზუსის ამოხსნის მეთოდика

I. შესავალი

ადმინისტრაციული სამართალი სტუდენტების მიერ ხშირად მიჩნეულია განსაკუთრებულად რთულ სფეროდ, ვინაიდან იგი კაზუსის ამოხსნისას სტუდენტისაგან მოითხოვს „მრავალდამენსიონალურ აზროვნებას“. ხშირ შემთხვევაში, ზოგად ადმინისტრაციულ სამართალთან ერთად საჭიროა ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმების გამოყენება (იმისდა მიხედვით, თუ რომელ დარგს ეხება განსახილველი საკითხი – საპოლიციო, სამშენებლო თუ გარემოს დაცვის სამართალს და ა.შ.). ხშირად მმართველობითი ღონისძიება ხორციელდება კერძო სამართლის ინსტიტუტების გამოყენებით. ამასთანავე, უნდა შემოწმდეს მმართველობითი ღონისძიების კონსტიტუციის ნორმასთან შესაბამისობა. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალში ადგილი აქვს სამართლის რამოდენიმე დარგის ნორმების ერთობლივად გამოყენებას.

ადმინისტრაციული სამართლის მიმართ სტუდენტების მხრიდან თავშეკავებული დამოკიდებულება გადაჭარბებულია. ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სფეროების სიმრავლის და მათვის დამახასიათებელი სპეციფიკური პრობლემების დაძლევისათვის არსებითია, რომ სტუდენტს შეეძლოს იურიდიული ლოგიკური სისტემური აზროვნება და სტრუქტურირებული მსჯელობა, რომელიც მას ყოველ მის წინაშე დასმული პრობლემის გადაჭრაში დაეხმარება.

იურიდიული განათლების რეფორმა გულისხმობს სწავლების და ცოდნის შეფასების ახალი სისტემის დანერგვას. საუნივერსიტეტო იურიდიული განათლების მიზანია იურისტები აღჭურვოს იმ ცოდნით, რომელიც მათ მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში სჭირდებათ. უმაღლესი განათლების შემდგომი პრაქტიკული საქმიანობიდან მიღებული გამოცდილება და პრაქტიკოსი იურისტებისათვის ჩატარებული სემინარები და ტრენინგები ვერ შეცვლის საუნივერსიტეტო სწავლების როლს კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

პრაქტიკოსი იურისტის ამოცანაა კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტებისა და შემთხვევებისთვის სამართლებრივი პასუხის მოძებნა, ანუ მათი შეფასება კანონის ნორმის საფუძველზე. იურისტს უნდა შეეძლოს არა კანონის ნორმების ზეპირად გადმოცემა არამედ მისი გამოყენება.

თანამედროვე იურიდიული განათლების სფეროში ცოდნით შეფასება ემყარება „კაზუსის ამოხსნას“. კაზუსის ამოხსნაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი არ უნდა იქნას გაგებული, როგორც „უბრალოდ“ ცოდნის შეფასების ინსტრუმენტი. მისი ძირითადი ფუნქციაა იურისტის პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადება - მან უნდა ისწავლოს სქემატური, სტრუქტურირებული აზროვნება და შემდგომი პრაქტიკული კურსის და პროფესიული საქმიანობის ფარგლებში კაზუსის ამოხსნის შესწავლილი მეთოდის გამოყენება. საუნივერსიტეტო სემესტრული გამოცდის საკითხში (კაზუსში) დასმული პრობლემა იმისათვის არის გამიზნული, რომ სტუდენტს გააცნოს ის ცხოვრებისეული სიტუაციები, რომლის წინაშეც ის დადგება შემდგომ პრაქტიკულ საქმიანობაში და გამომუშავოს მას მისი გადაჭრის უნარ-ჩვევები.¹

ცხოვრებისეული შემთხვევების სამართლებრივი ამოხსნის მეთოდების შესწავლა ხდება მოდელირებული შემთხვევების გამოყენებით, რომელიც იწოდება „კაზუსად“. აღნიშნული ტერმინის გვერდით ასევე ვიყენებთ ორ ტერმინს - „კაზუსის ფაქტობრივი გარემოებები“ (იდენტურია ტერმინი - „ფაბულა“) და „სამართლის ნორმის ფაქტობრივი ელემენტები“.

კაზუსის ამოხსნის მეთოდის დეტალურ განხილვამდე აუცილებელია შეგვექმნას ზოგადი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ ხდება იურიდიული დასკვნის შედგენა. საქმე გვაქვს სამართლის ზოგადი ნორმების კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით გამოყენებასთან. იმისათვის რომ შევძლოთ სამართლის ნორმის აბსტრაქტული ფაქტობრივი ელემენტების დაკავშირება კონკრეტული სამართლებრივი კაზუსის ფაქტობრივ გარემოებებ-

1 Bringewat, Peter, Fallbearbeitung mit Aufbau- und Prüfungsschemata aus dem Zivil-, Strafrecht und öffentlichen Recht, str. 2,3.

ბთან, ვიყენებთ ლოგიკური დასკვნის მეთოდს – სილოგიზმს.²

სილოგიზმი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც პროცესი სადაც ხდება ორი თეზისის ერთი საერთო ცნების გამოყენებით დაკავშირება და მესამე თეზისის დასკვნის სახით გამოყვანა.³

მოვიყვანოთ იურიდიულ ლიტერატურაში⁴ არაერთგზის გამოყენებული კლასიკური მაგალითი:

პასუხი უნდა გავცეთ შეკითხვას:

არის თუ არა სოკრატე მოკვდავი?

პასუხის მისაღებად, პირველ რიგში, ვაყალიბებთ ზოგად თეზისს:

ყველა ადამიანი მოკვდავია.

მეორე თეზის სახით ვასკვნით:

სოკრატე ადამიანია.

ორი თეზისის შემაკავშირებელი ცნების „ადამიანი“ გამოყენების შედეგად მესამე თეზა გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას:

სოკრატე მოკვდავია.

წინამდებარე წიგნში განხილულია საჯარო-სამართლებრივი კაზუსების განხილვის მეთოდი. მისი მნიშვნელობის გააზრებისათვის აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილების მეთოდთან მიმართების ცოდნა.

გადაწყვეტილების მიღების ფორმები განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის მისი ავტორი და რა მიზნით ხდება საქმის/კაზუსის დამუშავება. **იურიდიული დასკვნის სტილს** ახასიათებს თავდაპირველად ფაბულის სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებული ჰიპოთეზის, ვარაუდის ჩამოყალიბება და შემდგომში მისი დასაბუთება (კლასიკური იურიდიული „სამხმომოვანება“: თეზა - ნორმის დისპოზიციის იმ ელემენტების დეფინიცია, რომელიც სანყის თეზასთან კავშირშია და - ფაქტობრივი გარე-

2 იხ. სანდრა ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გვ. 46 -47

3 Schimmel, Roland, Juristische Klausuren und Hausarbeiten Richtig Formulieren, gv. 3

4 Schimmel, Roland, Juristische Klausuren und Hausarbeiten Richtig Formulieren, gv. 3. aseve, sandra იხ. სანდრა ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გვ. 46.

მოებების სუბსუმცია (შეფარდება, მისადაგება) ნორმის დისპოზიციის ელემენტების ქვეშ). იურიდიული დასკვნის ბოლოს დგას დასკვნა, რომლის მიხედვითაც ან დასტურდება ან არ დასტურდება დასაწყისში წარმოდგენილი ვარაუდი. აღნიშნულისაგან უნდა განვასხვავოთ **გადაწყვეტილების სტილი**, რომელიც დამახასიათებელია ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისათვის. აქ, უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილია სამართლებრივი შეფასების შედეგი და მხოლოდ მას შემდეგ არის გადმოცემული ფაბულა (დარგობრივი ტერმინი: „ფაქტობრივი გარემოებები“, რომლებიც არ უნდა აგვერიოს ნორმის დისპოზიციის ფაქტობრივ ელემენტებში) და დასაბუთება.

ამრიგად, იურიდიული დასკვნისა და გადაწყვეტილების სტილი ერთმანეთისაგან განსხვავდენა მეთოდით, რომელსაც მივყავართ შედეგამდე.

II. ორი სტილის შესახებ

1. გადაწყვეტილების სტილი

სასამართლო გადაწყვეტილება შედგება შესავლის, აღწერილობითი (ფაქტობრივი გარემოებები), სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

შესავალი – გადაწყვეტილების ამ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, მისი გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი.

აღწერილობითი ნაწილი (ფაქტობრივი გარემოებები) – გადაწყვეტილების ამ ნაწილში აღინიშნება: სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი; გარემოებები, რომლებსაც ემყარება სარჩელი; მტკიცებულებები, რომლებიც წარმოადგინა მოპასუხემ თავისი შესაგებლის დასადასტურებლად.

სამოტივაციო ნაწილში წარმოდგენილია სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი და მტკიცებულებანი, რომელთაც

ეყრდნობა სასამართლოს დასკვნები, ასევე დასახელებული მოსაზრებანი, რომელთა საფუძველზეც სასამართლო უარს ამბობს გარკვეული მტკიცებულებების მიღებაზე, და ასევე მითითებულია ნორმები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას _ სასამართლოს დასკვნას.

როგორ მიდის მოსამართლე თავის გადაწყვეტილებამდე და მისი დასაბუთების ძირითად არგუმენტებამდე? ნებისმიერ გადაწყვეტილებას წინ უნდა უსწრებდეს სტრუქტურირებული, კანონსა და სამართალზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ადვოკატების ამოცანაც არის სარჩელის წარდგენამდე მეთოდურად დაამუშავონ საქმე, რათა, ერთი მხრივ, თავიანთ კლიენტს სწორად დაანახონ წარმატების პერსპექტივა და, მეორე მხრივ, სათანადოდ მოამზადონ სასარჩელო განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია. როგორც სამართალწარმოების ორგანოს (წარმომადგენელს), ადვოკატს ევალება ურჩიოს თავის კლიენტს სარჩელის აღძვრისაგან თავის შეკავება, თუკი მისი საქმე სრულიად უპერსპექტივოა.⁵

გადაწყვეტილების მიღების პროცესის შემადგენელი ნაწილია კაზუსის იურიდიული დამუშავება. კაზუსის დამუშავების მეთოდის გამოყენებით მიღებული დასკვნები წარმოადგენს პრაქტიკოსი იურისტის გადაწყვეტილების საფუძველს, რამდენადაც ის მოიცავს ამ გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის საჭირო არგუმენტაციას.

კაზუსის იურიდიული დამუშავება არ არის მხოლოდ საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში გამოყენებული მეთოდი, არამედ ის წარმოადგენს პრაქტიკულ საქმიანობაში კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების წინა სამუშაო ეტაპს, რის გამოც მას უკავია ცენტრალური ადგილი იურისტის ყოველდღიურ საქმიანობაში.

5 იხ. სანდრა ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა, გვ. 25.

2. იურიდიული დასკვნის სტილი

საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში განმსაზღვრელია არა შედეგი, არამედ „გზა შედეგისკენ“, რამდენადაც ხშირად დასაბუთება გვაძლევს განსხვავებულ, მაგრამ მისაღებ შედეგს. აქედან გამომდინარე, საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში კაზუსის ამოხსნისას არ გამოიყენება გადაწყვეტილების სტილი. მაგ., მოქალაქესა და ადმინისტრაციული ორგანოს დავაში, სადაც მოთხოვნა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, სასამართლო განიხილავს საკითხს, შეუძლია თუ არა მოქალაქეს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება 10000 ლარის ოდენობით. სასამართლოს პასუხი ამ კითხვაზე არის სწორედ მისი გადაწყვეტილების საფუძველი, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება.

კაზუსის დამუშავების მეთოდი გვაძლევს შესაძლებლობას, სტრუქტურირებულად

დავამუშავოთ და გადავწყვიტოთ კაზუსი. ამით იგი ქმნის ყველანაირ პირობას მეთოდურად გამართული (კორექტული) შედეგის მისაღწევად. მეთოდის გამოყენება ასევე უზრუნველყოფს, რომ შედეგი დასაბუთებული იქნება საქმისათვის არსებითი და არა კონტექსტს მონყვეტილი გარემოებებითა და არგუმენტებით. იგი პრაქტიკულად აიძულებს კაზუსის განმხილველს პრობლემის გადაჭრისას იხელმძღვანელოს და გაიაზროს მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი არგუმენტები და ასევე საკუთარი წვლილი შეაქვს სამართლის სტაბილურობაში მისი მომხმარებლების, ანუ მოქალაქეებისთვის, ვინაიდან (იუსტიციის) მთელ სისტემაში გამოიყენება სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტა-გადაჭრის ერთიანი მიდგომა, ერთი მეთოდი.

მეთოდი არის პრობლემის გადაჭრის პრაქტიკული და მეცნიერული დამუშავების პროცესი. ადმინისტრაციული სამართლის მეთოდიკა გულისხმობს, სამართლის ნორმის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესს. სამართლის ნორმების გამოყენება ემსახურება სამართლის სისტემის ძირითადი ღირებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვასა და თითოეულ ცაკლეულ

შემთხვევაზე მის მისადაგებას.⁶

ამათუიმ პრობლემის დამუშავება უნდა მოხდეს სისტემურად, ეტაპობრივად და სტრუქტურირებულად. კაზუსის დამუშავების მეთოდი, ბუნებრივია, ვერ ახდენს ცოდნის დეფიციტის კომპენსაციას. კაზუსის მეთოდური ამოხსნისათვის აუცილებელია ორი რამ: მეთოდის გამოყენების (ცალკეული საფეხურები, პუნქტები) და მატერიალურ-სამართლებრივი პრობლემების სრულყოფილი ცოდნა. მეთოდი მხოლოდ პასუხს გვაძლევს კითხვაზე „როგორ უნდასა ამოიხსნას პრობლემა/კაზუსი“, ხოლო მატერიალური სამართალი პასუხობს კითხვაზე „რა საფუძვლის გამოყენებით და რა შედეგით უნდა გადაიჭრას პრობლემა, ამოიხსნას კაზუსი“.

კაზუსის იურიდიული დამუშავების ამოსავალი წერტილია კონკრეტული შეკითხვა – **კაზუსის საკვანძო კითხვა**. კაზუსის იურიდიული დამუშავების საგანი არის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგალითად, აქვს თუ არა მოქალაქეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება?

კაზუსის საკვანძო კითხვას პასუხი უნდა გაეცეს სისტემურად, სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით, კანონის, სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის საფუძველზე⁷ (ამასთან, პრაქტიკა და ლიტერატურა გამოიყენება კანონის განმარტებისთვის).

იურიდიული დასკვნის სტილი	გადაწყვეტილების სტილი
ჰიპოთეტური შედეგების შედგენა	გადაწყვეტილების წარმოდგენა
სავარაუდო სამართლებრივი საფუძვლისა და ფაქტობრივი ელემენტების დასახელება	გადაწყვეტილებისათვის არსებითი სამართლის ნორმისა და არსებითი საფუძვლის დასახელება
სუბსუმცია	წინაპირობების დასახელება
საბოლოო შედეგების დადგენა	დასაბუთება, თუ რატომ არის სახეზე ნორმის ფაქტობრივი ელემენტები (სუბსუმციის გადმოცემა)

6 შარლოტე შულცე, ნიკოლინე შმიც-იუსტენი, პაატა ტურავა, თანავტორები: ანა კაპანაძე, თამარ ზოდელავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, სახელმძღვანელო პედაგოგებისთვის, გვ. 14

7 იხ. სანდრა ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გვ. 26.

კაზუსის დამუშავება იყოფა სამ, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ ეტაპად. ესენია:

- I. კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) ანალიზი,
- II. კაზუსის სამართლებრივი გადაწყვეტა,
- III. წერილობითი დასკვნის შედგენა.

III. ფაბულის ანალიზი

კაზუსის ამოხსნის ხარისხი დამოკიდებულია საკვანძო კითხვის (საკვანძო კითხვა არის სამართლებრივი დასკვნის წარმმართველი) და გადასაჭრელი პრობლემის სწორად გაგებაზე. კაზუსის საფუძვლიანი და უშეცდომო ამოხსნისათვის საჭიროა დასმული ამოცანის გულმოდგინედ დამუშავება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნათელი გახდება, თუ რა მოხდა რეალობაში და რა სურთ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს, არის შესაძლებელი პრობლემების იდენტიფიცირება და მუშაობისას სწორი აქცენტების გაკეთება.

სტუდენტებისათვის შეთავაზებული კაზუსების სტრუქტურა შესაძლებელია პირობითად დაგყოს სამ ნაწილად:

- კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) აღწერა,
- კაზუსის საკვანძო კითხვა და
- მითითებები სტუდენტებისთვის.

ფაბულა გადმოგვცემს კონკრეტულ შემთხვევას, საიდანაც განვითარდა კონკრეტული სადავო სამართლებრივი ურთიერთობა. კერძოდ: რა მოხდა, როდის, სად, როგორ და ვინ არიან მონაწილეები. კაზუსის ფაბულა შესაძლოა იყოს ერთ ან რამდენიმე ეპიზოდური.

კაზუსის საკვანძო კითხვა არის შეკითხვა, რომლითაც სრულდება კაზუსის ფაბულის გადმოცემა, ანუ რომელიც უშუალოდ მოსდევს ფაბულას და განსაზღვრავს კაზუსის დამუშავების მიზანსა და მოცულობას.

მითითება სტუდენტებისათვის მეტწილად ემსახურება კაზუსის დამუშავების მოცულობის შეზღუდვას. მაგ., მითითება, რომ

შემომდეს სარჩელის დასაბუთებულობა გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს მხოლოდ დასაბუთებულობის შემომნება და არ უნდა ვისაუბროთ დასაშვებობაზე. მითითება რომ უნდა შევამოწმოთ მატერიალური კანონიერება გულისხმობს, რომ უნდა შევამოწმოთ მხოლოდ მატერიალური კანონიერება და არ უნდა ვისაუბროთ ფორმალურ კანონიერებაზე და ა.შ.

1. კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) ანალიზი

განსახილველი კაზუსის ფაბულისთან მიმართებით ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში გამოყენებული კაზუსები და რეალური შემთხვევები. სტუდენტი კაზუსის აღწერილობით ნაწილს ეცნობა როგორც უდავო ფაქტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენილ გარემოებებს მიიჩნევს მოცემულად და არ აქცევს ყურადღებას მათ დამტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშულისაგან განსხვავებით, პრაქტიკოს იურისტს ყოველდღიურ საქმიანობაში კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მხარეთა განმარტებების ან/და საქმის მასალების საფუძველზე თვითონ უწევს მისი შინაარსის დამუშავება (ე.წ. „რელაციის მეთოდი“, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს უპირისპირდება/შეეფარდება დავის მონაწილეების მხოლოდ სამართლებრივად არსებითი არგუმენტები და შემომნება მიმდინარეობს იმ კუთხით, რამდენად ამყარებს/ასაბუთებს მხარის არგუმენტი თავისავე მოთხოვნას).

1.1. კაზუსის მრავალჯერ და ყურადღებით წაკითხვა

კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების გააზრებისათვის მნიშვნელოვანია მისი ყურადღებით წაკითხვა. კაზუსის ფარგლებში გადმოცემული შემთხვევა და დასმული პრობლემა ასახავს რეალური ცხოვრების ერთ კონკრეტულ ფრაგმენტს. მეორეს მხრივ, ის მისი ავტორის ხელში არის ინსტრუმენტი დავალების შინაარსის და მოცულობის განსაზღვრისათვის. ამდენად, ის წარმოადგენს არა მარტო უბრალოდ შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების აღწრას, არამედ არის ლექტორსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციის ფორმა.

კაზუსის შინაარსი უნდა გავიაზროთ საკვანძო კითხვასთან მიმართებით, ვინაიდან იგი განსაზღვრავს საქმის შინაარსის დამუშავების მიმართულებას („საკვანძო კითხვა არის სამართლებრივი დასკვნის წარმმართველი“).

1.2. ფაბულის შინაარსის სწორად გაგება

გაუთვალისწინებელი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია კაზუსის მრავალჯერადი ყურადღებით წაკითხვა. შინაარსის სრულყოფილი გაგება ნიშნავს მის სწორად გაგებას.

კაზუსის შინაარსის სწორად გაგება არ გულისხმობს ტექსტის სიტყვა-სიტყვით იზოლირებულად აღთქმას, არამედ, მის ყოველდღიურ სასაუბრო ენასთან და სამართლებრივ მნიშვნელობასთან მიმართებით შემომწმებას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიტყვის მნიშვნელობა საყოფაცხოვრებო ურთიერთობაში და სამართლის ნორმებში ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა.

თუ კი კაზუსში საუბარია იმაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა ვივარაუდოთ, რომ ის აკმაყოფილებს აქტისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რამდენადაც კაზუსის შინაარსიდან გამომდინარე არ იკვეთება ამის შემომწმების აუცილებლობა.

მეორეხარისხოვანია თუ არა ინფორმაცია, ვლინდება მას შემდეგ, რაც მოხდება კაზუსის და მასში დასმული პრობლემის სრული შეცნობა/გააზრება. საუნივერსიტეტო კაზუსებში, როგორც წესი, არ ხდება ისეთი პასაჟების ასახვა, რომლებსაც მისი ამოხსნისათვის არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამრიგად, არ შეიძლება გამოვრიცხოთ, რომ სწორედ ტექსტის ეს მონაკვეთები შეიცავდნენ სამართლებრივ ინფორმაციას, რომელიც სტუდენტის მიერ დასაწყისში მეორეხარისხოვნად იქნენ მიჩნეული. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია ფაბულის რამოდენიმეჯერ წაკითხვა და ამოხსნის პირველადი სქემის შედგენა.

განსაკუთრებით ყურადღებით უნდა შევამოწმოთ ერთი შეხედვით მეორე ხარისხოვანი ინფორმაცია ხომ არ შეიცავს არაპირ-

დაპირ მინიშნებას კაზუსის ამოსახსნელად მნიშვნელოვან სამართლებრივ ფაქტებზე. როცა კაზუსში საუბარია იმაზე, რომ მე-8 კლასის მოსწავლე სანდრომ სარჩელით მიმართა ადმინისტრაციულ სასამართლოს, ეს შეიძლება იყოს მინიშნება შემომდგეს სანდროს საპროცესო უფლებაუნარიანობა.

ფაბულის შინაარსის სწორად გაგება გულისხმობს სამართლებრივი შინაარსის მატარებელი ინფორმაციების გამოვლენას. ნამდვილად არის თუ არა ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი ეს დგინდება მოგვიანებით. პირველადი მოსაზრება არ არის აუცილებელი ბოლომდე უცვლელად დარჩეს.

1.3. კაზუსის ფაბულის მთლიანობაში გააზრება

კაზუსის ფაბულის სრულყოფილი და სწორი გაგება, პირველ რიგში, გულისხმობს ტექსტის სიტყვა-სიტყვითი შემოწმებას, ტექსტის ჩამოშლას ქვეპუნქტებად - საქმის ფაქტობრივ გარემოებებად. შემოწმების ამ ეტაპზე დაუძლეველი პრობლემები და ღიად დარჩენილი კითხვები შესაძლებელია დაიძლიოს ფაბულის ერთიანობაში გააზრებით.

ფაბულის მთლიანობაში გააზრება გულისხმობს ცალკეულ ფრაგმენტებს შორის კავშირის პოვნას, მათი ურთიერთმიმართების გააზრებას. აღნიშნული არ გულისხმობს კაზუსის ამომხსნელის უფლებას შეცვალოს ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

კაზუსის ამომხსნელმა საკუთარი თავი უნდა წარმოიდგინოს ფაბულაში მოცემული მოქმედი სუბიექტის (პროტაგონისტის) როლში. ეს მას მისცემს შესაძლებლობას შეძლოს მისი ქმედების მოტივში ჩანვდომა.

ხშირად აუცილებელი ხდება კაზუსში ცალკეულ ფრაგმენტებს შორის ბმულების გააზრება, რამდენადაც ტექსტი უშუალოდ არ გვაძლევს ინფორმაციას. შესაძლებელი ხდება ფაქტობრივი გარემოებების ხარვეზების შევსება, როდესაც შემთხვევას შევხვდებით კაზუსის მონაწილის პერსპექტივიდან და იმ მოტივების გათვალისწინებით, რაც საფუძვლად უდევს მის მოქმედებას.

1.4. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მანიპულაციის დაუშვებლობა

ხშირია შემთხვევა, როდესაც კაზუსის ამომხსნელის მხრიდან ადგილი აქვს საქმის ფაქტობრივი გარემოებების მოდიფიკაციას/ცვლილებას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხდება მისი შეკვეცა, ან იმ ფორმამდე დაყვანა, როგორც „ანყობს“ დავალების შემსრულებელს. შედეგად ვიღებთ სრულიად განსხვავებულ, ახალ კაზუსს. შედეგად ვიღებთ სურათს, როდესაც სახეზეა კაზუსის ამოხსნა, ყოველგვარი ფორმალური და შინაარსობრივი მოთხოვნების დაცვით, მაგრამ ეს არ არის იმ კაზუსის ამოხსნა, რაც გამომცდელის მიერ იქნა შემუშავებული.

კაზუსის სწორი ამოხსნა გულისხმობს მყარი, შეუცვლელი საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლის ნორმის ჭრილში განხილვას, ისე რომ შესაძლებელი იყოს ფაბულის ფაქტობრივი გარემოებებისა და ნორმის ელემენტების შესაბამისობის დადგენა. კაზუსის ამომხსნელის ფუნქციაა საქმის ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც გადმოგვცემს სამართლებრივად მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენას, მოუძებნოს შესაბამისი სამართლის ნორმა და არა პირიქით, საქმის ფაქტობრივი გარემოებები მონარგოს სამართლის კონკრეტულ ნორმას.

საქმის ფაქტობრივ გარემოებებში ოდნავმა ცვლილებამ შესაძლებელია რადიკალურად განსხვავებული შინაარსი მისცეს კაზუსს, ვიდრე მას მიანიჭა ავტორმა.

ფაბულის შინაარსობრივი შეცვლა შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული. პირველი, როდესაც ადგილი აქვს ნაჩქარევ დასკვნას, რომ მისთვის გასაგებია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად კეთდება ნაჩქარევი სამართლებრივი დასკვნები. მეორე, როდესაც ამომხსნელი იმყოფება მისთვის ნაცნობი სასამართლო პრაქტიკის და იურიდიულ ლიტერატურის ზეგავლენის ქვეშ და მიაჩნია, რომ დავალებაში დასმულ პრობლემა არის ერთ-ერთი მისთვის ნაცნობი შემთხვევებიდან.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავა უნდა მოხდეს წარსულში ნაცნობ შემთხვევებთან ყოველგვარი პარალელების გა-

რეშე, სრულიად ნეიტრალური შემფასებლის პოზიციიდან. აღნიშნული ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ცხადჰყოფს, რომ აზრსმოკლებულია უკვე არსებული/შედეგენილი კაზუსებისა და მათი ამოხსნების დაზეპირება იქედან გამომდინარე, რომ სტუდენტს მოეთხოვება თითოეული კონკრეტული ახალი კაზუსის მეთოდური ამოხსნა აბსტრაქტული სქემისა და მიღებული იურიდიული ცოდნის გამოყენებითა და საფუძველზე. არცერთი კაზუსი არ არის მეორის იდენტური, რაც გამორიცხავს ერთი კაზუსის ამოხსნის გამოყენებას (ვარგისიანობას) მეორე კაზუსის დამუშავებისას.

1.5. მეთოდური მითითებები

პირველივე წაკითხვის შემდეგ სასურველია, გაკეთდეს ჩანიშნულები მნიშვნელოვანი ინფორმაციის, ნორმების, იდეების, პირველადი დასკვნების და ა.შ. რაც არ ნიშნავს, რომ ამით თქვენ იპოვეთ და შეადგინეთ კაზუსის გადანყვეტის საფუძველი, პირიქით, კაზუსის მეორედ და შემდგომი წაკითხვის დროს თავისუფალი უნდა ვიყოთ პირველი შთაბეჭდილებისა და მოსაზრებებისაგან. ამოცანას კვლავ უნდა შევხედოთ კრიტიკულად, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს იმის საფრთხე, რომ კაზუსის ფაბულის ხელმეორედ წაკითხვისას იგი გამოიყენოთ მხოლოდ თქვენი პირველი შთაბეჭდილების გამყარების მიზნით, რაც იწვევს ფაბულის არაადეკვატურ აღქმასა და გაგებას.

კაზუსზე მუშაობისას შინაარსის უკეთესად გაგებისა და ფაქტების უფრო სწრაფად ხელმისაწვდომობის მიზნით დასაშვებია საქმის შინაარსის სქემის, ნახაზის სახით წარმოდგება. ეს ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს – კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების (ფაბულის) თვალსაჩინოობას, განსაკუთრებით კი სხვადასხვა პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობებისა და მოთხოვნის ფარგლებში რელევანტური ორმხრივი ურთიერთობების წარმოჩენას. სქემების შესრულების სტანდარტები და გამოსაყენებელი სიმბოლოები არ არის წინასწარ დადგენილი და არ ახდენს ზეგავლენას შეფასების დონეზე. ეს არის სტუდენტის თავისუფალი სფერო, სადაც შემფასებელი არ ერევა. აღნიშნუ-

ლი სქემა, როგორც წესი, არც შეფასების საგანი ხდება გამომცდელის მხრიდან.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კაზუსის ამოხსნის დროს ხშირად მარტივია მოვლენების ასახვა ქრონოლოგიური წესრიგის ფარგლებში. განსაკუთრებით, როდესაც ხაზგასმულია მოვლენათა განვითარება დროში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კაზუსის ფაბულაში კონკრეტული ზუსტი თარიღების გამოყენება ხშირად არის მინიშნება იმაზე, რომ საქმე გვაქვს ვადებთან დაკავშირებულ პრობლემასთან (მაგ., საჩივრის/სარჩელის ხანდაზმულობა და დაუშვებლობა გასაჩივრების ვადის გაშვების გამო).

1.6. კაზუსის ფაბულის ანალიზი

კაზუსის ფაბულის გულდასმით ნაკითხვის შემდეგ იწყება მისი უფრო სიღრმისეული დამუშავება, რაც ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საქმის სამართლებრივ შეფასებას, არამედ ჯერ კიდევ ვიმყოფებით სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიკაციის ეტაპზე.

კაზუსის ფაქტობრივი გარემოებების დალაგების პროცესში უნდა გამოვყოთ სამართლებრივი ცნებები, რომლებიც შეგიძლიათ ყველანაირი შემონმების გარეშე მოცემულად მიიჩნიოთ. თუ კაზუსი გვეუბნება, რომ გადანყვეტილება მიღებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, არ გვჭირდება იმის შემონმება აქტის გამომცემი ორგანო შეესაბამება თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს ლეგალურ დეფინიციას ანუ არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანო. როდესაც საუბარია იმაზე რომ გამოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და კაზუსში სადავო არ არის ეს საკითხი, არ გვჭირდება იმის შემონმება აკმაყოფილებს თუ არა ლეგალური დეფინიციის ელემენტებს (აღნიშნული გამომდინარეობს თეორიიდან, რომლის თანახმადაც საქმიანობის სამართლებრივ ფორმის სტატუსს განსაზღვრავს მისი ფორმალური ელემენტები და არა შინაარსი. ნებისმიერ მმართველობით ღონისძიებას, რომელიც განხორციელებულია/გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს

მიერ და მისი ნების შესაბამისად, არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი). საქმე სხვაგვარად არის ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი ცნება განზრახ არაიურიდიული ენით არის ნახსენები. როდესაც ზოგადად საუბარია კონკრეტული ღონისძიების განხორციელებაზე კონკრეტული პირის მიერ, უნდა შემოწმდეს მისი სამართლებრივი სტატუსი, ანუ ის, არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანო სზაკ-ის მიზნებისთვის და თუ რა სამართლებრივი ფორმა აქვს ამ ღონისძიებას (არის თუ არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).

კაზუსში ხშირად გვხვდება მხარეთა მიერ გამოთქმული სამართლებრივი მოსაზრებები, რასაც აქვს დამხმარე ფუნქცია და მიგვანიშნებს რაიმე პრობლემაზე. ეს თავის მხრივ აადვილებს კაზუსის შინაარსის გააზრებას.

მეთოდური მითითება: დაუთმეთ სათანადო დრო ამოცანის ფაზულის დამუშავებას, იმუშავეთ გულდასმით და არასოდეს დაივიწყოთ კავშირი კაზუსის ფაზულასა და საკვანძო კითხვას შორის.

2. კაზუსის საკვანძო კითხვა

კაზუსის სწორად ამოსახსნელად მნიშვნელოვანია საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და საკვანძო კითხვას შორის ურთიერთმიმართების ზუსტად განსაზღვრა. სწორედ მასზე არის დამოკიდებული მუშაობის მოცულობა და მიზანმიმართულება. კაზუსის (დავალების) ავტორი საკვანძო კითხვის განსაზღვრით სასურველ მიმართულებას აძლევს კაზუსზე მუშაობის პროცესს. თუ კითქვენ ვერ შეძლებთ მის ზუსტად დადგენას, ვერ შეძლებთ პროცესის სასურველი მიმართულებით წარმართვას. იმისათვის რომ დასამუშავებელი შემთხვევა სწორად გაიგოთ უნდა შეძლოთ დასმული ამოცანის სწორად განსაზღვრა და მოახდინოთ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი (განხილვა) შესაბამისი დავალების გათვალისწინებით.

რაც შეეხება დასმული პრობლემის ანალიზს, საკითხი ეხება „ნამდვილი“ დავალების დადგენას. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არ არის გააზრებული კაზუსის განხილვის ამ ეტაპის მნიშვნე-

ნელობა, საქმე გვაქვს მუშაობის შედეგისათვის მნიშვნელოვან საკითხთან. როგორც გამოცდილება ადასტურებს, კაზუსის ამოხსნის დაბალი შეფასება ძალიან ხშირად გამომდინარეობს იქიდან, რომ სტუდენტების მიერ ფაბულაში დასმული კითხვა ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორად არის გაგებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკვანძო კითხვა უნდა წაიკითხოთ მთელი გულისყურით. ხშირად ადგილი აქვს ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებას, განსაკუთრებით, როდესაც კაზუსზე მომუშავე პირს ჰგონია, რომ მისთვის ცნობილია ეს კაზუსი და, ასევე, მასში დასმული პრობლემა, ლექცია-სემინარებიდან და ამიტომ სათანადო ყურადღებას აღარ აქცევს შესაბამის საკვანძო კითხვასაც. იდენტური შინაარსის მქონე კაზუსი (რომელიც, როგორც წესი, არასოდეს გვხვდება. შესაძლოა მხოლოდ შინაარსობრივი მსგავსება - როგორც ზემოთ აღინიშნა, შემომწმების ძირითადი საგანია შესწავლილი მეთოდისა და სამართლებრივი ცოდნის გამოყენება/ტრანსფერი ახალ, კონკრეტულ შემთხვევაზე), არ გულისხმობს საკვანძო კითხვის იდენტურობას. ხშირად ერთი კაზუსი შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვადასხვა მიზნით, განსხვავებულ პრობლემებზე აქცენტით. ნაცნობი კაზუსი საჭიროებს კიდევ მეტ დაფიქრებას, თუ რა მიზნით გვთავაზობს მას მისი ავტორი, ანუ რა არის ამ კაზუსის საკვანძო კითხვა (პრობლემა) (სწორედ ამაზე ვსაუბრობდი წინა შენიშვნაში - აზრს მოკლებული იქნებოდა უკვე ნაცნობი და განხილული კაზუსის მოტანა გამოცდაზე. რასაც ხშირად ვხვდებით, ეს გახლავთ თითქოს ნაცნობი კაზუსის მცირე შინაარსობრივი ცვლილება, რომელიც ფაქტობრივად ახალ კაზუსს ქმნის, რომელიც თავის მხრივ სრულიად სხვაგვარ გადაწყვეტასა და გადაჭრას საჭიროებს, ვიდრე თავდაპირველი კაზუსი. სწორედ ამიტომ არის აზრს მოკლებული კაზუსის ამოხსნების დაზეპირება).

საკვანძო კითხვის განსაზღვრის დროს ხშირად ადგილი აქვს „თვითშემოქმედებას“, რაც ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ დავალება ნათლად და ცალსახად არის ფორმულირებული და მარტივად არის გასაგები თუ რას ითხოვს მისი ავტორი, კაზუსის ამომხსნელი ეხება ისეთ საკითხებს, რომელიც არ არის

კითხვაში ან ყურადღების მიღმა ტოვებს თემებს, რაც კითხვაშია მოცემული. აღნიშნული პრობლემატურია, ვინაიდან სამართლებრივი (იურიდიული) დასკვნა მოითხოვს პრობლემაზე ორიენტირებულ ამოხსნას. ანუ, განხილვის საგანი უნდა იყოს მხოლოდ ის, რაც მართლაც პრობლემატურია კაზუსში. დაუშვებელია კაზუსთან კონკრეტული მიმართების გარეშე უბრალო ცოდნის გამომჟღავნება - აქ ზედმეტიც უკვე შეცდომად ითვლება. მაგალითად, როდესაც კაზუსში საუბარია იმაზე, რომ მხარეს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილება მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ეწინააღმდეგება სამშენებლო სამართლის კონკრეტულ ნორმებს, შეცდომა იქნებოდა მისი კანონიერება შეგვემოწმებინა სხვა ნორმებთან მიმართებით. ხოლო, როდესაც ზოგადად დავის საგანია ორგანოს გადანყვეტილების კანონიერება უნდა შემოწმდეს მისი შესაბამისობა ყველა მისი კანონიერების განმსაზღვრელ სამართლის ნორმასთან.

კაზუსის საკვანძო კითხვა ყოველთვის არ არის იმდენად კონკრეტული, რომ ერთი თვალის შევლებით გასაგები იყოს თუ რას გვეკითხებიან. ზოგჯერ მხარის დაფიქსირებულ მოთხოვნას, სამართლებრივი ინტერესს არცა აქვს შეკითხვის ფორმა. კითხვაზე თუ როგორია სამართლებრივი ვითარება?, რომელიც ღია შეკითხვაა, კაზუსის ამომხსნელმა თვითონ კი არ უნდა ჩამოაყალიბოს შეკითხვა, არამედ უნდა შეაფასოს ფაბულაში გადმოცემული მოვლენები ყველა სამართლებრივი ასპექტის გათვალისწინებით. ეს მოითხოვს საქმის ფაქტობრივი გარემოებებს დანვრილებით ცოდნას და უნარს, მასში მოცემული ფაქტობრივი და სამართლებრივი ინფორმაცია გამოიყენოს გონივრულად, შეკითხვის ზუსტად ფორმულირებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან კავშირში მყოფი მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა.

ზოგადის კონკრეტულში ტრანსპორმაციას ემსახურება კაზუსის ამოხსნის სქემაში მოცემული ელემენტები – სარჩელის დასაშვებობა და დასაბუთებულობა. სწორედ ამიტომ ვინცებთ კაზუსის ამოხსნას წინადადებით - „სარჩელი პერსპექტიულია, რამდენა-

დაც (და არა თუ „კი ფორმულირება“⁸) ის არის დასაშვები და დასაბუთებული.” ასეთი დაყოფა მიგვანიშნებს საკვანძო კითხვის დადგენის მთავარ მიმართულებაზე – პირველ რიგში ვახდენთ დასაშვებობის და დასაბუთებულობის გამიჯვნას, შიგნით ვახდენთ შემდგომ დაკონკრეტებას, რომელიც მოცემულია დასაშვებობის და დასაბუთებულობის ელემენტების სახით.

საკვანძო კითხვა განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს კაზუსის გადაწყვეტის სტრუქტურა. როდესაც გვეკითხებიან, მოქალაქის მოთხოვნა სზაკ-ის 208-ე მუხლის თანახმად არის თუ არა დასაბუთებული. უნდა შემოვნიშნო:

„ვინ?“ – არის თუ არა უფლებამოსილი სუბიექტი?

„რას?“ – რა არის მოთხოვნის მიზანი?

„ვისგან?“ – საჯარო მოხელე, ადმინისტრაციული ორგანო თუ სახელმწიფო?

„რის საფუძველზე?“ – მოთხოვნის რომელი საფუძვლის თანახმად შეიძლება არსებობდეს მოთხოვნა?

IV. კაზუსის სამართლებრივი გადაწყვეტა

კაზუსის შინაარსის სწორად განსაზღვრის შემდეგ გადავდივართ კაზუსის გადაწყვეტაზე. სასურველია შემდეგი ეტაპების გავლა: პირველ უნდა მოვიძიოთ კაზუსის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ნორმები, რომლებიც უნდა დავალაგოთ შემომებისათვის მიზანშეწონილი თანმიმდევრობით, და ბოლოს, უნდა მოვახდინოთ ამ ნორმების გამოყენება კაზუსთან მიმართე-

8 მთავარი წინადადება ხშირად სახელმძღვანელოებშიც არასწორად არის წარმოდგენილი. გასათვალისწინებელია, რომ ამომხსენელმა თურმეობით კილოში ჩამოაყალიბოს და სწორად შეადგინოს მთავარი წინადადება. აღნიშნული მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც (მაგალითად საკონსტიტუციო) საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანია. აღნიშნული შესაძლებლობა მთავარ წინადადებაშივე უნდა გაჟღერდეს „რამდენადაც“ და არა „თუ“ ფორმულირების გამოყენებით. სხვა შემთხვევაში შესაძლოა მიღებული შედეგი (ნაწილობრივი დასაბუთებულობა/საფუძვლიანობა) არ შეესაბამებოდეს მთავარ წინადადებას, რომელიც თავისი „თუ“-ფორმულირებით ახდენს „ყველაფერი ან არაფერი“-გადაწყვეტილების ინდიციურებას (ანუ ბადებს შთაბეჭდილებას, რომ შედეგი უნდა იყოს სრულად ერთ ან მეორე მხარეს: დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი).

ბით

1. მნიშვნელოვანი ნორმების მოძიება

კონკრეტული კაზუსის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ნორმის მოძიება გულისხმობს, პირველად, სპონტანურ და ინტუიციურ გადანყვეტილებას⁹. მეორე ეტაპზე უფრო დისციპლინირებულად და სისტემატიზირებულად უნდა მიუდგეთ საკითხს. უნდა მოვახდინოთ პრობლემის გამოკვეთა და შედეგის განმსაზღვრელი ნორმის მოძიება.

როდესაც კითხვა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადანყვეტილების კანონიერებას, შედეგის განმსაზღვრელი ნორმა არის ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმა. აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ფუნქცია არის სამართალგამოყენებითი, ნორმათშეფარდებითი საქმიანობა; მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას შესაძლებლობა, გამოსცეს „კანონი“ მატერიალური გაგებით. მმართველობის ორგანოების კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების ფარგლებს ქმნის ის ნორმატიული აქტი, რომლის აღსრულებასაც ეს ქმედება ისახავს მიზნად. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სტრუქტურა იგივე პრინციპით არის აგებული. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: ფაქტობრივი შემადგენლობა ანუ დისპოზიცია და დისპოზიციის ყველა ელემენტის მოცემულობის შემთხვევაში - სამართლებრივი შედეგი. ფაქტობრივი შემადგენლობა ანუ დისპოზიცია ადგენს ყველა იმ წინაპირობას, რომელთა არსებობაზეა დამოკიდებული ნორმის გამოყენება. ამასთან, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ნორმის კუმულატიური ან ალტერნატიული ფაქტობრივი ელემენტები. თუ ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობები ერთმანეთთან დაკავშირებულია „და“ კავშირით, მაშინ ნორმის გამოყენებისათვის საჭიროა ყოველი მათგანის არსე-

⁹ ნორმის სპონტანური და ინტუიციური მოძიება გულისხმობს შექნილი ცოდნის გამოყენებას. სტუდენტს დაახლოებით მაინც უნდა ჰქონდეს წარმოდგენა, თუ რომელი ნორმები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მოცემული კაზუსისათვის და თუ სად შეიძლება მათი მოძიება.

ბობა (კუმულატიური წინაპირობები). თუ ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობები ერთმანეთთან დაკავშირებულია „ან“ კავშირით, ასეთ შემთხვევაში ნორმის გამოსაყენებლად საკმარისია ერთ-ერთი წინაპირობის არსებობა (ალტერნატიული წინაპირობები).

მოთხოვნის საფუძვლის განმსაზღვრელი ნორმის გვერდით, ასევე უნდა მოვიძიოთ (დასახმარებლად უნდა მივმართოთ) მოთხოვნის გამომრიცხველი ნორმები. ხშირად, ნორმა შედგება ორი ნაწილისაგან და შეიცავს როგორც მოთხოვნის განმსაზღვრელ, ისე გამომრიცხავ გარემოებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით სამართლის ნორმა უნდა წავიკითხოთ ბოლომდე და მოთხოვნის საფუძვლის განმსაზღვრელი ნორმის პოვნის შემთხვევაში ნუ შევწყვეტთ მისი შინაარსის გაცნობას და ნუ მივალთ ნაჩქარევ დასკვნამდე, რომ მიზანი მიღწეულია. მაგ., სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის. აღნიშნული ნორმის მე-2 ნაწილი მოიცავს მოთხოვნის გამომრიცხველ გარემოებას: ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

2. მოძიებული ნორმების დალაგება თანმიმდევრობით

მნიშვნელოვანი ნორმების მოძიების შემდეგ ხდება მათი დალაგება გარკვეული თანმიმდევრობით. უფლების განმსაზღვრელი და გამომრიცხავი ნორმების გამოყოფის შემდეგ ხდება მათი სისტემატიზაცია ფაბულაში მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით. თუ კი გვაქვს სახეზე მიზნის დამდგენი რამოდენიმე ნორმა, მაშინ მათი შემოწმების თანმიმდევრობა დგინდება მიზანშეწონილობის პრინციპის მიხედვით (ზოგადი და სპეციალური ნორმების გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად გამოიყენება „lex specialis“ პრინციპი).

3. ნორმების გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაზე

ყოველი წამოყენებული ჰიპოთეზა ეს არის ვარაუდი საქმის სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა შემონმდეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით. სწორედ აღნიშნული ნორმები წარმოადგენს შემონმების საფუძველესა და პასუხს დასმულ ჰიპოთეზაზე.

4. გადაწყვეტის სქემის შედგენა

კაზუსის სამართლებრივი გადაწყვეტის ფორმაა გადაწყვეტის სქემა, რომელიც არის წერილობითი დასკვნის შედგენის საფუძველი. აღნიშნული სქემა მოიცავს თეზისების მსგავს ჩამონათვალს, რომელიც განაპირობებს იურიდიული დასკვნის სტრუქტურას. როგორც წესი, შემუშავებულია, ანუ არსებობს სტანდარტული სქემები შესაბამისი საკითხების შემონმებისთვის, რომელთა გამოყენებაც ევალება სტუდენტს. ნახაზი ამ კუთხით არის სქემა, რომელშიც განხორციელებულია (ანუ, რომელსაც დამატებული აქვს) სუბსუმცია. იგი წარმოადგენს წერილობითი დასკვნის აზრობრივ ხერხემალს. აღნიშნული სქემის ფარგლებში უნდა მოხდეს სამართლის ნორმების და მათი ყველა ფაქტობრივი ელემენტის სათითაოდ დამუშავება. სუბსუმციის პროცესი და მიღებული შედეგი უნდა დაფიქსირდეს თეზისების სახით. იმავე ფორმით უნდა აღინიშნოს ამა თუ იმ საკითხთან არსებული აზრთა სხვადასხვაობანი და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. გადაწყვეტის სქემის ბოლოს მოცემულია კაზუსის გადაწყვეტა (შედეგი).¹⁰

V. წერილობითი დასკვნის შედგენა

კაზუსის დამუშავების მიზანია იურიდიული დასკვნის შედგენა, ანუ შედეგის წერილობით ჩამოყალიბება. დასკვნა არის გადაწყვეტის სქემის საფუძველზე შედგენილი სრული, თხრობითი ტექსტი. რაც არ გულისხმობს გადაწყვეტის სქემაში მოცემული

10 კაზუსის გადაწყვეტის სქემის ნიმუში იხ. სანდრა ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდის კა, გვ. 140-143.

სამართლებრივი ნორმის განხილვის სრულად გადმოტანას, რამდენადაც კაზუსის განხილვისას გამოვლინდება, რომ ესა თუ ის ნორმა ამოცანის გადაწყვეტისათვის არ არის მნიშვნელოვანი.¹¹ სასურველია დასკვნის შედგენამდე ნახაზის იმდენჯერ გააზრება, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ნაპოვნია სათანადო შედეგი. ამიტომაც, ნახაზის (სქემის) შედგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს და სათანადო დროც უნდა დაეთმოს. სწორედ აქ მიმდინარეობს მთავარი „აზრობრივი მუშაობა“. ამ ნააზრევის ტექსტური ფორმით ჩამოყალიბება და ფორმულირება დასკვნაში უკვე აღარ არის იმდენად რთული სამართლებრივი კუთხით. რამდენადაც კაზუსის გადაწყვეტის წერილობითი ფორმა არის იურიდიული დასკვნა, იგი იწერება დასკვნის სტილით.

1. დასკვნის სტილი

დასკვნის სტილი ეს არის აზროვნების მოდელი, სადაც კონკრეტული კითხვიდან (ამოცანიდან) იურიდიული მეთოდების მეშვეობით სისტემურად, სტრუქტურირებულად ხდება შედეგის შემუშავება. შედეგი დგას შემოწმების ბოლოს. აღნიშნულ აზროვნების მოდელს გასაგებს ხდის შესაბამისი ენობრივი ფორმულირება. გამოიყენება თხრობის თურმეობითი ფორმა და ასევე ის ფორმა, რომელიც შესაძლებელს ხდის გადაწყვეტის ფარგლებში შედეგის ძიებას. რეკომენდირებულია, რომ დამწყებებმა ყოველთვის გამოიყენონ დასკვნის სტილი. სწავლების ზედა საფეხურებზე, გამოცდილების მიღების კვალდაკვალ შესაძლებელია დასკვნის სტილისა და გადაწყვეტილების სტილის შერეული ფორმის გამოყენებაც, რაც ნიშნავს იმას, რომ სტრუქტურა და ფორმულირებები უმთავრესად შედგენილია დასკვნის სტილით, ხოლო ნაკლებად პრობლემატური საკითხების განხილვა ხდება გადაწყვეტილების სტილში. იმის გარკვევას, თუ სად რომელი საკითხია პრობლემატური და რომელი -არა, ეს სტუდენტმა თავისი გამოცდილებით უნდა ამოიცნოს, რაც გამოუმუშავდება მეთოდის სისტემატურად გამოყენების შედეგად.¹²

11 იხ. სანდრა ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა, გვ. 143.

12 იხ. სანდრა ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა, გვ. 144.

2. სუბსუმციის წარმოდგენა

ნებისმიერი იურისტისათვის უმნიშვნელოვანესია იცოდეს, თეორიული ცოდნის მის წინაშე მდგარი პრაქტიკული პრობლემის გადაჭრისას სწორი გამოყენება. შეძენილი ცოდნა და იურიული აზროვნება, ეს არის იურისტის ძირითადი ინსტრუმენტები, რითაც მას უნდა შეეძლოს ცხოვრებისეული სამართლებრივი პრობლემის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისი სტრუქტურირება და კანონის ნორმებისადმი მისი მისადაგება და სწორ სამართლებრივ გადაწყვეტამდე მისვლა.

სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული იურიდიული კაზუსის დამუშავების მეთოდიკა - სუბსუმცია, აღნიშნული დილემის გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა. სუბსუმციის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტობრივი გარემოებების (მოვლენების) მისადაგება უნდა მოხდეს აბსტრაქტულად ფორმულირებულ (ანუ აბსტრაქტულ) ნორმაზე, რომელიც გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაზე. კანონის თითოეული წინაპირობა დასკვნაში უნდა გარდაიქმნას ჰიპოთეზად, რომელსაც იურისტმა უნდა მიუსადაგოს საქმის თითოეული ფაქტობრივი გარემოება - ანუ განახორციელოს სუბსუმცია, რათა სამართლის ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი დადგეს. სუბსუმციის მეთოდის ფარგლებში გამოიყენება ლოგიკის ისეთი ელემენტი, როგორც არის სილოგიზმი.

იურიდიული შემთხვევის დამუშავების დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სტრუქტურას¹³. სუბსუმციის მეთოდის გამოყენება, ეს არ ნიშნავს მისი ინტერპრეტაციით გამოყენების საშუალებას. მისთვის დამახასიათებელია კაზუსის დამუშავებისა და ამოხსნის ლოგიკური სტრუქტურა და ეტაპები. პირმა, რომლის წინაშეც დგას სამართლებრივი პრობლემა, უნდა შესძლოს მისი მეთოდური გადაჭრა სამართლებრივი "სამხმოვანების" (იხ. ზემოთ) გზით. ეს არის ლოგიკური ჯაჭვი და მიმდინარეობა, რომელიც ცხადყოფს, თუ რამდენად დაცულია კაზუსის დამუშავების მეთოდიკა და რამდენად სწორად მიჰყავს პირს მსჯელობა, და-

13 აქ უნდა გავმიჯნოთ შემონიშნების მთლიანი სტრუქტურა და სუბსუმციის მეთოდი, რომელიც ამ სტრუქტურაში ცალკეული საკითხების განსახილველად გამოიყენება.

სმული ამოცანის გადასაჭრელად. თანმიმდევრობა ანუ ამოხსნის სქემა უნდა ეფუძნებოდეს კანონებს, ლოგიკასა და შესაბამისი სამართლის დარგის დოგმატურ სტრუქტურას.

სუბსუმციაში დამკვიდრებული სილოგიზმის მოდელი ქმნის შემდეგ ძირითად სტრუქტურას. როგორც წესი გავრცელებულია იურიდიული სილოგიზმის სამ საფეხუროვანი სისტემა:

- მთავარი წინადადების ჩამოყალიბება. საკვანძო კითხვის - I თეზისის განსაზღვრა.
- ქვემდგომი წინადადება. კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მისადაგება - II თეზისი.

დასკვნა - III თეზისი. ყოველ წამოყენებულ თეზისს, სდევს დასკვნა, რომელიც კაზუსის დამუშავების სტრუქტურაში, როგორც შუალედური დაკვანძები წარმოჩინდება.

3. აზრთა სხვადასხვაობის წარმოდგენა

კაზუსის განხილვის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია კონკრეტულ პრობლემასთან მიმართებით იურიდიულ ლიტერატურაში მოცემული აზრთა სხვადასხვაობის წარმოდგენა; როგორც ზემოთ აღინიშნა, კაზუსის დამუშავებისას არსებითია არა შედეგი, არამედ გზა, რომლითაც კაზუსის ამომხსნელი მივიდა ამ შედეგამდე. აუცილებელია აზრთა სხვადასხვაობის დაფიქსირება და განხილვა. ხშირად სამართლის ნორმის ფაქტობრივი ელემენტების ინტერპრეტაციასთან და შეფასებასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. თუ კი ნორმის ინტერპრეტაციის ფარგლებში სახეზე გვაქვს ასეთი შემთხვევა, ის ცალკე უნდა გამოვყოთ, როგორც სადავო საკითხი და გახვადოთ მკითხველისათვის გასაგები თუ რაში მდგომარეობს პრობლემა.

მსჯელობის ბოლოს აუცილებელია დასკვნის ავტორის პოზიციის დაფიქსირება, საიდანაც იკვეთება, თუ ზემოთ წარმოდგენილი და განხილული მოსაზრებიდან რომელ აყრდნობს იგი თავის ამოხსნას სადავო საკითხთან დაკავშირებით. თუ კი მიუხედავად სხვადასხვა მოსაზრების არსებობისა შედეგი არის საერთო, მაშინ აღარ არის აუცილებელი, რომ დასკვნის ავტორი მიემხ-

როს რომელიმე მათგანს, რამდენადაც ის არანაირ გავლენას არ ახდენენ შედეგზე. უფრო მეტიც, რომელიმე აზრის გამოყოფა არ იქნებოდა მართლებული, ვინაიდან მას არ მივყავართ კაზუსის გადანყვეტამდე. ხოლო როდესაც ერთ-ერთ მოსაზრებაზე დაყრდნობას განსხვავებულ შედეგამდე მივყევართ, აუცილებელია ამ შემთხვევაში დასკვნის ავტორმა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია იმ კონკრეტული მოსაზრების მიმართ, რომელსაც ის ლოგიკურ და გამართულ მოსაზრებად მიიჩნევს (ამ კუთხით კაზუსის ამომხსნელი სარგებლობს სრული თავისუფლებით, რა თქმა უნდა სერიოზული მოსაზრებების განხილვის ფარგლებში).

უნდა გვახსოვდეს, რომ კაზუსის ამოხსნის ფარგლებში მხოლოდ კაზუსის ფაბულის განმეორება არ გვაძლევს შედეგს. ის ნაშრომის გამსწორებლისათვის ისედაც ცნობილია. მოლოდინი არის ლოგიკურ და დამაჯერებელ არგუმენტირებაზე, ვინაიდან სწორედ ეს განაპირობებს არსებითად კაზუსის დამუშავების ხარისხს.

დაუშვებელია გადანყვეტილების მხოლოდ და სრულად მეცნიერებაში მიღებულ და გაბატონებულ შეხედულებებზე დაყრდნობა; მხოლოდ ის ფაქტი, რომ შეხედულება მიღებული და გაბატონებულია, ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ იგი საუკეთესო და ყველაზე დაბალანსებული იურიდიული მოსაზრებაა. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ თვდაპირველად უმცირესობის შეხედულებად მიჩნეული აზრი იქცეს გაბატონებულ აზრად. გაბატონებულია თუ არა შეხედულება, არაფერს ამბობს მის ხარისხზე. ამრიგად, შეხედულებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით დაყრდნობა, რომ იგი გაბატონებული და მიღებულია, არ წარმოადგენს სამართლებრივად მისაღებ არგუმენტს. განსაკუთრებით ფასობს თქვენეული მიდგომები და დასაბუთებები, რამდენადაც გადანყვეტილებას თქვენ წერთ. მეორე მხრივ, არ დაგავიწყდეთ, რომ სქოლიოს სახით აუცილებელია მითითება წყაროზე, თუ ვინ წარმოადგენს ამა თუ იმ მოსაზრებას და საიდან მომდინარეობს იგი.

გადანყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. არგუმენტაციისას მოერიდეთ ისეთ ფორმულირებებს, როგორცაა, „უდავოა“, „ქვეყნარეშა“, „აშკარაა“ და ა.შ. ეს მიაჩნდება არგუმენტაციის სისუსტეზე და ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანის

მცდელობაზე. გარდა ამისა, აღნიშნული ცხადჰყოფს, რომ კაზუსის ამომხსნელი კაზუსს არ ხსნის პრობლემიდან გამომდინარე - თუ საკითხი "უდავოა", მაშინ მისი განხილვა და მოხსენიება არც იქნებოდა საჭირო იურიდიულ დასკვნაში.

4. ენა

შეუძლებელია წერის კარგი სტილის მკაცრად დადგენილ სტანდარტების დადგენა, რამდენადაც მას ახასიათებას ინდივიდუალური ნიშნები. რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას: დასკვნა გადმოცემული უნდა იყოს მარტივი და გასაგები ენით. ჩამოაყალიბეთ მოკლე და მარტივი წინადადებები. ყურადღება მიაქციეთ აქტიურ და პასიურ დროის ფორმებს. პასივი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც აზრის გამოხატვის დროს სუბიექტზე მინიშნება არ არის არსებითი. გამოიყენეთ იურიდიული ტერმინოლოგია. მოერიდეთ უცხოურ ტერმინოლოგიას, ხოლო იქ სადაც ეს აუცილებელია ნუ შეეცდებით მის გადმოტანას ქართულ შესატყვისში, თუკი ხედავთ, რომ ამით იკარგება მისი ნამდვილი მნიშვნელობა.

5. დასკვნის სტრუქტურა

დასკვნა რომ იყოს აღთქმადი, ის უნდა იყოს სტრუქტურირებული, რაც გულისხმობს სათაურების და აბზაცების გამოყენებას. გარდა იმისა, რომ ის უზრუნველყოფს დასკვნის თვალსაჩინოობას, იმავდროულად ის გეხმარებათ დროის დაზოგვაში, ვინაიდან გამეორების შემთხვევაში შეგიძლიათ მიუთითოთ ზემოთ აღნიშნულზე. გარდა ამისა, თქვენ თავადაც უკეთ იცავთ სტრუქტურას მსჯელობისას.

VI. კაზუსის ამოხსნის სტრუქტურა

ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება

შემზღუდველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმების მიზანი ხშირად მოცემულია შეკითხვით, თუ რა პერსპექტივა აქვს წარმოდგენილ სამართლებრივ საშუალებას. აღნიშნული საკითხის ფარგლებში უნდა მოხდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება.

აღნიშნული ხორციელდება სამ ეტაპად:

I ეტაპი: დასაშვებია თუ არა ადმინისტრაციული საჩივარი?

აქ პირველ რიგში უნდა გაირკვეს შეტანილია თუ არა საჩივარი გათვალისწინებული ფორმისა და ვადის დაცვით და არის თუ არა დავის საგანი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ასევე საჭიროა იმის შემოწმებაც, ჰქონდა თუ არა მომჩივანს საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება. ამისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი იმის შესაძლებლობას მაინც უნდა ითვალისწინებდეს, რომ (შესაძლოა) დარღვეული იყოს მომჩივანის სუბიექტური საჯარო-სამართლებრივი უფლება (ე.წ. პოპულარული საჩივრის დაუშვებლობა).

II ეტაპი: დასაბუთებულია თუ არა ადმინისტრაციული საჩივარი?

ადმინისტრაციული საჩივარი დასაბუთებულია: 1. თუ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის შეცდომიანი ანუ უკანონო. შეცდომა შესაძლოა დაშვებულ იქნა აქტის გამოცემისას, ანუ წარმოების ფარგლებში (ფორმალური კანონიერება) ან შეცდომა შეიძლება იყოს შინაარსობრივი (მატერიალური კანონიერება). 2. ეს პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს.

ფორმალური კანონიერება მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება, წარმოების სწორი ფორმა, სათანადო წესით გამოცხადება/გაცნობა, დასაბუთება და ა.შ.

მატერიალური კანონიერება კი მოიცავს აქტის გამოცემის კანონიერ საფუძველს, ადრესატის სწორად შერჩევას, თანაზომიერების პრინციპის დაცვას და დისკრეციული უფლებამოსილების სწორად განხორციელებას.

III ეტაპი – დასკვნა:

თუ ადმინისტრაციული საჩივარი დასაშვებია და გასაჩივრებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – უკანონო, მაშინ საჩივარი დასაბუთებულია ანუ პერსპექტიულია.

და პირიქით: თუ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უშეცდომო (ანუ კანონიერი), მაშინ საჩივარი არის დაუსაბუთებელი/უსაფუძვლო და არ აქვს წარმატების პერსპექტივა.

VII. ადმინისტრაციული სამართალწარმოება

1. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ

1. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა

- დავა იმ სამართლებრივი ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან;
- სასკ-ის მე-2, მე-5 და მე-6 მუხლები.

2. შესაბამისი სარჩელის სახე – ა. სარჩელის მიზანი, ბ. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა

3. საპროცესო სუბიექტუნარიანობა

4. საპროცესო უფლებაუნარიანობა

5. სარჩელის ფორმა – სასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი და სსსკ-ის 177-ე, 178-ე, 445-ე-449-ე მუხლები

6. სათანადო მოპასუხე

7. სარჩელის დასაშვებობა (სასკ-ის 22-ე მუხლი)

- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი
- პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი
- გასაჩივრების ვადები
- საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა

8. სარჩელის დასაბუთებულობა (სასკ-ის 32-ე მუხლი)

ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება:

- ფორმალური კანონიერება

ა. უფლებამოსილება

ბ. ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე

გ. აქტის ფორმა

დ. დასაბუთება

ე. გასაჩივრების უფლებაზე მითითება

- მატერიალური კანონიერება

ა. მატერიალური სამართლის ნორმასთან შესაბამისობა

ბ. უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძვლები

გ. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერება

დ. თანაზომიერების პრინციპი

ე. კონკრეტულობის პრინციპი

ბ. პირდაპირი და უშუალო ზიანი

2. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე

1. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა

- დავა იმ სამართლებრივი ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან;
- სასკ-ის მე-2, მე-5 და მე-6 მუხლები.

1. შესაბამისი სარჩელის სახე – ა. სარჩელის მიზანი, ბ. ადმი-

ნისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა

2. საპროცესო სუბიექტუნარიანობა

3. საპროცესო უფლებაუნარიანობა

4. სარჩელის ფორმა – ასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი და სსსკ-ის 177-ე, 178-ე, 445-ე-449-ე მუხლები

5. სათანადო მოპასუხე

6. სარჩელის დასაშვებობა (სასკ-ის 23-ე მუხლი)

ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ბ. პირდაპირი და უშუალო(ინდივიდუალური) ზიანი;

ც. გასაჩივრების ვადები

დ. საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა

7. სარჩელის დასაბუთებულობა (სასკ-ის 33-ე მუხლი)

ა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონსაწინააღმდეგოა:

– ფორმალური კანონიერება

ა. უფლებამოსილება

ბ. ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე

გ. აქტის ფორმა

დ. დასაბუთება

ე. გასაჩივრების უფლებაზე მითითება

– მატერიალური კანონიერება

ა. მატერიალური სამართლის ნორმასთან შესაბამისობა

ბ. უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძვლები

გ. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერება

დ. თანაზომიერების პრინციპი

ე. კონკრეტულობის პრინციპი

ბ. პირდაპირი და უშუალო ზიანი

3. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე

1. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა

- დავა იმ სამართლებრივი ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან;
- სასკ-ის მე-2, მე-5 და მე-6 მუხლები.
- 2. შესაბამისი სარჩელის სახე – ა. სარჩელის მიზანი, ბ. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა
- 3. საპროცესო სუბიექტუნარიანობა
- 4. საპროცესო უფლებაუნარიანობა
- 5. სარჩელის ფორმა – ასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი და სსსკ-ის 177-ე, 178-ე, 445-ე-449-ე მუხლები
- 6. სათანადო მოპასუხე
- 7. სარჩელის დასაშვებობა (სასკ-ის 24-ე მუხლი)
 - რეალაქტი;
 - პირდაპირი და უშუალო(ინდივიდუალური) ზიანი;
 - გასაჩივრების ვადები
 - საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა
- 8. სარჩელის დასაბუთებულობა (სასკ-ის 331 მუხლი)
 - რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების გამხორციელებაზე კანონსაწინააღმდეგოა;
 - პირდაპირი და უშუალო ზიანი

VIII. ადმინისტრაციული სამართალწარმოების სტადიები

1. სარჩელის მიღება
2. დასაშვებობის შემოწმება
3. საფუძვლიანობის შემოწმება

1. სარჩელის მიღება

სარჩელის აღძვრა არის დარღვეული ან სადავო უფლების სამართლოს გზით დაცვის საპროცესო საშუალება. ყოველ პირს

აქვს უფლება საჯარო ხელისუფლებისაგან უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს უფლების დაცვისათვის სასამართლოში მიმართვის ფორმას – სასარჩელო განცხადების სახით.

სასამართლო სასარჩელო განცხადების შემოსვლიდან ხუთი დღის განმავლობაში ამონმებს მის შესაბამისობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სსსკ-ის 177-ე, 178-ე, 445-ე-449-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებთან და გამოაქვს განჩინება სარჩელის მიღების შესახებ.

სარჩელის სასამართლოში შეტანისას (თუ ფოსტით არ არის გაგზავნილი) სასამართლოს კანცელარია ამონმებს სარჩელის ფორმალურ მხარეს. კანცელარია ასევე ამონმებს ერთვის თუ არა სარჩელს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შუამდგომლობების გრაფაში მითითებულია თუ არა შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან შემცირების შესახებ, ერთვის თუ არა სარჩელს თანდართული დოკუმენტების ნუსხვაში მითითებული ყველა დოკუმენტი, ერთვის თუ არა სარჩელს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), არის თუ არა სარჩელი ხელმოწერილი, წარდგენილია თუ არა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა. სასამართლოს კანცელარია ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოსარჩელეს (მის წარმომადგენელს) მიუთითებს უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია სსკ-ის 177-ე და 178-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, გამოიტანს განჩინებას სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ, რასაც აცნობებს მოსარჩელეს და მისცემს მას ვადას ხარვეზის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელი შეტანილად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება მოსარჩელეს.

სასკ-ის 29-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

2. სარჩელის დასაშვებობის შემოწმება

სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამოწმებს სარჩელის დასაშვებობის საკითხს (სასკ-ის 22-25-ე მუხლების შესაბამისად). თუ კი დასაშვებობის საკითხის გადანყვეტა საეჭვოა ან მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, სასამართლო სარჩელის მიღებიდან 2 კვირის ვადაში ნიშნავს გამწესრიგებელ სხდომას სარჩელის დასაშვებობის საკითხის განსახილველად.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის დასაშვებობა მოწმდება სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე. სარჩელი დასაშვებია, თუ:

1. სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება (ე.ი. ყურადღება უნდა მიექცეს სარჩელის ფორმულირებას);
2. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებებს (სარჩელის დასაშვებობის დადგენისას საკმარისია იმის შესაძლებლობის არსებობა, რომ ირღვევა მოსარჩელის სუბიექტური უფლება. ნამდვილად დარღვეულია თუ არა მოსარჩელის უფლება, ეს დგინდება სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას);
3. დაცულია გასაჩივრების ვადები (სასკ-ის 22-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადანყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადანყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში – უშუალო

ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში).

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (მავალდებულებელი) სარჩელის დასაშვებობა მოწმდება სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე. სარჩელი დასაშვებია, თუ:

1. სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (ე.ი. ყურადღება უნდა მიექცეს სარჩელის ფორმულირებას);
2. მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს (სარჩელის დასაშვებობის დადგენისას საკმარისია იმის შესაძლებლობის არსებობა, რომ ირღვევა მოსარჩელის უფლება. ნამდვილად დარღვეულია თუ არა მოსარჩელის უფლება ეს დგინდება სარჩელის დასაბუთებულობის შემომწმებისას);
3. დაცულია გასაჩივრების ვადები (სასკ-ის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში).

ქმედების განხორციელების თაობაზე (მავალდებულებელი) სარჩელის დასაშვებობა მოწმდება სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე. სარჩელი დასაშვებია, თუ:

1. სარჩელის მიზანია ისეთი ქმედების განხორციელება ან ისეთი ქმედებისაგან თავის შეკავება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას (ე.ი. ყურადღება უნდა მიექცეს სარჩელის ფორმულირებას);
2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს (სარჩელის დასაშვებობის დადგენისას საკმარისია იმის შესაძლებლობის არსებობა, რომ ირღვევა მოსარჩელის უფლება. ნამდვილად დარღვეულია თუ არა მოსარჩელის უფლება ეს დგინდება სარჩელის დასაბუ-

თებულობის შემონმებისას);

აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა მონმდება სასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე. სარჩელი დასაშვებია, თუ:

1. სარჩელის მიზანია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარება ან უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა (ე.ი. ყურადღება უნდა მიექცეს სარჩელის ფორმულირებას);

2. მოსარჩელეს არ შეუძლია აღძრას სარჩელი სასკ-ის 22-24-ე მუხლების საფუძველზე (აღიარებით სარჩელს აქვს უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების სრულყოფის ფუნქცია. ის მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც შეუძლებელია დარღვეული უფლების დაცვა სასკ-ის 22-ე-24-ე მუხლების საფუძველზე. მაგ., სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით ქალაქის გამგეობამ გადაკეტა ჭყონდიდელის ქუჩა. ამ ქუჩაზე მდებარე ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონეს მიაჩნია, რომ დაუსაბუთებლად ჭიანურდება გზის გახსნა, რაც ზიანს აყენებს მის უფლებებს. მას შეუძლია აღძრას სარჩელი სასკ-ის 24-ე მუხლის თანახმად და მოითხოვოს გზის გახსნა, მაგრამ როდესაც სარჩელის შეტანამდე იხსნება ქუჩა, ასეთ შემთხვევაში რჩება უფლების დაცვის ერთადერთი საშუალება – აღიარებითი სარჩელი, რომელიც ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონეს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვოს გზის გადაკეტვით მისი უფლების დარღვევის აღიარება, რაც შესაძლებელია გახდეს სახელმწიფოს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი);

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების მოთხოვნის შემთხვევაში მოსარჩელეს შესაძლებლობა ეძლევა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გარეშე, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ამ აქტით მისი უფლებების დარღვევის აღიარება, შესაბამისად, აქტის არარა აქტად ცნობა.

3. სარჩელის საფუძვლიანობის (დასაბუთებულობის) შემოწმება

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სარჩელის დასაბუთებულობა მოწმდება სასკ-ის 32-ე მუხლის საფუძველზე.

სარჩელი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნით არის დასაბუთებული, ანუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას მისი ბათილად ცნობის (ან ძალადაკარგულად გამოცხადების) შესახებ, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონსაწინააღმდეგოა და ის პირდაპირ და უშუალო ინდივიდუალურ ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

საქმის განხილვის ამ ეტაპზე სასამართლო ამონმებს პირველ რიგში გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას მოწმდება

1. მისი გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები;
2. ადმინისტრაციული ორგანოს საგნობრივი, ტერიტორიული და ინსტანციური უფლებამოსილება;
3. ადმინისტრაციული წარმოების სახე და მისი გამოცემის ფორმა;
4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და მისი სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისობა;
5. ქვეყანაში მოქმედ სამართლის ნორმებთან შესაბამისობა.

ერთ-ერთი ამ საფუძვლებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობის დადგენის შემდეგ უნდა შემოწმდეს მოსარჩელის სუბიექტური უფლებების ხელყოფის ფაქტი.

როგორც უკვე ავლინნეთ მოსარჩელის სუბიექტური უფლებების დარღვევის ფაქტზე ჯერ კიდევ სარჩელის დასაშვებობის დადგენისას უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება. მაგრამ სარჩელის დასაშვებობის დადგენისას საკმარისია მოსარჩელის სუბიექტური საჯარო-სამართლებრივი უფლების ხე-

ლყოფის შესაძლებლობის არსებობა, ხოლო საქმის განხილვის ამ ეტაპზე, რომელსაც ჩვენ დასაბუთებულობის ფარგლებში უფლების დარღვევის დადგენას ვუნოდებთ, სასამართლომ საქმის ფაქტიური და სამართლებრივი საფუძვლების გამოკვლევის შედეგად უნდა დაადგინოს, პირდაპირ და უშუალო ინდივიდუალურ ზიანს აყენებს ან უკანონოდ ზღუდავს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

შემზღუდველი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში მოსარჩელის სუბიექტური უფლებებთან გვაქვს საქმე, როდესაც ის ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატია. მესამე პირის სუბიექტური უფლების დარღვევის შემთხვევაში, ის ვალდებულია მიუთითოს, ერთის მხრივ, იმ საჯაროსამართლებრივ ნორმაზე, რომლიდანაც გამომდინარეობს მისი სუბიექტური უფლება ან იცავს მის სამართლებრივ მდგომარეობას და მეორეს მხრივ, ამ უფლების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხელყოფის ფაქტზე.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (მავალდებულებელი) სარჩელის დასაბუთებულობა მოწმდება სასკ-ის 33-ე მუხლის საფუძველზე.

უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე უარის კანონინაალმდეგობა ან ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადის დარღვევა და უნდა დადგინდეს აყენებს თუ არა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ზიანს ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე.

ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე უარის კანონიერებისა თუ უკანონობის დადგენისას უნდა შემოწმდეს:

1. ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები და
2. ადმინისტრაციული ორგანოს საგნობრივი, ტერიტორიალური და ინსტანციური უფლებამოსილება;

ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე უარის უკანონობის დადგენის შემთხვევაში ფაქტიურად დადგენილია მოსარჩელის სუბიექტური უფლების ხელყოფის ფაქტი, რამდენადაც ადმი-

ნისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აქტის გამოცემის ვალდებულების, ასევე მოსარჩელის სუბიექტური უფლების წარმომშობის საფუძველს. ასევე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადის დარღვევა, რიგ შემთხვევაში, იწვევს პირის სუბიექტური უფლების ხელყოფას და ამდენად ის საჭიროებს განსაკუთრებულ შემოწმებას.

ქმედების განხორციელების თაობაზე (მავალდებულებელი) სარჩელის დასაბუთებულობა მონმდება სასკ-ის 331 მუხლის საფუძველზე.

უნდა შემოწმდეს ქმედების განხორციელების ან განხორციელებაზე უარის თქმის კანონიერება და მოსარჩელის სუბიექტური საჯარო-სამართლებრივი უფლების ხელყოფა.

IX. კაზუსის ამოსხნის მეთოდი კონსტიტუციურ სამართალში

კაზუსის ამოსხნის მეთოდი კონსტიტუციურ სამართალში განსხვავდება არა მარტო კერძო და სისხლის სამართლის, არამედ, ადმინისტრაციული სამართლის მეთოდისაგან. ეს განპირობებულია კონსტიტუციური სამართლის დარგისათვის დამახასიათებელი კონსტიტუციური ნორმების აბსტრაქტულობით.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ფორმულირება ართულებს მის სუბსუმციას იმ ფორმით, როგორც ეს ცნობილია კერძო, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლიდან. აუცილებელი ხდება კონსტიტუციის ნორმის კონკრეტიზაცია. ნორმის ინტერპრეტაცია წარმოადგენს კაზუსის ამოსხნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს. ნორმის შინაარსის დადგენისას მნიშვნელოვანია „კონსტიტუციის ერთიანობის“ გათვალისწინება. კონსტიტუციის თითოეული დებულება გაგებული და განმარტებული უნდა იქნას კონსტიტუციის კონტექსტში, სხვა ნორმებთან მიმართების გათვალისწინებით.¹⁴

¹⁴ Schoch, Friedrich, Übungen im öffentlichen Recht I, 12-15.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი კაზუსების შემდგომი თავისებურებების დასადგენად აუცილებელია გამიჯვნა ძირითად უფლებებსა და სახელმწიფო ორგანიზაციულ მოწყობას შორის.

1. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

ძირითადი უფლებებთან მიმართებით პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის მოკლედ და ზოგადად არის ფორმულირებული. სწორედ მათში ვლინდება კონსტიტუციური ნორმების ზოგადი (აბსტრაქტული) ხასიათი. კაზუსის ამოხსნის დროს ვიყენებთ ნორმის ინტერპრეტაციის კლასიკურ მეთოდს და კონსტიტუციური ნორმის სტრუქტურის მიმართ მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებულ დოგმატიკას. აღნიშნული მიდგომა ერთმანეთისგან მიჯნავს თავისუფლებისა და თანასწორობის ძირითად უფლებებს:

- თავისუფლების განმსაზღვრელი ნორმები, პირველ რიგში, წარმოადგენს სახელმწიფოს ჩარევისაგან მოქალაქის/ადამიანის დამცავ უფლებებს;

- თანასწორობის დამდგენი ნორმების მიზანია, თავიდან აიცილოს ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ კონსტიტუციიდან გამომდინარე სამართლებრივი საფუძვლების გარეშე განსხვავებული, არათანაბარი მიდგომა.

ა) ადამიანის თავისუფლებების დამდგენი ნორმები (დაცვის ფუნქცია)

ძირითადი თავისუფლებების კაზუსის განხილვისას უნდა დავადგინოთ საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიება, რომელსაც სადავოდ ხდის დაინტერესებული პირი, ეხება თუ არა ძირითადი უფლების დაცვის საგანს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემონმების სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. უნდა შევამოწმოთ გვაქვს თუ არა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროსთან პიროვნული და შინაარსობრივი სახის შემხებლობა 2. სახეზეა თუ არა უშუალო ფინალური ან შუალობითი ფაქტობრივი ჩარევა და 3. გვაქვს თუ არა ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება.

1. იმის შესამოწმებლად, ეხება თუ არა დავის საგანი ძირითადი

უფლებით დაცულ სფეროს, უნდა დავადგინოთ, ძირითადი უფლების განმსაზღვრელი ნორმა, რომლის დაცვის საგანსაც შეიძლება ეხებოდეს კაზუსის ფაბულაში აღწერილი შემთხვევა. კაზუსის ამომხსნელი საჯარო სამართალში, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კაზუსებისაგან განსხვავებით, თვითონ ფაბულაშიც იღებს მინიშნებებს შესაძლო დარღვეულ ნორმებთან დაკავშირებით და ამ ნორმათა აბსტრაქტული ბუნებიდან გამომდინარე - ასევე მინიშნებებს არგუმენტაციის წარმართვის კუთხით, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას ამოხსნაში. როდესაც არა გვაქვს ასეთი ინფორმაცია, კაზუსის ამომხსნელმა თავად უნდა დაადგინოს ის სავარაუდო ნორმა, რომელიც შეიძლება იცავდეს ძირითადი უფლების ადრესატს კაზუსში განსახილველი ჩარევისაგან.

2. შესაძლებელია გამოიკვეთოს არა ერთ, არამედ რამოდენიმე ძირითად უფლებასთან შემხებლობა, რომლებიც საბოლოოდ შესაძლოა დარღვეულად იქნას მიჩნეული. ასეთ შემთხვევაში (დასაშვებობის შემონმებისას პუნქტში „საჩივრის აღძვრის უფლებამოსილება“) უნდა ჩამოვთვალოთ - ყველა შესაძლო დარღვეული ძირითადი უფლება და მოვახდინოთ მათი განცალკევებული შემონმება (უმჯობესია შემდეგი თანმიმდევრობით: თავისუფლების განმსაზღვრელი ნორმები და შემდეგ თანასწორობის დამდგენი ნორმები; ხოლო ამ ცალკეული ჯგუფის ფარგლებში - სპეციალური და ზოგადი ხასიათის ნორმები). თუ კი დასტურდება სპეციალური ძირითადი უფლების დარღვევა არ არის საჭირო პრობლემის ანალიზი ზოგადი ხასიათის ნორმის მიმართებით, რომლებიც უფრო სუბსიდიური ხასიათისაა. თუ არ იკვეთება კაზუსში აღწერილი ფაქტის რომელიმე სპეციალურ ძირითად უფლებასთან მიმართებით დარღვევა შესაძლებელია შემონმება ზოგად ძირითად უფლებასთან კავშირში. თუ კი არცერთი სავარაუდო ნორმა არ არის სპეციალური ძირითადი უფლების სტატუსის მატარებელი უნდა მოხდეს თითოეული უფლების შესაძლო დარღვევის საკითხის გარკვევა.

იმის დასაადგენად, ექცევა თუ არა მომჩივანი უფლებით დაცულ სფეროში, უნდა განვსაზღვროთ, თუ ვის იცავს მოცემული ძირითადი უფლება და ხვდება თუ არა მომჩივანი ამ ნორმით დაცულ

პირთა წრეში.

ძირითადი უფლებებით დაცული პირის განსაზღვრისას, პირველ რიგში, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ფიზიკური და იურიდიული პირები. ფიზიკურ პირებთან მიმართებით უნდა განვასხვავოთ ადამიანის ძირითადი უფლებები და მოქალაქეთა ძირითადი უფლებები, აგრეთვე უფლებები, რომლებიც მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებზე ვრცელდება. იურიდიული პირების მიმართ გასათვალისწინებელია მთელი რიგი თავისებურებები: მაგალითად, უნდა გადაწყდეს, ვრცელდება თუ არა ძირითადი უფლება ყველა იურიდიულ პირზე, თუ მხოლოდ ისეთ კერძო სამართლის პირებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან საქართველოში. აქვე უნდა გადაწყდეს, არიან თუ არა საჯარო სამართლის იურიდიული პირები/კოლექტიური ორგანოები ძირითადი უფლების სუბიექტები, თუ აღნიშნული გამოირიცხება მათი სახელმწიფოსთან სიახლოვის გათვალისწინებით. იურიდიული პირები მხოლოდ იმდენად ექცვიან ძირითადი უფლების დაცვის სფეროში, რამდენადაც მათი დაფუძნება და საქმიანობა მოითხოვს "კერძო ფიზიკური პირის დაცვას სახელმწიფოს ჩარევებისგან". აღნიშნულიდან გამომდინარეობს პრინციპი, რომლის მიხედვითაც იურიდიული პირები, რომლებიც წარმოქმნილია მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და თავიანთი ორგანიზაციისა და ამოცანების ფარგლებში სტრუქტურირებულია სახელმწიფო სამართლით, ძირითადი უფლებების კუთხით მოიაზრება სახელმწიფო აპარატის შემადგენელ ნაწილად და მათზე არ ვრცელდება ძირითადი უფლებებით განსაზღვრული დაცვა. ამრიგად, ძირითადი უფლების ადრესატის კუთხით გამიჯვნა ხდება არა იმ საკითხიდან გამომდინარე, თუ რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა იქნა შერჩეული ამა თუ იმ იურიდიული პირისათვის.

2. ამრიგად ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ჩარევა და ძირითადი უფლებით დაცულ სფეროსთან უბრალო, (ყოველდღიური) შეხება. ხელყოფის შესაბამისი/ტოლი ჩარევა გვაქვს სახეზე, როდესაც მმართველობითი აქტი (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რეალაქტი), სასამართლოს გადაწყვეტილება თუ

ზოგად აბსტრაქტული მოწესრიგება (მაგ., კანონი) იწვევს კონსტიტუციის ნორმით გარანტირებული თავისუფლების შეზღუდვას.

2. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

ძირითადი უფლებით დაცული სფეროს ხელყოფის ფაქტის დადგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ძირითადი უფლების დარღვევის დადგენას. აღნიშნული შეიძლება დადგინდეს/გამოვლინდეს შემონმების ბოლოს, თუ დადგინდება, რომ ჩარევა არ არის გამართლებული კონსტიტუციური სამართლით. სწორედ ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლების შემონმება არის კაზუსის დამუშავების ძირითადი საფეხური. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ჩარევა გამართლებულია, თუ იგი ხდება ძირითადი უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარში (ფარგლებში). ამისათვის აუცილებელია ა) დადგინდეს ძირითადი უფლების ზღვარი (არაპირდაპირ კონსტიტუციით, მარტივი/კვალიფიცირებული კანონისმიერი დათქმა ან შიდაკონსტიტუციური ზღვარი) და ბ) გადამოწმდეს საჯარო ხელისუფლების ქმედება ზღვრის განმსაზღვრელი რეგულაციების კუთხით.

3. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი

ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ძირითადი უფლებები შესაბამის შიდაკონსტიტუციური ზღვრით და შეუზღუდავად გარანტირებული (თუმცა, სხვა კონსტიტუციურ უფლებებთან კოლიზიის შემთხვევაში მაინც შეზღუდული) ძირითადი უფლებები. კონსტიტუციის ტექსტში მოცემული დათქმა უფლების შესაძლო შეზღუდვაზე გხვდება ორი ფორმით – კანონის მარტივი დათქმით და კანონის კვალიფიციური დათქმით. კანონისმიერი დათქმა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს ინდივიდის შეუზღუდავი თავისუფლება და კანონმდებელს ანიჭებს უფლებამოსილებას მოახდინოს ურთიერთსაინანამდეგო ინტერესებს შორის (კოლიზიის შემთხვევაში) ბალანსის მიღწევა. ძირითადი უფლების შეზღუდვა შეიძლება მოხდეს უშუალოდ კანონით ან კანონმდე-

ბლის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და კანონის შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიების შედეგად. ამასთან, უნდა მოხდეს არსებითობის თეორიის გათვალისწინება, როდესაც რეგულირება ახდენს ჩარევას ძირითად უფლებებში, ვინაიდან მხოლოდ დემოკრატიულად ლეგიტიმირებულ პარლამენტს შეუძლია იმის მონესრიგება, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ჩარევა ძირითად უფლებებში შესაბამისი რეგულაციებით. აღნიშნული კომპეტენციის დელეგირების უფლება პარლამენტს არ აქვს.

კაზუსის დამუშავების დროს უნდა მოხდეს იმედ დადგენა სახეზე გვაქვს თუ არა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი და რაში მდგომარეობს მისი არსი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით ძირითადი უფლებები კანონისმიერი დათქმის გარეშე არ არის შეუზღუდავი. უფლების რეალიზაციის სოციალური ადეკვატურობისა და კონსტიტუციის ერთიანობის გათვალისწინებით შესაძლებელია ნებისმიერ ძირითად უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა მესამე პირების კოლიზიური კონსტიტუციური უფლების ან კონსტიტუციური რანგის მქონე სამართლებრივი სიკეთის დასაცავად (შიდაკონსტიტუციური ზღვარი).

4. ზღვრის ზღვარი

ძირითადი უფლების შეზღუდვას (კანონმდებლის მიერ ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ) აქვს ზღვარი (ე. წ. ზღვრის ზღვარი). ძირითადი უფლების მატარებელი სუბიექტი ვალდებულია ითმინოს უფლების კონსტიტუციური შეზღუდვა. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ძირითადი უფლების შეზღუდვა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული რომ იყოს აუცილებელია ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ძირითადი უფლებები შესაბამის შიდაკონსტიტუციური ზღვრით და შეუზღუდავად ზღვრის ზღვარის შემონგებისას უპირველესად უნდა შემონგდეს, სახეზეა თუ არა კონსტიტუციის ნორმის დარღვევა ძირითადი უფლებების კატალოგს მიღმა. აღნიშნული მოიცავს კანონის ფორ-

მალური და მატერიალური კონსტიტუციურობის შემონმებას. ფორმალური კონსტიტუციურობის ფარგლებში მნიშვნელოვანია კანონმდებლის კომპეტენციის დადგენა ნორმის გამოცემაზე. მეორე საფეხურზე უნდა გაირკვეს, ხომ არ ეწინააღმდეგება კანონი ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებას, რომელიც იწვევს ჩარევას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში, უნდა გააჩნდეს საკანონმდებლო საფუძველი. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თანაზომიერების პრინციპის დაცვას.

ღონისძიების/ქმედების თანაზომიერების შემონმება მიმდინარეობს ოთხ საფეხურაინი მოდელით. პირველ რიგში, აუცილებელია იმის ანალიზი, თუ რა მიზანს ემსახურება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა. სახელმწიფოს მიერ დასახული მიზანი არის თუ არა კონსტიტუციურ-სამართლებრივად ლეგიტიმური. თუ სახელმწიფო თავისი ღონისძიებით/საშუალებით ახორციელებს არალეგიტიმურ მიზანს, ეს ავტომატურად იწვევს მისი ქმედების არათანაზომიერებას. სხვა შემთხვევაში გრძელდება თანაზომიერების სამ-საფეხურაინი შემონმება: (ი) საშუალება/ღონისძიება უნდა იყოს სათანადო მიზნის მისაღწევად, (იი) შემდეგ, მეორე ეტაპზე მონმდება, აუცილებელია თუ არა საშუალება/ღონისძიება მიზნის მისაღწევად. საშუალება/ღონისძიება არის აუცილებელი, როდესაც არ არსებობს სხვა, მსგავსად სათანადო, მაგრამ უფრო რბილი საშუალება/ღონისძიება იგივე მიზნის მისაღწევად. აქ სტუდენტმა თავად უნდა მოიძიოს შესაბამისი ალტერნატივები და ალტერნატიული რეგულირებები და დამოუკიდებლად განახორციელოს მათი სათანადოობის შემონმება. (იიი) დაბოლოს, საშუალება/ღონისძიება უნდა იყოს პროპორციული (თანაზომიერი ვიწრო გაგებით). აქ უნდა მოხდეს რეგულირების (ლეგიტიმური) მიზნისა და შეზღუდული ძირითადი უფლების ურთიერთშეწონვა (შეპირისპირება). ანუ, განხილულ უნდა იქნას, რამდენად პროპორციულია (შესაბამისია) თავისუფლების შემზღუდველი რეგულირება დასახული/განსახორციელებელი მიზნისა. მხოლოდ ამ საფეხურის წარმატებულ გავლის შემდეგ მიიჩნევა საშუალება/ღონისძიება თანაზომიერად.

ბ) ადამიანის თანასწორობის დამდგენი ნორმები

თავისუფლების ძირითადი უფლებებისგან განსხვავებით თანასწორობის ძირითად უფლებებში საკითხი ეხება არა სახელმწიფოს ჩარევისაგან დაცვას, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიება გაუმართლებლად არათანაბარ ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს თუ არა ადამიანს ან ადამიანის ჯგუფებს. კაზუსის განხილვის ფარგლებში თანასწორობის პრობლემის განხილვა ხდება ორსაფეხუროვანი სისტემით. **სუნდა შემონმდეს**

(1) სახეზეა თუ არა უთანასწორო მოპყრობა იმავე ხელისუფლების (კანონმდებლის) მხრიდან;

(2) არის თუ არა ეს უთანასწორო მოპყრობა კონსტიტუციურად გამართლებული.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი თანასწორობა არ ნიშნავს „იდენტურობას“, არამედ - „შედარებადობას“. ბუნებით ყველა ადამიანი განსხვავებულია (ისინი თანასწორნი არიან მხოლოდ თავიანთი თვისების კუთხით, როგორც ადამიანი). სიტუაციებიც და ადამიანთა ჯგუფებიც მხოლოდ შედარებადია ერთმანეთთან. ამრიგად, უთანასწორობის დადგენამდე საჭიროა მათი ურთიერთშედარება და მსგავსების დადგენა, რომლის დროსაც ვხელმძღვანელობთ ე.წ. ტერციუმ კომპარაციონის (ლათ. ტერტიუმ ცომპარაციონის) პრინციპით. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, ორ ჯგუფს შორის უნდა შეიქმნას მათი გამაერთიანებელი, საერთო ცნება, რომელშიც თავმოყრილი იქნება მსგავსებები (საერთო ნიშნები) ამ ორ ჯგუფს შორის.

თუ კი იკვეთება თანასწორობის პრინციპის დარღვევა მეორე ეტაპზე უნდა შემონმდეს ეს უთანასწორო მოპყრობა არის თუ არა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული. აღნიშნული მიმდინარეობს ორ-საფეხურიანი მოდელით: ე.წ. თვითნებობის ფორმულით ჯერ მონმდება არსებობს თუ არა რაიმე საქმიდან გამომდინარე საფუძველი უთანასწორო მოპყრობისა, თუ ადგილი ჰქონდა უბრალო „თვითნებობას“. თვითნებობა ნიშნავს, როდესაც არ არსებობს უთანასწორო მოპყრობის არანაირი გონივრული მიზეზი თუ საფუძველი, რომელიც გამომ-

დინარეობს საქმის არსიდან. უფრო მაღალი ინტერსიურობის უთანასწორობას გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BverfGE 4, 144 (155)) უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული განპირობებული და გამართლებული არსებითი და მნიშვნელოვანი საფუძვლით. ასეთი შემთხვევებია (ანუ, მაღალი ინტენსიურობის) გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევები, სადაც თანაზომიერება მკაცრად და სრულად მოწმდება.

2) სახელმწიფო მოწყობის მომწესრიგებელი ნორმები

ძირითადი უფლებების კაზუსების განხილვა მოიცავს ასევე სახელმწიფო (მოწყობის) სამართლის საკითხებსაც. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლების შემომწმება მოიცავს ერთ ასეთ პუნქტსაც: "კონსტიტუციური ნორმის დარღვევა ძირითადი უფლებების კატალოგს მიღმა" (ვინაიდან საშუალება/ლონისძიება, რომელიც სამართლებრივად ნამდვილად და კონსტიტუციურად ზღუდავს ძირითადი უფლებების ადრესატის უფლებას, უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ ძირითადი უფლებების ნორმებს, არამედ ასევე კონსტიტუციის სხვა დანარჩენ რეგულაციებსაც), სადაც უნდა შემოწმდეს კანონის (ი) ფორმალური და (იი) მატერიალური კონსტიტუციურობა. ფორმალური კონსტიტუციურობის ფარგლებში მოწმდება უფლებამოსილება (კომპეტენცია) და ასევე დაცულია თუ არა კანონის გამოცემის პროცესუალური მოთხოვნები (ნარმოება), ხოლო მატერიალური კონსტიტუციურობის ფარგლებში განიხილება, ხომ არ ეწინააღმდეგება კანონი კონსტიტუციურ რეგულაციებს ძირითადი უფლებების განმსაზღვრელი ნორმების მიღმა (მაგალითად: საპარლამენტო დათქმა, განსაზღვრულობის პრინციპი და ა.შ.). ამრიგად, სახელმწიფოს ორგანიზაციული მოწყობის საკითხებიც განიხილება ინციდენტურად, ძირითადი უფლებების შემომწმებისას.

5. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება

კონსტიტუციურ-სამართლებრივი კაზუსის ამოხსნისათვის მნიშვნელოვანია კონსტიტუციური საპროცესო სამართლის თავისებურებების ცოდნა. კონსტიტუციური საპროცესო სამართლის ინსტიტუტები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სტრუქტურირებულად, როგორც კაზუსის ამოხსნის სქემა, როგორც ეს ჩვენთვის ცნობილია ადმინისტრაციული სამართლიდან.

ჩვენთვის ნაცნობი ზოგადო წესის გათვალისწინებით, კაზუსის განხილვას ვინწყებთ მთავარი წინადადებით. თუ კითხვა დასმულია კონსტიტუციური საჩივრის პერსპექტიულობის კუთხით (კაზუსის კითხვა წარმართავს/განაპირობებს მისი ამოხსნის დასკვნასაც!), მაშინ დასაშვებობის შემომწებამდე განთავსდება ასეთი ფორმულირების მთავარი წინადადება: „კონსტიტუციურ საჩივარს აქვს წარმატების პერსპექტივა, რამდენადაც იგი დასაშვები და დასაბუთებულია (სიტყვა „რამდენადაც“ ცხადჰყოფს საჩივრის ნაწილობრივი საფუძვლიანობის შესაძლებლობასაც)“. დასაბუთებულობის/საფუძვლიანობის განხილვამდეც საჭიროა შესაბამისი მთავარი წინადადების ფორმულირება. მისი ფორმულირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის აქტია გასაჩივრებული: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან ნორმატიული აქტი თუ სასამართლო გადაწყვეტილება. პირველის შემთხვევაში, მთავარი წინადადების ფორმულირება ასე შეიძლება: „კონსტიტუციური საჩივარი დასაბუთებულია, რამდენადაც ადმინისტრაციული აქტი არღვევს მომჩივანის ძირითად უფლებას“. მეორე შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ არის „ზე/სუპრა-საკასაციო“ სასამართლო. იგი „მხოლოდ“ კონსტიტუციური სამართლის შესაძლო დარღვევებს ამომწებს და არა იმას, თუ რამდენად სწორად გამოიყენეს კანონი/სამართალი საერთო ან სხვა სპეციალურმა სასამართლოებმა (გარდა თვითნებობის კონტროლისა, ანუ, როდესაც თვითნებობით ადგილი აქვს კანონის გაუთვალისწინებლობას). აღნიშნული უნდა ჩანდეს მთავარ წინადადებაშიც: „კონსტიტუციური საჩივარი დასაბუთებულია, რამდენადაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფორმით დაირღვა მომჩივანის ძირითადი უფლება“.

6. საკონსტიტუციო სარჩელის პერსპექტიულობის დადგენის სქემა

ა. სარჩელის დასაშვებობა

I. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობა (საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-10 მუხლი და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-19 და 21-ე მუხლები)

II. სარჩელის სათანადო ფორმა (საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-15-16 მუხლები და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 31-ე მუხლი)

III. განმცხადებლის უფლებაუნარიანობა (საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 34-42 მუხლები)

- ფიზიკური პირები
- იურიდიული პირები

IV. დავის საგანი

V. კანონიერი ინტერესი (სახეზეა, როდესაც მოცემულია ზემოთხსენებული წინაპირობები. შეიძლება მაინც იქნას განხილული ისეთ შემთხვევებში, როდესაც ძირითადი უფლების დარღვევა მოხდა წარსულში და საუბარია რეჰაბილიტაციის ინტერესზე ან განმეორების საფრთხეზე).

VI. საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება

VII. ხანდაზმულობის ვადები

ბ. სარჩელის დასაბუთებულობა

მთავარი წინადადების შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის საჩივრის საგანი.

თავისუფლების ძირითადი უფლებების დარღვევის სარჩელზე დასაბუთებულობის შემონმების სქემა

I. დაცვის/დაცული სფერო

1. პიროვნული
2. შინაარსობრივი

II. ჩარევა (უშუალო ან ე.წ. შუალობით-ფაქტობრივი)

III. კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება

მთავარი წინადადება: ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია, თუ იგი აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელსაც ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) ითვალსინინებს ამგვარი/ასეთი სახის ჩარევების მიმართ.

1. საჭიროა ძირითადი უფლების/თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობის გამოვლენა/დადგენა (ზღუდეები).

უშუალო კონსტიტუციური, მარტივი/კვალიფიცირებული კანონისმიერი დათქმა ან შიდაკონსტიტუციური ზღუდეები შეუზღუდავად გარანტირებული ძირითადი უფლებების შემთხვევაში.

2. ზღუდეების ფარგლების დაცვის შემოწმება (ზღუდის ზღუდე).

ა) ძირითადი უფლებების მიღმა არსებული რეგულაციების/ნორმების დარღვევა

(ა) კანონის ფორმალური კანონიერება.

(ბ) კანონის მატერიალური კანონიერება.

ბ) ძირითადი უფლებების კატალოგის დარღვევა

(ა) დაცულია თუ არა განსაკუთრებული/სპეციალური მოთხოვნები/წინაპირობები.

მნიშვნელოვანია, როდესაც ძირითადი უფლება შეზღუდულია კვალიფიცირებული კანონისმიერი დათქმით. შეუზღუდავად გარანტირებული ძირითადი უფლების შემთხვევაში შეზღუდვა განხორციელდება კოლიზიაში მყოფი სხვა კონსტიტუციური სიკეთის კუთხით.

(ბ) დაცულია თუ არა ზოგადი მოთხოვნები/წინაპირობები.

მოხდა თუ რა ძირითადი კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის დარღვევა (ციტირების მოთხოვნა, ძირითადი უფლებების არსის გარანტია); თანაზომიერების შემოწმება (მიზანი/საშუალების გამოვლენა, სათანადო, აუცილებელი, ადეკვატური/პროპორციული).

პირველი კაზუსი

„ა“ ფლობს მიწის ნაკვეთს ერთ-ერთ 50 000 მაცხოვრებლიან მუნიციპალიტეტში (შემდგომში - მუნიციპალიტეტი), რომლის ცენტრალური ნაწილი (შემდგომში - „ც“ ტერიტორია) წარმოადგენს სასოფლო ტიპის განაშენიანებას. „ც“ ტერიტორიაზე 2009 წელს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილმა ორგანომ (საკრებულომ) შესაბამისი ნორმატიული აქტით დაამტკიცა განაშენიანების დეტალური გეგმა (შემდგომში - გდგ), რომელშიც შენარჩუნებული იყო ტრადიციული სასოფლო განაშენიანება. 2012 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიცვალა პოლიტიკური უმრავლესობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ც“ ტერიტორიაზე განხორციელდეს ქალაქური ტიპის განაშენიანება, რომელშიც მოიაზრება თანამედროვე სახის 12 სართულიანი სავაჭრო და ადმინისტრაციული ობიექტების მშენებლობა. ამით შესაძლებელი გახდებოდა მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში განსაკუთრებული ქალაქთმშენებლობითი აქცენტის შემოტანა. ამ განზრახვით მუნიციპალიტეტის საკრებულომ კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური წესების დაცვით გააუქმა ძველი გდგ და დაამტკიცა ახალი.

მოგვიანებით „ა“-მ მიმართა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს (მერიას), „ც“ ტერიტორიაზე არსებულ მის მიწის ნაკვეთზე ერთსართულიანი სამიკიტნოს მშენებლობის ნებართვის გამოცემის თაობაზე, რომლის მსგავსი სივრცითი წყობა (3 სართულიანი შენობების სახით) ადრე არსებული გეგმით შესაძლებელი იყო. მერიის შესაბამისმა სამსახურმა „ა“-ს ნებართვის გაცემაზე უთხრა უარი, რაც ზემდგომმა ორგანომაც დატოვა ძალაში იმ საფუძვლით, რომ ა) სანებართვო განაცხადი ეწინააღმდეგება განაშენიანების რეგულირების ახალი გეგმის მოთხოვნებს და ბ) განაშენიანების რეგულირების ძირითად დებულებებს ესთეტიკური პარამეტრების ნაწილში (კერძოდ მერია ითხოვს, რომ შენობა ფასადზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო ხანმედეგი და საქალაქო განაშენიანებისთვის შესატყვისი მოსაპირკეთებელი მასალა). „ა“ ახალი გდგ-ის დამტკიცებას თვლის კანონსაწინააღმდეგოდ, ვინაიდან დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული არ ყოფილა მისი ინტერესები. მისი მოსაზრებით,

ახალი გეგმით დაუშვებელი იყო მისი საკუთრების უფლების ამგვარად შეიცვლა. ამავე დროს, მისი მოსაზრებით, მერიას არ ჰქონდა შენობის ესთეტიკურ მხარეზე გადანყვეტილების მიღების უფლება.

ამგვარად, „ა“-მ გდგ-ის ბათილად ცნობისა და მშენებლობის ნებართვის დავალდებულების თაობაზე სარჩელით მიმართა სასამართლოს.

რა სამართლებრივი პერსპექტივა აქვს „ა“-ს სარჩელს სასამართლოში?

კაზუსის ამოხსნა

I. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა

შესაძლებელია „ა“-ს სასარჩელო მოთხოვნა გდგ-ის ბათილად ცნობისა და მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალდებულების თაობაზე იყოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი.

სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, დავა ადმინისტრაციული აქტის კანონიერების დადგენისა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე არის ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი საქმე. სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ სზაკ-ით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. სასკ-ის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ (საგნობრივად განსჯად) საქმეებს, თუ ის არ არის მაგისტრი მოსამართლის განსჯადი (ინსტანციური განსჯადობა). სასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა

და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე განიხილება სადავო აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით (ტერიტორიული განსჯადობა).

მოცემულ შემთხვევაში საერთო სასამართლოების ფარგლებში დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება იმდენად, რომ „ა“ ითხოვს გდგ-ის კანონიერების შემოწმებას და მშენებლობის ნებართვის (იასას) გამოცემას. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული სას.კ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წინაპირობა სახეზეა. გარდა ამისა, დავა გამომდინარეობს სამშენებლო კანონმდებლობიდან, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ დავა საჯარო-სამართლებრივი ბუნებისაა. ამავე დროს, აღნიშნული დავა ის არ არის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბუნების. რაც შეეხება ერთჯერადი გასაჩივრების საკითხს, ვინაიდან კაზუსიდან ირკვევა, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანოს „საჩივრის ფარგლებში“ ძალაში დატოვა ნებართვის გაცემაზე ქვემდგომი ორგანოს უარი, ივარაუდება, რომ მოსარჩელეს გამოყენებული აქვს ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. ამით გამოირიცხება ადმინისტრაციული ორგანოს ქვემდებარეობა.

ამგვარად, დავა გდგ-ის ბათილად ცნობისა და მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალდებულების თაობაზე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის განსჯადი საქმე.

II. სარჩელის სათანადო სახე

შესაძლებელია „ა“-ს უფლების დასაცავად სარჩელის სათანადო სახე იყოს სას.კ-ის 22-ე და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელი (ე.წ. კომბინირებული სარჩელი).

სას.კ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი შეიძლება აღიძრას სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, თუ მოსარჩელეს აქვს აქტის ბათილად ცნო-

ბის მიზანი, ხოლო სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, თუ ამ გზით შესაძლებელი იქნება მოსარჩელის მიზნის მიღწევა. ამგვარად, სარჩელის სათანადო სახის დასადაგენად უნდა გაირკვეს 1) საქმიანობის სამართლებრივი ფორმა და 2) მოსარჩელის მიზანი.

1. საქმიანობის სამართლებრივი ფორმა

პირველ რიგში უნდა გაირკვეს, არსებობს თუ არა სასკ-ის 22-ე და 23-ე მუხლებით განსაზღვრული საქმიანობის სამართლებრივი ფორმები.

მოცემულ შემთხვევაში „ა“, ერთი მხრივ, სადავოს ხდის განაშენიანების დეტალური გეგმას და ითხოვს მის ბათილად ცნობას, ხოლო, მეორე მხრივ, ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსთვის მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალდებულებას. ამიტომ უნდა შემოწმდეს ორივე ორივე აქტის სამართლებრივი ფორმა.

1.1. გდგ-ის სამართლებრივი ფორმა (სასკ-ის 22-ე მუხლი)

პირველ აქტთან დაკავშირებით კაზუსიდან პირდაპირ ირკვევა, რომ სადავო გდგ არის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შეიცავს სზაკ-ის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ნიშნებს - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, კანონმდებლობის საფუძველზე, პირთა განუსაზღვრელი წრე, ქცევის ზოგადი წესი. შესაბამისად, შემოწმების გარეშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული საქმიანობის სამართლებრივი ფორმა სახეზეა.

1.2. მშენებლობის ნებართვის სამართლებრივი ფორმა (სასკ-ის 23-ე მუხლი)

რაც შეეხება „ა“-ს მეორე მოთხოვნას მშენებლობის ნებართვის გამოცემის თაობაზე, ის გულისხმობს იასა-ს გამოცემას, ვინაიდან მოიცავს სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ 4-ივე ელემენტს:

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (შემდეგში - სდასსკ) მე-100 მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა მუნიციპალიტეტი (ორგანიზაციული გაგებით ადმინისტრაციული ორგანო). მოცემულია ასევე ცნების მე-2 ელემენტი - ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. მოსარჩელის მოთხოვნა მშენებლობის ნებართვის გამოცემის თაობაზე ემყარება სდასსკ-ის 92 და შემდეგ მუხლებს და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახება და პირობების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის #255 დადგენილებით განსაზღვრულ საჯარო-სამართლებრივ ნორმებს. პრობლემური არ არის სხვა ელემენტებიც პირთა განსაზღვრული წრე (მოსარჩელის მოთხოვნა გულისხმობს კონკრეტული შემთხვევის დარეგულირებას, ის აგრეთვე მიმართულია კონკრეტული პირისკენ - „ა“-სკენ) და მონესრიგება (მშენებლობის ნებართვის გაცემა „ა“-ს მიმართ წარმოშობს მშენებლობის განხორციელების უფლებას).

შესაბამისად, შემონშების გარეშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასკ-ის 23-ე მუხლით განსაზღვრული საქმიანობის სამართლებრივი ფორმა (იასა-ს გამოცემა) სახეზეა.

1.3. შუალედური დასკვნა

შესაბამისად, სასკ-ის 22-ე და 23-ე მუხლებით დადგენილი საქმიანობის სამართლებრივ ფორმები სახეზეა.

2. მოსარჩელის მიზანი

სარჩელის სათანადო სახის განსაზღვრისთვის საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დადგენის გარდა, უნდა გაირკვეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს გდგ-ის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის იასა-ს გამოცემის დავალდებულების მიზანი. ამიტომ უნდა შემოწმდეს მოსარჩელის მიზანი ცალკეულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2.1. გდგ-ს ბათილად ცნობის მიზანი (სასკ-ის 22-ე მუხლი)

პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, კაზუსიდან ირკვევა, რომ „ახალი გეგმით ნეგატიურად შეიცვალა მოსარჩელის საკუთრების უფლების შინაარსი“. კერძოდ, შეიზღუდა ისეთი მშენებლობის განხორციელება, რაც ძველი გდგ-ის საფუძველზე შესაძლებელი იყო. თავის მხრივ, მერიამ ნებართვის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო საკრებულოს მიერ დამტკიცებული ახალი გდგ-ის საფუძველზე, რომლის ძალაში დატოვება შექმნის მოსარჩელის მიერ დაგეგმილი მშენებლობის განხორციელების სამართლებრივ შეუძლებლობას. ამავე დროს, არ არსებობს იერარქიულად ზემდგომი აქტი, რომელიც მერიას მისცემდა სხვაგვარი გადაწყვეტილების შესაძლებლობას. შესაბამისად, გდგ-ის ბათილად ცნობით შესაძლებელი იქნება „ა“-ს მიზნების მიღწევა - უარის პირველი სამართლებრივი საფუძველის (გრგ-ის მოთხოვნების) კანონიერების დადგენა. ამდენად, ამ შემთხვევაში არსებობს სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე გდგ-ის ბათილად ცნობის მიზანი. ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელს აქვს ე.წ. „სუბსიდიარული“ ბუნება - მის გარეშე ძირითადი საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია.

2.2. მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალდეზულების მიზანი (სასკ-ის 23-ე მუხლი)

მეორე სასარჩელო მოთხოვნა - ადმინისტრაციული ორგანოსთვის მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალდეზულება - მოსარჩელის მთავარი მიზანია. ამ მიზნის მიღწევა კი შესაძლებელი იქნება არა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის ბათილად ცნობის გზით, არამედ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალდეზულების გზით, რაც შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, თუ ა) ზემოთ აღნიშნული „სუბსიდიარული“ სარჩელის ფარგლებში შესაძლებელი გახდება 2015 წლის გდგ-ის გაუქმება და მოხდება 2009 წლის გდგ-ის აღდგენა, რითაც პირველი სამართლებრივი საფუძველი გამოეცლება მერიის უარს და ბ) შემოწმდება უარის მეორე სამართლებრი-

ვი საფუძვლის კანონიერება შენობის ესთეტიკური პარამეტრების ნაწილში. ამ ორივე საფუძვლის შემონმების საფუძველზე შესაძლებელი გახდება მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალდებულების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ამგვარად, 23-ე მუხლის ფარგლებში მოსარჩელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობა უდავოა.

2.3. შუალედური დასკვნა

შესაბამისად, მოსარჩელის მიზნის მიღწევა შესაძლებელია სასკ-ის 22-ე (სუბსიდიარობის თვალსაზრისით) და 23-ე მუხლების საფუძველზე გდგ-ის ბათილად ცნობისა და ნებართვის გაცემის დავალდებულების მიზანი.

3. დასკვნა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასკ-ის 22-ე და 23-ე მუხლების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სარჩელის სახედ უნდა განისაზღვროს როგორც სარჩელი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, ისე სარჩელი იასა-ს (მშენებლობის ნებართვის) გამოცემის დავალდებულების თაობაზე (ე.წ. კომბინირებული სარჩელი).

III. დავის გადაწყვეტის პერსპექტივა

„ა“-ს მოთხოვნა პერსპექტიული და შედეგიანი იქნება, თუ ის დასაშვები და დასაბუთებულია.

1. სარჩელის დასაშვებობა

შესაძლებელია „ა“-ს სარჩელი გდგ-ის ბათილად ცნობისა და მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალდებულების თაობაზე იყოს დასაშვები.

1.1. სარჩელი გდგ-ის ბათილად ცნობის თაობაზე (სასკ-ის 22-ე მუხლი)

შესაძლებელია „ა“-ს სარჩელი გდგ-ის ბათილად ცნობის თაობაზე იყოს დასაშვები.

სასკ-ის 22-ე მუხლის თანახმად, სარჩელი დასაშვებია, თუ ა) მოსარჩელის მოთხოვნა გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას; ბ) ადმინისტრაციული ორგანოს უარი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; გ) ნორმატიული აქტის შემთხვევაში სარჩელის შეტანილია უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

კაზუსიდან პირდაპირ იკვეთება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გულისხმობს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გრგ-ის) ბათილად ცნობას. კაზუსიდან ასევე იკვეთება, რომ ახალი გდგ ზღუდავს „ა“-ს მოთხოვნას მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამიკიტნოს მშენებლობის თაობაზე, რაც საკმარისი საფუძველია ვარაუდისთვის, რომ „ა“-ს კანონიერ უფლებასა და ინტერესს ადგება ზიანი, შესაბამისად, აღნიშნული სარჩელის დასაშვებობის სტანდარტისთვის საკმარისია. ვინაიდან კაზუსში არ იკვეთება გასაჩივრების 3 თვიანი ვადის დარღვევის საკითხი, ივარაუდება, რომ ეს წინაპირობაც დაცულია.

ამდენად, გდგ-ის ბათილად ცნობის ნაწილში „ა“-ს სარჩელი დასაშვებია.

1.2. სარჩელი მშენებლობის ნებართვის გამოცემის თაობაზე (სასკ-ის 23-ე მუხლი)

შესაძლებელია „ა“-ს სარჩელი მშენებლობის ნებართვის გაცემის დავალდებულების თაობაზე იყოს დასაშვები.

სასკ-ის 23-ე მუხლის თანახმად, სარჩელი დასაშვებია, თუ ა) მოსარჩელის მოთხოვნა გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას; ბ) ადმინისტრაციული ორგანოს უარი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; გ) სარჩელის შეტანილია უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

ვინაიდან სარჩელის სათანადო სახის განსაზღვრის ეტაპზე უკვე დადგინდა, რომ „ა“ ადმინისტრაციული ორგანოსგან ითხოვს იასა-ს გამოცემას, შემონქმების გარეშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სარჩელის დასაშვებობის ეს ელემენტი სახეზეა. მოსარ-

ჩელისთვის პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის სავარაუდოდ მიყენების საკითხიც არ არის სადავო, ვინაიდან აღნიშნული უკვე დადგინდა პირველი სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობის შემონმების ფარგლებში, რაც უცვლელად მოქმედებს მეორე სასარჩელო მოთხოვნის შემთხვევაშიც. სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, ვინაიდან კაზუსიდან რაიმე სახის დარღვევა არ იკვეთება, ივარაუდება, რომ მშენებლობის ნებართვის გამოცემაზე უარის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან დაცულია სარჩელის წარდგენის 1 თვიანი ვადა.

ამდენად, მშენებლობის ნებართვის გაცემის დავალდებულების თაობაზე „ა“-ს სარჩელი დასაშვებია.

1.3. შალედური დასკვნა

„ა“-ს სარჩელი გდგ-ის ბათილად ცნობისა და მშენებლობის ნებართვის გამოცემის თაობაზე სასკ-ის 22-ე და 23-ე მუხლების საფუძველზე დასაშვებია.

2. სარჩელის დასაბუთებულობა

შესაძლებელია „ა“-ს სარჩელი გდგ-ის ბათილად ცნობისა და მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალდებულების თაობაზე იყოს დასაბუთებული.

სასკ-ის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. სასკ-ის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე არის დასაბუთებული, თუ უარი ეწინააღმდეგება კანონს ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

იმისათვის, რომ „ა“-ს სარჩელი გდგ-ის ბათილად ცნობისა (სასკ-ის 22-ე მუხლი) და მშენებლობის ნებართვის გამოცემის დავალ-

დებულების თაობაზე (სასკ-ის 23-ე მუხლი) იყოს დასაბუთებულ-
ლი, აუცილებელია დადგინდეს, რომ ის ა) ეწინააღმდეგება კა-
ნონს და ბ) პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელეს.

როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში სასკ-ის 22-ე
მუხლის საფუძველზე ჯერ უნდა დადგინდეს გდგ-ის კანონიერ-
ება, რაც გვაძლევს პასუხს მშენებლობის ნებართვის გაცემაზე
უარის ერთ-ერთი საფუძვლის (დაგეგმილი მშენებლობის შეუ-
საბამობა გდგ-ის მოთხოვნებთან) კანონიერების თაობაზე. ამ
ეტაპზე მიღებული შედეგის მიუხედავად, სასკ-ის 23-ე მუხლის
საფუძველზე ცალკე უნდა შემოწმდეს უარის მეორე საფუძვლის
(შენობის საპროექტო გადაწყვეტის ესთეტიკურ პარამეტრე-
ბთან შეუსაბამობის) კანონიერების საკითხი.

2.1. გდგ-ის კანონიერება (სასკ-ის 32-ე მუხლი)

მაშასადამე, ჯერ ვადგენთ გდგ-ის კანონიერებას. გდგ იქნება
უკანონო, თუ ის არ შეესაბამება ფორმალური ან მატერიალური
კანონიერების კრიტერიუმებს.

2.1.1. ფორმალური კანონიერება

როგორც კაზუსიდან ირკვევა „მუნიციპალიტეტის საკრებულომ
კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური წესების დაცვით
გააუქმა ძველი გდგ და დაამტკიცა ახალი.“ შესაბამისად, შემოწ-
მების გარეშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფორმალური კანონი-
ერების წინაპირობები - უფლებამოსილი ადმინისტრაციული
ორგანო, ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე, წერი-
ლობითი ფორმა, გამოქვეყნება და დასაბუთებულობა - სახეზეა.
ამგვარად, სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლე-
ბრივი აქტი (გრგ) აკმაყოფილებს ფორმალური კანონიერების-
თვის ნაყენებულ მოთხოვნებს.

2.1.2. მატერიალური კანონიერება

შესაძლებელია გდგ იყოს კანონიერი და შეესაბამებოდეს სდასსკ-
ის მე-8, მე-9, 35-ე, 38-ე და სზაკ-ის მე-7 მუხლით დადგენილ მოთხო-
ვნებს.

სდასსკ-ის მე-8, მე-9 და 35-ე მუხლების საფუძველზე გდგ კა-
ნონიერია, თუ ა) ის შეესაბამება ქალაქგეგმარებით პრინციპებს

და ბ) მისი გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციულ უფლებამოსილებას ახორციელებს კანონით დადგენილ ფარგლებში.

2.1.2.1. გდგ-ის შესაბამისობა ქალაქგეგმარებით პრინციპებთან

შესაძლებელია გდგ შეესაბამებოდეს სდასსკ-ის მე-8 და 38-ე მუხლებით დადგენილ ქალაქგეგმარებით სახელმძღვანელო პრინციპებს.

სდასსკ-ის მე-8 და 38-ე მუხლების საფუძველზე გდგ ხელს უნდა უწყობდეს განვითარების ცენტრების სისტემის ჩამოყალიბებას, დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემის შენარჩუნებას და განვითარებას, აგრეთვე, მონყვლადი ზონებისა და დეპრესიული რეგიონების გათანაბრებას.

კაზუსიდან ირკვევა, რომ გდგ-ის მიზანია 50000 მაცხოვრებლიანი მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ტერიტორიაზე სასოფლო ტიპის დასახლება შეცვალოს ქალაქური ტიპის განაშენიანებით. ამით ის შექმნის მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებული პუნქტებისთვის განვითარების ცენტრის ჩამოყალიბებას და ამ გზით დეპრესიული რეგიონების გათანაბრებას. ამავ დროს, დასახლებული პუნქტის ინტენსიფიკაციით შესაძლებელი გახდება დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემის შენარჩუნება.

ამგვარად, სადავო გდგ შეესაბამება სდასსკ-ის მე-8 და 38-ე მუხლებით დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს.

2.1.2.1. დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერად განხორციელება

ვინაიდან მუნიციპალიტეტი გდგ-ის დამტკიცებისას მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სზაკ-ის მე-6 მუხლის თანახმად, უნდა გაირკვეს დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელებულია თუ არა კანონით დადგენილ ფარგლებში და მიზნით. ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს გდგ-ის გამოცემისას დაცულია თუ არა ა) ძირითადი უფლებები (დისკრეციული უფლებამოსილების ე.წ. „გარე ფარგლები“) და ბ) დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელებულია თუ არა კანონმდებლობით დადგენილი მიზნით და თანა-

ზომიერად (ე.წ. „შიდა ფარგლები“).

2.1.2.1.1. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შესაბამისობა ძირითადი უფლებებთან

მოცემულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები დაცული იქნება, თუ ის შესაბამისობაშია საკუთრების ძირითად უფლებებთან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებულია საკუთრების ძირითადი უფლება, რომელიც მოიცავს საკუთრებას როგორც ინსტიტუტის გარანტიას და საკუთრებას როგორც პიროვნების უფლების გარანტიას. საკუთრების, როგორც ინსტიტუტის გარანტია და გულისხმობს საკუთრების არსის და მისი ობიექტური ღირებულების დაცვას. საკუთრების, როგორც პიროვნების უფლების გარანტია, გულისხმობს საცხოვრებლით დანიშნულებისამებრ და შეუზღუდავად სარგებლობის უზრუნველყოფას. ძირითად უფლებებთან შესაბამისობის დასადგენად უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები 1) დაცული სფერო; 2) ჩარევა დაცულ სფეროში; ჩარევის გამართლება.

(1) ვინაიდან კაზუსიდან არ იკვეთება „ა“-ს მიმართ საკუთრებით სრგებლობის უფლების შეზღუდვა, გამოირიცხა საკუთრების როგორც პიროვნების უფლების გარანტიის დარღვევა. პიროვნების უფლების გარანტიის დარღვევა იმ შემთხვევაში იქნებოდა წარმოდგენილი, თუ „ც“ ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობა „ა“-ს შეუზღუდავდა საკუთრების დანიშნულებისამებრ გამოყენებას (მაგ., შეუძლებელს გახდიდა საკუთრებაში ცხოვრების შესაძლებლობას), რაც, როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის. ამიტომ უნდა შემონმდეს საკუთრების, როგორც ინსტიტუტის გარანტის ელემენტის ხელყოფა.

(2) დაცულ სფეროში ჩარევის დასადგენად აუცილებელია სახეზე იყოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული აქტი, რომელიც გამოიწვევდა ძირითადი უფლების ხელყოფას. კაზუსში იკვეთება, რომ მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა ახალი განაშენიანების დეტალური გეგმა, რომელმაც ახლებურად განსაზღვრა „ა“-ს

საკუთრების უფლების შინაარსი - აკრძალა მშენებლობის სახე, რომელიც ადრე არსებული წესებით დაშვებული იყო. შესაბამისად, ახალი გდგ-ით მოხდა საკუთრების უფლების დაცულ სფეროში ჩარევა.

(3) მოცემულ შემთხვევაში ჩარევის გამართლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრისთვის, აუცილებელია გაირკვეს ა) მოხდა თუ არა ჩარევა ფორმალური გაგებით კანონის საფუძველზე და ბ) ჩარევა გამართლებულია თუ არა საზოგადოებრივი ინტერესებით. ვინაიდან განაშენიანების დეტალური გეგმა დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი), ამდენად ჩარევა განხორციელდა ფორმალური გაგებით კანონის საფუძველზე. მეორე საფუძველთან დაკავშირებით, კაზუსიდან იკვეთება, რომ ახალი გდგ ემსახურება ლეგიტიმურ საზოგადოებრივ ინტერესებს (50 000 მაცხოვრებლიან მუნიციპალიტეტში ერთი ქალაქური სტრუქტურის გაჩენის აუცილებლობა). ამავდროს, ვინაიდან ჩარევა არ სპობს „ა“-ს საკუთრებას, აღნიშნული საზოგადოებრივი ინტერესით ჩარევა გამართლებულია. საქმე ისაა, რომ მართალია, სივრცითი წყობის თვალსაზრისით, მის ნაკვეთზე იკრძალება 1 სართულიანი შენობის მშენებლობა, თუმცა დაიშვება მრავალსართულიანის აშენება.

მსჯელობა ცხადყოფს, რომ საკუთრების უფლებაში ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია.

2.1.2.1.2. მიზნის დადგენა

შესაძლებელია, სადავო გდგ-ის დამტკიცებისას მუნიციპალიტეტი დისკრეციულ უფლებამოსილებას იყენებს იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც აქვს მას მინიჭებული ეს უფლებამოსილება.

სდასკ-ის მე-8, მე-9, 35-ე და 38-ე მუხლების საფუძველზე ქალაქგეგმარებით საკითხებზე დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების მიზანია ურბანული განვითარების საკითხებზე ექსკლუზიურ უფლებამოსილების შექმნა და ამ თვალსაზრისით საჯარო და კერძო ინტერესებს შორის სამართლიანი შენობის ნაწარმოება.

კაზუსიდან პირდაპირ იკვეთება, რომ მუნიციპალიტეტი მოქმედებს ამ მიზნის მისაღწევად.

ამგვარად, სადავო გდგ-ის დამტკიცება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი მიზნის მისაღწევად.

2.1.2.1.3. დისკრეციული უფლების თანაზომიერად განხორციელება

შესაძლებელია მოცემულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელდა თანაზომიერების პრინციპის დაცვით.

სზაკ-ის მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. ამის დასადაგენად უნდა გაირკვეს გდგ-ის ა) ლეგიტიმური მიზანი, ბ) აუცილებლობა, გ) შესაფერისობა და დ) პროპორციულობა.

ვინაიდან ზემოთ განვითარებული მსჯელობის საფუძველზე იკვეთება თანაზომიერების პრინციპის პირველი სამი საფეხურის არსებობა, შეგვიძლია, შემონმების გარეშე, ამ ეტაპზე პირდაპირ მხოლოდ პროპორციულობის ელემენტზე ვიმსჯელოთ. მოცემულ შემთხვევაში ურბანიზაციის ხელშეწყობის პროექტი, ეფუძნება მყარ სამართლებრივ არგუმენტაციას (რომ 50 000 მაცხოვრებლიანი მუნიციპალიტეტი არ შედგებოდეს მხოლოდ სასოფლო ტიპის სტრუქტურებისაგან). რაც შეეხება „ა“-ს ინტერესს, რომ „ც“ ტერიტორიაზე შენარჩუნდეს სასოფლო ტიპის დასახლებისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა და მის ნაკვეთზე არ აიკრძალოს 1 სართულიანი სივრცითი წყობის შენობის მშენებლობა, არ შეიძლება გამხდარიყო ზემოთ დასახელებული საჯარო ინტერესის საპირწონე. მითუმეტეს, ეს გადაწყვეტილება, როგორც ზემოთ შემონმდა, არ ეწინააღმდეგება საკუთრების ძირითად უფლებას.

შესაბამისად, მოცემულ კაზუსში დაცულია სზაკ-ის მე-7 მუხლის მოთხოვნა საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის თაობაზე.

2.1.2.3. შუალედური დასკვნა

შესაბამისად, სადავო გდგ მატერიალურად კანონიერია.

2.1.3. შუალედური დასკვნა

სადავო გდგ ფორმალურად და მატერიალურად კანონიერია.

2.2. უარის კანონიერება (სასკ-ის 33-ე მუხლი)

2.2.1. ფორმალური კანონიერება

როგორც კაზუსიდან ირკვევა მერიის უარი გამოცემულია ფორმალური კანონიერების წესების დაცვით. შესაბამისად, შემოწმების გარეშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფორმალური კანონიერების წინაპირობები - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე, აქტის ფორმა, ოფიციალური გაცნობა და დასაბუთებულობა - სახეზეა. ამგვარად, სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (გრგ) აკმაყოფილებს ფორმალური კანონიერების თვის ნაყენებულ მოთხოვნებს.

2.2.2. მატერიალური კანონიერება

უარის მატერიალური კანონიერების დასადგენად უნდა გაირკვეს უარის ორივე საფუძვლის (როგორც სანებართვო განაცხადი შეუსაბამობა განაშენიანების ახალი დეტალური გეგმის მოთხოვნებთან, ისე მისი შეუსაბამობა განაშენიანების რეგულირების ძირითად დებულებებთან).

2.2.2.1. უარის პირველი სამართლებრივი საფუძვლის კანონიერება

შესაძლებელია, რომ „ა“-ს მიმართ მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე უარი მოთხოვნის გდგ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის ნაწილში კანონიერია.

სდასსკ-ის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, 1. იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც განაშენიანების დეტალური გეგმის მოქმედების არეალში მდებარეობს, „მშენებლობა ნებადართულია ამ გეგმის შესაბამისად.“

როგორც კაზუსიდან ირკვევა, „ა“-ს მიწის ნაკვეთი მდებარეობს განაშენიანების დეტალური გეგმის მოქმედების არეალში. ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ მოცემული სამართლის ნორმით

დგინდება, მშენებლობის დასაშვებობის თაობაზე ვრცელდება მშენებლობის სპეციალური რეჟიმი, მათშორის, განაშენიანების დეტალური გეგმის ფარგლებში შესაძლებელია მის არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთზე გარკვეული მშენებლობა აიკრძალოს. მოცემულ შემთხვევაში, „ც“ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ერთსართულიანი სამიკიტნოს მშენებლობა ახალი განაშენიანების დეტალური გეგმით დაუშვებელია. ამავე დროს, ასევე დადგენილია, რომ ახალი განაშენიანების დეტალური გეგმა გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

შესაბამისად, ნებართვის გაცემაზე უარის თქმის პირველი საფუძველი კანონიერია.

2.2.2.2. უარის მეორე სამართლებრივ საფუძვლის კანონიერება

შესაძლებელია, რომ „ა“-ს მიმართ მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე უარი მოთხოვნის ესთეტიკურ პარამეტრებთან შესაბამისობის ნაწილში კანონიერია.

მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილებით დამტკიცებული ნესების¹⁵ მე-18 მუხლის თანახმად, მერია უფლებამოსილია მაღალი ესთეტიკური ღირებულების საქალაქო განაშენიანების ჩამოყალიბება/შენარჩუნება და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მიზნით ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არეგულიროს განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრები. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „შენობის ფასადსზე გამოყენებული უნდა იქნეს ხანმედეგი და საქალაქო განაშენიანებისთვის შესატყვისი მოსაპირკეთებელი მასალები.“

მოცემულ შემთხვევაში იკვეთება, რომ „ა“-ს მიწის ნაკვეთი მდებარეობს ცენტრალურ ზონაში („ც“ ტერიტორია). შესაბამისად, მერია უფლებამოსილი იყო კონკრეტულ შემთხვევაში დაერეგულირებინა ესთეტიკური პარამეტრები.

შესაბამისად, ნებართვის გაცემაზე უარის თქმის მეორე საფუძ-

15 ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის #261 დადგენილების 49-ე მუხლი ითვალისწინებს საკრებულოს მიერ ამგვარი ნესების შემუშავების შესაძლებლობას.

ველიც კანონიერია.

2.2.3. შუალედური დასკვნა

„ა“-ს მიმართ მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის ორივე საფუძველი კანონიერია და შესაბამისად ის უშუალო და პირდაპირ ზიანს არ აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

IV. საბოლოო დასკვნა

სარჩელი დასაშვებია, მაგრამ დაუსაბუთებელი.

მეორე კაზუსი

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ სამშენებლო ფირმა „მშენებელი“ საქმიანობის შემოწმების შედეგად 01.09.2009 წ. გამოსცა მითითება, რომლითაც ფირმა „მშენებელს“ დაუდგინა შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელ პერიოდში და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისთვის გამოყენება. თუ სამშენებლო ფირმა აღნიშნულ დარღვევას არ გამოასწორებს 10 დღის ვადაში ეს შეიძლება გახდეს მშენებლობის ნებართვის გაუქმების საფუძველი.

სამშენებლო ფირმის მიერ არ მომხდარა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.

დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციულმა ორგანომ შეამოწმა დამრღვევი და შეადგინა შემოწმების აქტი, სადაც დაფიქსირდა რომ მითითება არ შესრულდა.

05.10.2009 წ. ადმინისტრაციულმა ორგანომ შემოწმების აქტის საფუძველზე მიიღო დადგენილება დამრღვევის 1000 ლარით დაჯარიმებისა და მშენებლობის შეჩერების შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა ვერ შეძლო დადგენილებაში მითითებული მხარისათვის დადგენილების გადაცემა, რამდენადაც ოფისი დაკეტილი დახვდა და განათავსა ის საინფორმაციო დაფაზე.

20.10.2009 წ. ფირმა „მშენებელმა“ გაყიდა მიწის ნაკვეთი და შენობა მიმდინარე მშენებლობით.

10.01. 2010 წ. ადმინისტრაციულმა ორგანომ შეტყობინება გაუგზავნა ახალ მესაკუთრეს - ფირმა „არსს“, სადაც დადგენილია ჯარიმის სამმაგი ოდენობა და გადაუხდელი თანხის საურავი.

„არსი“ უარს ამბობს აღნიშნული თანხის გადახდაზე, რამდენადაც მიაჩნია, რომ ეს არ არის მისი მოქმედებით გამოწვეული, ის ამტკიცებს, რომ მისთვის ცნობილი არ ყოფილა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ, რამდენადაც არ მომხდარა მისი ოფიციალური გაცნობა.

20.01.2010 „არსმა“ საჩივრით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს. ორგანომ დაუშვებლად ცნო საჩივარი, რამდენადაც გასაჩივრება შესაძლებელი იყო 05.10.2009 წ.-დან კანონით დადგენილ ვადებში.

დავალება:

- 1. განსაზღვრეთ უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება;**
- 2. შეამოწმეთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.**

კაზუსის ამოხსნა

I. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა

შესაძლებელია, რომ დავა იყოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი.

სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმე იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ სზაკ-ით დადგინილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

სასკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ (საგნობრივად განსჯად) საქმეებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს პირველი ინსტანციით. უწყებრივი ქვემდებარეობის/განსჯადობის დასადგენად მნიშვნელოვანია დადგინდეს ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება.

იქიდან გამომდინარე, რომ საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველია დავა იმ სამართლებრივი ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის

კანონმდებლობიდან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველი. თუ კი მოთხოვნას საფუძველად დაედება საჯარო სამართლებრივი ნორმა, დავა იქნება საჯარო_სამართლებრივი, ხოლო თუ საფუძველად დაედება სამოქალაქო_სამართლებრივი ინსტიტუტი, დავა განსჯადობის მიხედვით იქნება სამოქალაქო სამართლებრივი. კაზუსში დასმული საკითხის - იასა-ის გაცნობის კანონიერება, გამომდინარეობს სზაკ-ის და სამშენებლო სამართლის ნორმებიდან. მოსარჩელე სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ითხოვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სზაკ-ის და სამშენებლო სამართლის ნორმებთან შესაბამისობის დადგენას.

დავა უწყებრივად ექვემდებარება საერთო სასამართლოების განსახილველ დავას, რამდენადაც მხარეს გამოყენებული აქვს ადმინისტრაციულ ორგანოში ერთჯერადად გასაჩივრების უფლება. არ არის სახეზე სასკ-ის მე-6 მუხლით განსაზღვრული მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადობა. დავას განსჯადობის მიხედვით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

უწყებრივი ქვემდებარეობის/განსჯადობის მიხედვით დავა არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი.

II. უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალება (სარჩელის სათანადო სახე)

შესაძლებელია უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალება სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. ამისთვის სარჩელის მიზანი უნდა იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

სათანადო სარჩელის სახე დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის და მოსარჩელის მიზნის გათვალისწინებით.

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმიანობის სამართლებრივი ფორმა

ადმინისტრაციული ორგანოს 10.01. 2010 წ. შეტყობინება, რომლითაც ფირმა „არსს“ დაუდგინა ჯარიმის სამმაგი ოდენობა და გადაუხდელი თანხის საურავი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდულის წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

იმისათვის, რომ შევამოწმოთ სადავო შეტყობინება არის თუ არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, უნდა განვიხილოთ ლეგალური დეფინიციის ცნების ელემენტები - ადმინისტრაციული ორგანო; ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; მოწესრიგება.

1.1. ადმინისტრაციული ორგანო

რამდენადაც კაზუსის ფაბულაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილება მიიღო სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, შემოწმების გარეშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახეზეა ცნების ელემენტი - ადმინისტრაციული ორგანო.

1.2. ადმინისტრაციული კანონმდებლობა

როგორც ზემოთ დავადგინეთ შეტყობინება განხორციელდა სზაკ-ისა და სამშენებლო კანონმდებლობის საფუძველზე, შეგვიძლია შემოწმების გარეშე დავასკვნათ, რომ სახეზეა ცნების მეორე ელემენტი.

1.3. პირთა წრე

სავარაუდოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ცნების მესამე ელემენტი – კონკრეტული პირთა

წრე - სახეზეა.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, იასა-ი აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

ინდივიდუალური შინაარსისაა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია პირის ან პირთა შეზღუდული წრისაკენ. პირთა წრე ინდივიდუალურია მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღების დროს გარკვეულია, თუ ვის ეხება ის. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირთა წრისაკენ უნდა იყოს მიმართული და/ან უნდა შეეხებოდეს ცალკეულ, კონკრეტულ შემთხვევებს.

რამდენადაც კაზუსში მოცემული შეწყობინება ეხება ერთ კონკრეტულ შემთხვევას და არის ინდივიდუალური შინაარსის - ეხება კონკრეტულ სუბიექტსა და ცნების ეს ელემენტი.

სახეზე აცნების ელემენტი - კონკრეტული პირთა წრე.

1.4. მოწესრიგება

სავარაუდოდ, სადავო შეწყობინებასაქვს მომწესრიგებელი ბუნება

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, იასა-ი აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს.

მმართველობით ღონისძიებას მაშინ აქვს მომწესრიგებელი ბუნება, როდესაც ის ახდენს მისი ადრესატის სამართლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას, მისი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას. რამდენადაც სადავო შეწყობინება ადგენს მისი ადრესატის სავალდებულო ქცევას, ახდენს მისი მშენებლობის უფლების შეზღუდვას მას აქვს მომწესრიგებელი ბუნება.

სახეზეა ცნების ელემენტი - მომწესრიგება

1.5. დასკვნა 1 პუნქტზე (საქმიანობის სამართლებრივი ფორმა)

2010 წლის 20 იანვრის შეტყობინება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.

2. მოსარჩელის მიზანი

რამდენადაც მოსარჩელეს ვალდებულება დადგინდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით სარჩელის მიზანია აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომელიც გამოიწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

3. შედეგი II პუნქტზე (უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალება)

უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალებაა სასკ-ის 22-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

III. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება

სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე შედეგიანი იქნებოდა, თუ ის არის დასაშვები და დასაბუთებული.

1. სარჩელის დასაშვებობა

სავარაუდოდ, სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე არის დასაშვები.

სარჩელის დასაშვებობის ელემენტები მოცემულია სასკ-ის 22-ე მუხლში:

- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი,
- პირდაპირი და უშუალო ზიანი,
- სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები.

როგორცუკვე შევამოწმეთ სადავო შეტყობინება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მოსარჩელე შპს არის ადრესატი, რაც ნიშნავს, რომ სახეზეა დასაშვებობისათვის საკმარისი პირდაპირი და უშუალო ზიანის ვარაუდის საფუძვლები. სარჩელის შეტანის ვადებთან დაკავშირებით კაზუსში არ იკვეთება პრობლემა.

სარჩელი სას.კ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე არის დასაშვები.

2. სარჩელის დასაბუთებულობა

სარჩელის დასაბუთებულობის ფარგლებში მოწმდება გადანყვევტილების კანონიერება და პირდაპირ და უშუალო ზიანი.

2.1. კანონიერება

შესაძლებელია, რომ სარჩელი იყოს დასაბუთებული.

სას.კ-ის 32-ე მუხლის თანახმად, სარჩელი იასა-ის ბათილად ცნობის თაობაზე არის დასაბუთებული, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

სარჩელის დასაშვებობის პირველი ელემენტი - გასაჩივრებული იასა-ის კანონიერება მოწმდება ორ ეტაპად. პირველ რიგში უნდა შემოწმდეს ფორმალური კანონიერება, ხოლო შემდეგ მოწმდება მატერიალური კანონიერება.

თუ კი დადგინდა, რომ სადავო აქტი არის უკანონო უნდა შევამოწმოთ ეს პირდაპირი და უშუალო ზიანს აყენებს თუ არა მოსარჩელეს.

2.1.1. ფორმალური კანონიერება

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ ის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი გამოცემისათვის კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დაცვით და შესაბამისი ფორმით იყოს გამოცემული. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

უფლებამოსილება. როგორც კაზუსში არის ნათქვამი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი გამოცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე არ არის კაზუსში სადავო.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის

წერილობითი ფორმა. სზაკ-ის 51-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს წერილობითი ან ზეპირი ფორმით. წინამდებარე შემთხვევაში, დაცულია ფორმის ვალდებულება.

ოფიციალური გაცნობა – ფორმალურად სახეზეა სადავო აქტის ინდივიდუალური გაცნობა, რაც არ არის დავის საგანი, არამედ მისი სამართლებრივი საფუძველი, რაც უნდა შემოინდეს მატერიალური კანონიერების ფარგლებში.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას. მასში მოცემული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი.

კაზუსიდან არ სჩანს ჰქონდა თუ არა სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ_სამართლებრივ აქტს დასაბუთება, ივარაუდება, რომ იგი შეიცავდა მას.

კანონიერი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს მისი გასაჩივრების ვადა ის ადმინისტრაციული ორგანო და მისი მისამართი, სადაც შეიძლება ამ აქტის გასაჩივრება. სავარაუდოდ, სადავო შეწყობინება ამ რეკვიზიტებს შეიცავდა.

შუალედური დასკვნა: სადავო აქტი აკმაყოფილებს ფორმალური კანონიერების მოთხოვნებს.

2.1.2. მატერიალური კანონიერება

კაზუსში მოცემული შემთხვევა ეხება აქტის ოფიციალური გაცნობის შედეგების უფლებამონაცვლეზე (სამშენებლო ფირმა „არსი“) გავრცელებას.

სზაკ-ის 58-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის იასა-ის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს მისთვის იასა-ის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას. სზაკ-ი და სამშენებლო კანონმდებლობა არ ანესრიგებს აქტის ადრესატის უფლებამონაცვლის მიმართ განსხვავებულ წესებს.

მოსარჩელე მხარის მიმართ არ განხორციელებულა კანონის ნორმით განსაზღვრული ოფიციალური გაცნობა.

ამდენად, დარღვეულია მატერიალური ნორმის მოთხოვნა.

2.2. პირდაპირი და უშუალო ზიანი

უკანონო იასა-ი ინვეს ადრესატისადმი გარკვეული ვალდებულების დადგენას, ის არის შემზღუდველი ხასიათის და სახეზეა პირდაპირი და უშუალო ზიანი.

2.3 დასკვნა

სარჩელი არის დასაბუთებული.

IV. შემაჯამებელი დასკვნა

ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილება არის უკანონო.

მესამე კაზუსი

თენგო საქართველოს პროკურატურის პროკურორის თანამდებობაზე მუშაობდა. მას ავტომანქანით მოძრაობის დროს სექტემბერში მოუვიდა ავტოსაგზაო შემთხვევა. მის წინ მიმავალმა ავტომანქანამ, მოხვევის დროს, დროულად არ ჩართო მოხვევის აღმნიშვნელი ციმციმა. თენგომ დაამუხრუჭა, მაგრამ მსუბუქი შეჯახება მაინც ვერ აიცილა თავიდან. საქმის მასალებით დადასტურდა, რომ თენგო არ იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება არავის მიუღია. შეჯახებაში ბრალეულად თენგო მიიჩნის და იგი 250 ლარით დაჯარიმდა. აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება “პროკურატურის მუშაკთა მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტებზე საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ” საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანების შეუსრულებლობის საფუძველით.

გენერალურმა ინსპექციამ ოქტომბრის #10 დასკვნით დაადგინა, რომ თენგოს მიერ არ მოხდა გენერალური ინსპექციისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ შეტყობინება, რის საფუძველზეც მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს თენგოს მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე.

საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანებით თენგო დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან. ამასთან, ბრძანებაში აღნიშნული არ იყო, თუ რატომ იქნა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სახდელის ზომის ასეთი უკიდურესი სახე. თენგოს მიაჩნია, რომ მას გენერალური პროკურორის ზემოთ დასახელებული ბრძანება არ დაურღვევია და იგი მასზე არ უნდა გავრცელდეს. შესაბამისად, თენგო მიიჩნევს, რომ მას არ გააჩნდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით გენერალური ინსპექციისათვის შეტყობინების ვალდებულება.

თენგო თვლის, რომ დაირღვა მისი კანონიერი უფლება. მას მიაჩნია, რომ მისი პროკურატურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანება არის უკანონო და იგი უნდა აღდგეს რაიონული პროკურატურის პროკურორის თანამდებობაზე. ბრძანებაში მითითებული იყო, რომ თენგოს შეეძლო სადავო ბრძანების თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრება, ასევე მითითებული იყო სასამართლოს მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. თენგომ გადაწყვიტა სარჩელი შეიტანოს სასამართლოში.

დავლება: შეამონმეთ ბრძანების კანონიერება

კაზუსის ამოხსნა

შესაძლოა, გენერალური პროკურორის ბრძანება არის უკანონო. ეს იმ შემთხვევაში იქნება, თუ ის ფორმალურად ან/და მატერიალურად კანონსაწინააღმდეგოა.

სადავო აქტის კანონიერების გარკვევამდე, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს გენერალური პროკურორის გადაწყვეტილება საქმიანობის რომელ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს.

I. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დადგენა

შესაძლოა, საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

1. ადმინისტრაციული ორგანო

შესაძლოა, საქართველოს გენერალური პროკურატურა ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ფუნქციონალური გაგებით არის ადმინისტრაციული ორგანო.

სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პროკურატურა თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. პროკურატურის უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით, რომლის თანახმად გენერალური პროკურატურა არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, ის ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

შესაბამისად, ის აკმაყოფილებს ადმინისტრაციული ორგანოს ცნების პირველ ელემენტს - საქართველოს პროკურატურა ორგანიზაციულ-სამართლებრივი გაგებით არის ადმინისტრაციული ორგანო.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი ადგენს პროკურატურის ამოცანებს. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. სზაკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოზე (მიუხედავად იმისა, რომ ის ორგანიზაციულ-სამართლებრივად შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ ორგანოდ) არ ვრცელდება სზაკ-ის მოქმედება. იმავდროულად, კოდექსი ადგენს ამ წესიდან განსხვავებულ რეგულირებას. კერძოდ, სზაკ-ის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოდ მიიჩნევა ასევე ის ორგანოები და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების ის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან. ცხადია, სამსახურიდან პროკურატურის თანამშრომლის გათავისუფლება არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

გასათვალისწინებელია, რომ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი აწესრიგებს რა პროკურატურასა და პროკურატურის თანამშრომელს შორის სამსახურებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურატურის თანამშრომლის

ანგარიშვალდებულებასა და პროკურატურის შინაგანანგის დარღვევისას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს, რაც თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივია.

ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურორი მის მიერ სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა როგორც საჯარო/ადმინისტრაციული ფუნქციის/უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი, რადგან მის მიერ გამოცემული აქტი დაეფუძნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმებს და გადაწყვიტა საჯარო სამსახურებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხი - პროკურატურის თანამშრომელი დისციპლინური გადაცდომის გამო გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

შესაბამისად, სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს ცნების შემდეგი ძირითადი ელემენტი - საქართველოს პროკურატურა ფუნქციონალური გაგებით არის ადმინისტრაციული ორგანო.

ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების პირველი ელემენტი სახეზეა.

2. ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე

შესაძლოა, საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანება გამოიცა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

ადმინისტრაციული კანონმდებლობის ლეგალური დეფინიცია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი არ არის. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს სამართლებრივი ურთიერთობათა მომწესრიგებელი ქცევის წესის/ნორმის ბუნებას - არის თუ არა ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი.

უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის პროკურატურა მოქმედებდა ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების ფარგლებში, რის საფუძველზეც მოხდა თენგოს განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან.

შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში გენერალური პროკურორის სადავო ბრძანება გამოიცა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

ამდენად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების მე-2 ელემენტიც სახეზეა.

3. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი

შესაძლოა, საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბუნების.

აქტი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბუნებისაა, თუ ის აწესრიგებს ცალკეულ შემთხვევას და მიემართება განსაზღვრულ ან განსაზღვრებად პირთა წრეს.

საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანების ადრესატია თენგო. რადგან სადავო ბრძანება მიემართება კონკრეტულ პირს და აწესრიგებს კონკრეტულ, ინდივიდუალურ შემთხვევას, შესაბამისად, არ შეიცავს ქცევის ზოგად წესს და ინდივიდუალური სამართლებრივი ბუნებისაა.

შესაბამისად, სადავო აქტი არის ინდივიდუალური სამართლებრივი ბუნების. ამგვარად, ცნების მე-3 ელემენტიც სახეზეა.

4. აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას (მოწესრიგების ელემენტი)

შესაძლოა, სადავო აქტი აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, ანუ შეიცავს მოწესრიგების ელემენტს.

საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანებით თენგო გათავისუფლდა სამსახურიდან, ანუ ბრძანება კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებას ახდენს, რამაც განაპირობა თენგოს სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა.

შესაბამისად, აღნიშნული მიუთითებს, რომ სახეზეა მოწესრიგების ელემენტი.

5. შუალედური დასკვნა

საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

II. სადავო ბრძანების კანონიერება

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება მოიცავს ორ საფეხურს: ჯერ მოწმდება ფორმალური კანონიერება და შემდეგ მატერიალური კანონიერება.

1. სადავო ბრძანების ფორმალური კანონიერება

შესაძლოა, საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანება ეწინააღმდეგება ფორმალური კანონიერების მოთხოვნებს.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „კ“ ქვეპუნქტების, 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების თანახმად, სადავო აქტი უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალური კანონიერების წინაპირობებს: უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე, სამართლებრივი აქტის ფორმა, დასაბუთება, გასაჩივრების უფლებაზე მითითება.

1.1. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

შესაძლოა, გენერალური პროკურორი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 76-ე მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად, გენერალური პროკურორი უფლებამოსილია გამოსცეს ბრძანება პროკურატურის მუშაკის მიმართ დასახელებული 76-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.

აღნიშნული მიუთითებს, რომ თენგოს მიმართ სადავო ბრძანება გამოსცა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ.

1.2. ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე

შესაძლოა, სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაცულია ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახე.

სზაკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ამზადებს მარტივი ადმი-

ნისტრაციული წარმოების წესით.

კაზუსში მითითებული არ არის, თუ რომელი ადმინისტრაციული წარმოების სახე გამოიყენა ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო აქტის გამოცემისას, მაგრამ სზაკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ივარაუდება, რომ მთავარმა პროკურატურამ სადავო ბრძანება გამოსცა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების გზით.

შესაბამისად, მიიჩნევა რომ სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული წარმოების სათანადო სახის დაცვით.

1.3. აქტის ფორმა

შესაძლოა, დაცულია აქტის გამოცემის ფორმა.

სზაკ-ის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობით. ამასთან, წერილობითი სამართლებრივი აქტი სზაკ-ის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს.

როგორც კაზუსიდან ირკვევა, სადავო ბრძანება გამოიცა წერილობითი სახით. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ დაცულია წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები.

შესაბამისად, აქტის წერილობითი ფორმა დაცულია.

1.4. აქტის დასაბუთება

შესაძლოა სადავო აქტი არ იყოს დასაბუთებული.

სზაკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ატში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიც-

ცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლევული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

შესაბამისად, გენერალური პროკურორი ვალდებული იყო სადავო ბრძანებაში მოეხდინა ნორმის სამართლიანი განმარტება, მიეთითებინა/გამოეკვლია ის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, რომლებმაც განაპირობეს ამ სადავო აქტის გამოცემა/პროკურატურის თანამშრომლის პროკურატურიდან დათხოვნა. როგორც კაზუსიდან ირკვევა, ბრძანებაში დასაბუთებული არ იყო, თუ რატომ იქნა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის, სახდელის ასეთი უკიდურესი სახე, კერძოდ, პროკურატურიდან დათხოვნა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანება არ აკმაყოფილებს ფორმალური კანონიერების ისეთ მოთხოვნას, როგორცაა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება.

სადავო ბრძანება ფორმალური კანონიერების თვალსაზრისით არის უკანონო.

ფორმალური კანონიერების თუნდაც ერთ-ერთი წინაპირობის დარღვევა იწვევს აქტის უკანონოდ/ბათილად ცნობას.

მიუხედავად ამისა, ვაგრძელებთ სადავო ბრძანების კანონიერების შემოწმებას.

1.5. გასაჩივრების უფლებაზე მითითება

შესაძლოა დაცულია გასაჩივრების უფლებაზე მითითების ვალდებულება.

სზაკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ამ აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის/სარჩელის წარდგენის ვადა.

როგორც კაზუსიდან ირკვევა სადავო ბრძანებაში მითითებული იყო, რომ თენგოს შეეძლო სადავო ბრძანების თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრება, ასევე მითითებული იყო სასამართლოს მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა.

შესაბამისად, აქტის გასაჩივრების უფლებაზე მითითების ვალ-

დებულება დაცულია.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ მიუთითებს, თუ რა შედეგი შესაძლოა დადგეს ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში. შესაბამისად, სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ მოთხოვნის დაუცველობა არ იწვევს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონსაწინააღმდეგობას, არამედ აფერხებს ამ აქტის კანონიერ ძალაში შესვლას, რადგან, მიიჩნევა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესასრულებლად სავალდებულო ძალას გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ იძენს.

2. მატერიალური კანონიერება

შესაძლოა, სადავო ბრძანება არ აკმაყოფილებს მატერიალური კანონიერების საფუძვლებს.

სადავო აქტი მატერიალურად კანონიერია, თუ ის შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და პრინციპებს.

2.1. შესაბამისობა ძირითად უფლებებთან

საქართველოს მოქალაქის თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლებისაგან დაცვის გარანტიებს უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, კონსტიტუციის 25-ე მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, გაუმართლებლად არ შეზღუდოს მოქალაქის უფლება, განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს დაინტერესებული პირის უფლებას, მისი საქმე ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილოს სამართლიანად.

2.2. შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 76-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პროკურატურის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის, შეუფერებელი საქციელის ჩადენისთვის ანდა კანონით დაკის-

რებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად დისციპლინური გადაცდომა იყოფა კატეგორიებად: მსუბუქი, საშუალო, მძიმე. მე-9 პუნქტის თანახმად, სახდელის სახეებია: შენიშვნა, საყვედური, თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით, უფრო დაბალ რანგზე გადაყვანა, დაქვეითება, პროკურატურიდან დათხოვნა. ამასთან, იმავე მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტიებს თანახმად, შეუფერებელი საქციელი და კანონით დაკისრებული მოვალეობათა შეუსრულებლობა ფასდება/მიიჩნევა მძიმე გადაცდომად და, გარემოებათა გათვალისწინებით, დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენება საყვედური, უფრო დაბალ რანგზე გადაყვანა, თანამდებობრივი სარგოს 30%-მდე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით ან პროკურატურიდან დათხოვნა.

როგორც კაზუსიდან ირკვევა, საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანებაში გამოკვლეული/შეფასებული არ არის, რა ტიპის სამართალდარღვევა იყო სახეზე, იყო თუ არა ეს შეუფერებელი საქციელი ან კანონით დაკისრებული მოვალეობათა შეუსრულებლობა, რომლებისთვისაც სახდელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია პროკურატურიდან დათხოვნა. ასევე, გამოკვლეული არ არის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები იმის შესახებ, არსებობდა თუ არა სახდელის უკიდურესი ზომის გამოყენების აუცილებლობა.

შესაბამისად, საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ თენგოს პროკურატურიდან დათხოვნა არ მომხდარა ჯეროვანი პროცედურის დაცვით. ზემოთ დასახელებულ ნორმათა კეთილსინდისიერი განმარტება არ იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ დასახელებული ნორმები ადგენენ შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პროკურატურიდან დათხოვნის უპირობო მოთხოვნას. შესაბამისად, გენერალური პროკურატურა ვალდებული იყო შესაბამის სამართლებრივ ნორმათა განმარტების, საქმის ფაქტობრივი გარემოებათა სწორად გამოკვლევის, მტკიცებულებებისა და არგუმენტების სამართლებრივად შეფასების შედეგად მიეღო

გადანყვეტილება.

2.3. საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის პრინციპი

შესაძლოა, გენერალური პროკურატურის მიერ დარღვეული იქნა საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის პრინციპი.

სზაკ-ის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

როგორც ზემოთ აღნიშნულის ანალიზიდან ირკვევა, გენერალურმა პროკურორმა თენგოს მიმართ დისციპლინური სამართალწარმოებისას არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და შესაბამისად, სადავო ბრძანება არ იქნა მიღებული ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ადმინისტრაციული ორგანო უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა საფუძველზე და მის მიერ გამოცემული აქტები ობიექტური დამკვირვებლის თვალში უნდა ქმნიდეს სამართლებრივი უსაფრთხოების განცდას. საჯარო სამსახურში საქმიანობა ნდობაზე დაფუძნებული საქმიანობაა, საჯარო მოსამსახურეები მოქმედებენ სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად. მათ სახელმწიფოსთან გააჩნიათ ნდობაზე და განსაკუთრებულ ლოიალობაზე დაფუძნებული კავშირი, რაც ავალდებულებს სახელმწიფოს ჯეროვანი პროცედურის დაცვით იმოქმედოს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან გათავისუფლებისას.

შესაბამისად, დარღვეულია საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის პრინციპის მოთხოვნები.

2.4. დისკრეციული უფლებამოსილების პრინციპი

შესაძლოა, სადავო აქტი არ შეესაბამება დისკრეციული უფლე-

ბამოსილების პრინციპის მოთხოვნებს.

სზაკ-ის მე-6 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილ ფარგლებში და ემსახურებოდეს კანონით გათვალისწინებული მიზნის განხორციელებას. სზაკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მითითებული ნორმები უშვებენ შესაძლებლობას, რომ გენერალურმა პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოიყენოს ერთი რომელიმე სახდელი. სადავო ბრძანებით უნდა დადგენილიყო ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რომლებმაც გენერალური პროკუროროს მოსაზრებით, შექმნეს საფუძველი დაინტერესებული მხარის სამსახურიდან გათავისუფლებისათვის. ამასთან როგორც ზემოთ აღინიშნა, სადავო ბრძანებაში არ არის დასაბუთება თუ რატომ გამოიყენა ადმინისტრაციულმა ორგანომ დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომა.

შესაბამისად, სადავო აქტი არ შეესაბამება დისკრეციული უფლებამოსილების პრინციპის მოთხოვნებს.

2.4. შუალედური დასკვნა

სადავო ბრძანება მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით არის უკანონო.

IV. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს გენერალური პროკურორის 15 ნოემბრის №20 ბრძანება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და არის ბათილი.

მეოთხე კაზუსი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 15 ოქტომბრის ბრძანების თანახმად, გამოცხადდა კონკურსი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ დაბა ვაზიანში, მე-10 მოტომსროლელი ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე ჯარისკაცთა კაფე-მაღაზიის შენობის იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე. აღნიშნულ კონკურსში იგაიმარჯვა ი/მ თეონა იაშვილმა.

2017 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ინდ. მენარმე თეონა იაშვილს შორის გაიმართა მოლაპარაკება, რის შედეგადაც მათ შორის 5 წლის ვადით გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცა გარდაბნის რაიონის დაბა ვაზიანის ტერიტორიაზე არსებული კაფე-მაღაზია. ამ ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს ევალეზობდა იჯარით გაცემულ შენობაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვების ობიექტის მოწყობა და ჯარისკაცების მომსახურება. მას, ასევე განეული მუშაობის შესახებ 6 თვეში ერთხელ ინფორმაცია უნდა წარედგინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის.

დავალება:

განსაზღვრეთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ი/მ თეონა იაშვილს შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

კაზუსის ამოხსნა

შესაძლებელია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ინდ. მენარმე თეონა იაშვილს შორის 2017 წლის 20 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე – 2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, «ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან

დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, ქვემოთ უნდა მოხდეს ცალკეული ელემენტის შემოწმება

1. ადმინისტრაციული ორგანო

შესაძლებელია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იყოს ადმინისტრაციული ორგანო.

სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ ფუნქციებს.

სამინისტრომ უნდა განახორციელოს საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების შესრულება კანონის საფუძველზე.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი მუხლის თანახმად, სამინისტრო იქმნება კანონის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად.

ამდენად, სახეზეა კანონის საფუძველზე განხორციელებული საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების შესრულება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის ადმინისტრაციული ორგანო .

2. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით

იმავდროულად ხელშეკრულება დადებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების შესრულების განხორციელებლად. ამდენად, მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ემსახურება აღნიშნული ხელშეკრულება საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების შესრულების განხორციელების მიზანს.

შესაძლოების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ინდ. მეწარმე თეონა იაშვილს შორის 2017 წლის 20 ოქტომბერს დადებული იჯარის ხელშეკრულება იყოს საჯარო - სამართლებრივი შინაარსი.

საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება არის კანონმდებლობის საფუძველზე შესაბამისი ორგანოს ან პირის მიერ განსახორციელებელი უფლებამოსილება, რომელიც მიზნად ისახავს მმართველობითი ფუნქციის შესრულებას.

ადმინისტრაციული ორგანო იყენებს საქმიანობის როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლებრივ ფორმებს და შესაძლებელია ორადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, აშკარაა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული სადავო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის, სამართლებრივი სტატუსი. ან ემსახურება საჯარო ინტერესებს.

ხელშეკრულების მიზნის დაკონკრეტება გამომდინარეობს თავად მისი შინაარსიდან. გადამწყვეტი არის, დადგინდეს, ფაქტობრივი გარემოებების, განსაკუთრებით კი, სახელშეკრულებო ვადებულებებისა და აღიარებული მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება. (განსაკუთრებით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებისა) სადავო ხელშეკრულების საფუძველზე ინდ. მენარმე თეონა იაშვილს ეკისრებოდა დაბა ვაზიანის დახურულ სამხედრო ქალაქში, თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ტერიტორიაზე არსებულ კაფე - მაღაზიის შენობაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რემონტის, კვების ობიექტის მოწყობისა და ჯარისკაცების მომსახურების ვალდებულება.

გარდა ამისა, კაფე მდებარეობდა დახურულ ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობდა სამხედრო წვრთნები. ასე რომ, მოიჯარე თეონა იაშვილი ემსახურებოდა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებს, და არა დაბა ვაზიანის ყველა მცხოვრებს.

მოიჯარემ იკისრა ვალდებულება, მასზე გადაცემულ ნაგებობაში მოეწყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვების ობიექტი და გამოეკვება ჯარისკაცები.

ამდენად, იჯარის ხელშეკრულების მიზანია ჯარისკაცების მომ-

სახურების საჯარო ამოცანის შესრულება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და თეონა იაშვილს შორის 2004 წლის 20 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება ემსახურება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზანს.

3. ორმხრივი ნება

როდესაც საუბარია ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების შინაარსი ჰორიზონტალურია და იგი დადებულია მოლაპარაკებების შედეგად. ფაბულის შინაარსიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ იჯარის ხელშეკრულება დაიდო მოლაპარაკებების შედეგად, ე.ი. სახეზე იყო მხარეთა შორის შეთანხმება.

ამგვარად, სახეზეა საჯარო-სამართლებრივი ხელშეკრულების წინაპირობები. ამდენად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და თეონა იაშვილს შორის შორის 2017 წლის 20 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება არის საჯარო-სამართლებრივი.

4. შედეგი

ამდენად სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს თეონა იაშვილს შორის 20.10.2017 წელს დადებული ხელშეკრულება ემსახურება საჯაროსამართლებრივი მიზნის განხორციელებას.

მეხუთე კაზუსი

სანდრომ 1-ლ ივნისს, კვირა საღამოს ავტომანქანა გააჩერა საკუთარი საცხოვრებელი სახლის წინ, ცენტრალური ქუჩის გასწვრივ ერთ ხაზზე, სადაც არ არის აკრძალული ავტომანქანის დაყენება და ადგილობრივი მცოვრებლებისა და სტუმრების მიერ გხდება მანქანის გაჩერება. სანდრო 2 ივნისიდან ორი კვირით გადის გადაუდებელ მკურნალობას კლინიკაში.

წყლის მიღების გამოცვლის სამუშაოების განხორციელების მიზნით აუცილებელი ხდება აღნიშნულ ტერიტორიაზე გათხრითი სამუშაოების ჩატარება. თბილისის მერიის შესაბამისმა სამსახურმა 3 ივნისს დადგა მობილური (დროებითი) საგზაო ნიშანი, რომელიც კრძალავს აღნიშნულ ტერიტორიაზე ავტომანქანის დაყენებას 5 ივნისის 8:00 საათიდან 10 ივნისის 22:00 საათამდე.

ხუთშაბათს, დილის 9 საათზე, როდესაც სამუშაოების შემსრულებელი ფირმა მოვიდა, შეუძლებელი გახდა სამუშაოების დაწყება. საპატრულო პოლიცია შეეცადა დაკავშირებოდა სანდროს სახლში, მაგრამ უშედეგოდ.

საპატრულო პოლიციელი დაუკავშირდა შპს „პარკინგს“ და დაავალა ავტომანქანის გადატანა და შენახვა მძღოლის გამოჩენამდე.

სავადმყოფოდან დაბრუნებულმა სანდრომ შეიტყო ამის შესახებ საპატრულო პოლიციაში. ის მივიდა შპს-ში, გადაიხადა ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები 150 ლარის ოდენობით და დაიბრუნა საკუთარი ავტომანქანა.

სანდრომ საჩივრით მიმართ საპატრულო პოლიციას თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით, იმ მოტივით, რომ მას არ გაუჩერებია ავტომანქანა აკრძალულ ადგილას და კანონიერი ქმედება არ შეიძლება გახდეს უკანონო.

სანდროს საჩივარი აღმოჩნდა უშედეგო.

დავალება:

განსაზღვრეთ უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება და შეამოწმეთ მოთხოვნის დასაბუთებულობა.

კაზუსის ამოხსნა

A. საპროცესო-სამართლებრივი დაცვის საშუალება

საპროცესო-სამართლებრივი დაცვის საშუალება განისაზღვრება უწყებრივი ქვემდებარეობის/განსჯადობის და სარჩელის პერსპექტიულობის გათვალისწინებით.

I. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა

შესაძლებელია, დავა იყოს საერთო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი.

დავა უნდა გადაწყდეს სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, თუ სახეზეა საჯარო-სამართლებრივი დავა.

დავის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების სამართლებრივი ბუნება. უნდა დავადგინოთ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველი. თუ კი მოთხოვნას საფუძველად დაედება უგან დაბრუნების საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტი დავა იქნება საჯარო სამართლებრივი, ხოლო თუ კი საფუძველად მივიჩნევთ უსაფუძვლო გამდიდრების სამოქალაქო სამართლებრივ ინსტიტუტს დავა განსჯადობის მიხედვით იქნება სამოქალაქო სამართლებრივი.

უნდა დავადგინოთ სანდროს მიერ შპს „პარკინგი“-სათვის თანხის გადახდის სამართლებრივი საფუძველი. ურთიერთობის საჯარო სამართლებრივად მიჩნევისათვის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თანხა გადახდილია არა სახელმწიფოს ანგარიშზე, არამედ კერძო პირის – შპს „პარკინგი“-ის ანგარიშზე, რომელიც მოქმედებდა საპატრულო პოლიციასთან დადებული კერძო სამართლის ხელშეკრულების საფუძველზე. შპს-ს არა აქვს უფლება სანდროს მოსთხოვოს მომსახურების ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, არამედ ასეთი ვალდებულებით სამართლებრივი უფლება სახეზეა მხოლოდ საპატრულო პოლიციასა და შპს-ს შორის. შპს-ს მოთხოვნას საფუძველად უდევს პოლიციის დავალება, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ სახეზეა ადმინისტრაცი-

ული ორგანოს (საპატრულო პოლიციის) მოთხოვნა.

საპატრულო პოლიცია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სზაკ-ის XIII თავის საფუძველზე. ადგილი აქვს აქტის აღსრულებას მესამე პირისათვის დავალებით სზაკ-ის 170-ე მუხლის საფუძველზე. სანდროს მიერ შპს-ს ანგარიშზე თანხის გადახდაში უნდა დავინახოთ სანდროს მიერ საპატრულო პოლიციის სასარგებლოდ შესრულებული ვალდებულება.

შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობა სანდროსა და საპატრულო პოლიციელს შორის არის საჯარო სამართლებრივი.

სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ სზაკ-ით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

როგორც კაზუსის ფაბულიდან ირკვევა, გამოყენებულია საჩივრის ინსტიტუტი. შესაბამისად, სახეზეა აღნიშნული წინაპირობა.

სასკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ (საგნობრივად განსჯადი) საქმეებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს პირველი ინსტანციით, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. როგორც კაზუსის ფაბულიდან ირკვევა სახეზე არ არის სზაკ-ის მე-6 მუხლით განსაზღვრული მაგისტრი მოსამართლის განსახილველი დავა.

ამდენად, თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით დავა განსჯადობით ექვემდებარება ადმინისტრაციულ მართლმსაჯულების წესით პირველი ინსტანციის ასამართლოს მიერ განსახილველ დავათა კატეგორიას.

II. სარჩელის სახე

სათანადო სარჩელის სახე დგინდება მოსარჩელის მიზნის გათვალისწინებით. სანდროს მიზანია გადახდილი 150 ლარის უკან გადახდა.

უნდა შემომწმდეს სარჩელის სახე სასკ-ის 22-ე-25-ე მუხლების საფუძველზე.

1. სარჩელი ბათილად ცნობის თაობაზე

შესაძლებელია უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება იყოს სარჩელი იასა-ს ბათილად ცნობის თაობაზე სასკ-ის 22 მუხლის საფუძველზე.

ეს იქნებოდა სათანადო სარჩელის სახე, თუ კი თანხის გადახდის ვალდებულება დადგენილი იქნებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული იას-ის საფუძველზე და მისი ბათილად ცნობა იქნებოდა თანხის დაბრუნების მოთხოვნის საფუძველი, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას მოგვეთხოვა შედეგების აღმოფხვრა – თანხის გადახდით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. როდესაც Pსაპატრულო პოლიციამ დაავალა შპს-ს ავტომანქანის გადატანა, იმ დროისთვის არ იყო ცნობილი თუ რა მოცულობის ხარჯებთან იქნებოდა ეს დაკავშირებული. ადმინისტრაციულ ორგანოს არ დაუდგენია გადასახადის ოდენობა, არამედ მისი განსაზღვრის უფლებამოსილება დაუტოვა შპს-ს. ამდენად, ასეთი იასა არა გვაქვს სახეზე.

ამრიგად, სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი არ არის უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება.

2. სარჩელი იასა-ს გამოცემის თაობაზე

შესაძლებელია უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება იყოს სარჩელი იასა-ს გამოცემის თაობაზე სასკ-ის 23-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული სარჩელი იქნებოდა სათანადო თუ კი მოთხოვნის საფუძველი იქნებოდა იასა-ს გამოცემა. რამდენადაც თანხის უკან დაბრუნების უფლების წარმოშობა არ საჭიროებს იასა-ს გამოცემას სარჩელი აიას-ას გამოცემის თაობაზე არ მოგვცემს შედეგს.

ამრიგად, სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი არ არის უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება.

3. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე

შესაძლოა სარჩელის სათანადო სახე იყოს სასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი. ამისათვის სარჩელის მიზანი უნდა იყოს რეალაქტის განხორციელება.

3.1. რეალაქტი

შესაძლებელია თანხის უკან დაბრუნება იყოს ადმინისტრაციული რეალაქტი.

რეალაქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებული საჯარო-სამართლებრივი ქმედება, რომელიც არ გულისხმობს მოწესრიგებას.

3.1.1. ადმინისტრაციული ორგანო

შესაძლებელია, შპს პარკინგი იყოს ადმინისტრაციული ორგანო. სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არის პირი, რომელიც ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

კაზუსიდან იკვეთება, რომ შპს უფლებამოსილებას ახორციელებს მისთვის ადმინისტრაციული ორგანოს (პოლიცია) მიერ, კანონმდებლობის საფუძველზე, მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში.

ამგვარად, სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც წარმოდგენილია შპს პარკინგის სახით.

3.1.2. ადმინისტრაციული კანონმდებლობა

შესაძლებელია, შპს-ს მიერ განხორციელებული ქმედება გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

შპს-ს უფლებამოსილება, დაადგინოს დამრღვევის ვალდებულება ადმინისტრაციული სახდელის გადახდაზე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტიდან.

შპს ახორციელებს უფლებამოსილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე.

ამგვარად, შპს-ს ქმედება გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

3.1.3. მოწესრიგება

სავარაუდოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებულ

ქმედებას არ აქვს მომწესრიგებელი ბუნება.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მმართველობითი ღონისძიება იმ შემთხვევაში არის მომწესრიგებელი ბუნების, როდესაც ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებისა და მოვალეობებს.

თანხის უკან დაბრუნების მიზნით განხორციელებული ქმედება არ იწვევს სანდროს უფლების წარმოშობასა ან შეზღუდვას, არამედ გამოიხატება ფაქტობრივ ქმედებაში, რომელიც ემსახურება მისი უფლების რეალიზაციას.

ამგვარად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არ აქვს მომწესრიგებელი ბუნება. სანდროს მოთხოვნა თანხის უკან დაბრუნებაზე გულისხმობს არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, არამედ ადმინისტრაციული რეალაქტის (ფაქტობრივი ქმედება) განხორციელებას. ე.ი., მმართველობითი ღონისძიება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული რეალაქტის ფორმით.

ამრიგად, სახეზეა რეალაქტი.

4. მოსარჩელის მიზანი

სარჩელის სათანადოობის წინაპირობაა ასევე, რომ მოსარჩელეს მიზანი უნდა იყოს რეალაქტის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა უარი თანხის გადახდაზე, მხოლოდ მისი ბათილად ცნობა არ მოგვცემს შედეგს.

რამდენადაც თანხის უკან დაბრუნება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული რეალაქტის ფორმით, მოსარჩელის მიზანია, სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს ასეთი მმართველობითი ღონისძიების განხორციელება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სათანადო სარჩელის სახეა – სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე (სასკ-ის 24-ე მუხლი), რომელიც ასევე მოიცავს მოთხოვნას უარის ბათილად ცნობაზე.

III. დავის გადაწყვეტის პერსპექტივა

სარჩელი ადმინისტრაციული რეალაქტის განხორციელებაზე სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე შედეგიანი იქნებოდა, თუ ის

არის დასაშვები და და საბუთებული.

1. სარჩელის დასაშვებობა

შესაძლებელია, სარჩელი იყოს დასაშვები, თუ ის აკმაყოფილებს სასკ-ის 24-ე მუხლით განსაზღვრულ სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებს.

განსახორციელებელი ღონისძიება უნდა იყოს ა. რეალაქტი და სახეზე უნდა იყოს ბ. პირდაპირი და უშუალო ზიანი. ამასთან, დაცული უნდა იყოს სარჩელის აღძვრის ვადები.

1.1. რეალაქტი

როგორც უკვე დადგინდა, სარჩელის მიზანია ადმინისტრაციული რეალაქტის განხორციელების დავალდებულება.

1.2. პირდაპირი და უშუალო ზიანი

მოსარჩელეს უნდა მიადგეს პირდაპირი და უშუალო ზიანი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქმედების განუხორციელებლობა ზღუდავს მოსარჩელის სუბიექტურ საჯარო-სამართლებრივ უფლებას. რამდენადაც მოსარჩელე არის ღონისძიების ადრესატი, ეს არის საკმარისი საფუძველი ასეთი ვარაუდისათვის.

ამგვარად, სახეზეა ეს დასაშვებობის წინაპირობა.

1.3. ხანდაზმულობის ვადები

სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადებს. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ქმედების განხორციელებაზე ასევე მოიცავს უარის ბათილად ცნობის მოთხოვნას, რაც უნდა მოხდეს ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დასაშვებობისათვის დადგენილ ერთთვიან ვადაში. კაზუსში არ იკვეთება ვადის დარღვევის პრობლემა. ამრიგად, დაცულია ხანდაზმულობის ვადა.

1.4. შუალედური დასკვნა

სახეზეა დასაშვებობის ყველა წინაპირობა. ამგვარად, სარჩელი დასაშვებია სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე.

IV. სარჩელის დასაბუთებულობა

სასკ-ის 33¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე არის დასაბუთებული, თუკი არსებობს მისი განხორციელების სამართლებრივი საფუძველი და მისი განუხორციელებლობა პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

1. კანონიერება

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება არის უკანონო, თუ ის ფორმალურად ან მატერიალურად უკანონოა.

1.1. ფორმალური კანონიერება

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება შეიძლება იყოს ფორმალურად უკანონო. ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა სახეზე, თუ კი ის არ შეესაბამება უფლებამოსილების, წარმოების სათანადო სახის და ღონისძიების ფორმის განმსაზღვრელ ნორმებს.

1.1.1. საპატრულო პილიციის უფლებამოსილება

როგორც წესი, იასა-ს აღასრულებს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში საგზაო ნიშნების განმათავსებელი (თვითმმართველობის ორგანო) და აღმასრულებელი ორგანო (საპატრულო პოლიცია) არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ, რამდენადაც საპატრულო პოლიცია არის უფლებამოსილი საგზაო მოძრაობის მონესრიგებაზე, ეს უფლებამოსილება გულისხმობს დარღვევაზე რეაგირებას და აქტის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას სზაკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ამრიგად, სახეზეა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

1.1.2. გადაწყვეტილების ფორმა

სზაკ-ის 165-ე მუხლის თანახმად, იასა-ს აღსრულების მიზნით რაიმე მოქმედების განხორციელების წინაპირობაა გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. სზაკ-ის 166-ე მუხლის მე-3 ნაწილი უშვებს გადაწყვეტილების გამოცემას ზეპირი ფორმით და დაუყოვნებელი აღსრულების დაწყებას.

ჩვენს შემთხვევაში სახეზეა აღნიშნული ნორმის მონესრიგების სფერო. რამდენადაც, ერთი მხრივ, შეუძლებელი იყო აქტის შესრულება ადრესატის მიერ (სზაკ-ის 167-ე მუხლი) და მეორე მხრივ, შესაძლებელი სხვა პირის მიერ მისი აღსრულება (სზაკ-ის 170-ე მუხლი) ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო მოეხდინა აქტის აღსრულება შპს-ისათვის დავალებით.

ამრიგად, დაცულია აქტის გამოცემის კანონით დადგენილი ფორმა.

1.1.3. ფორმალური კანონიერების სხვა წინაპირობები

ფორმალური კანონიერების სხვა ელემენტების შესამოწმებლად საჭირო ფაქტობრივი გარემოებები კაზუსში არ არის მოცემული, რაც გვაძლევს საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დაცულია ყველა წინაპირობა.

შუალედური დასკვნა. ფორმალური კანონიერების მოთხოვნები დაცულია.

1.2. მატერიალური კანონიერება

ადმინისტრაციული ორგანოს უარი თანხის უკან დაბრუნებაზე ჩაითვლება უკანონოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ის არ შეესაბამება უარის თქმის სამართლებრივ საფუძველს და სახეზეა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში.

1.2.1. მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი

სანდროს მოთხოვნის უფლება წარმოიშვება, როდესაც არ არსებობს თანხის გადახდის შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი საფუძველი, კერძო სამართლებრივი „უსაფუძვლო გამდიდრების“ ანალოგიურად. ამისათვის სახეზე უნდა იყოს ა. რაიმეს გადაცემა, ბ. ვალდებულების შესრულების მიზნით გ. შესაბამისი სამართლებრივი საფუძველის გარეშე (სსკ-ის 976 ს).

თანხის გადაცემით სანდრომ შეასრულა მისი ავტომატური გადაზიდვითა და შენახვით გამონვეული ვალდებულება, რომლის სამართლებრივი საფუძველი სახეზე იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების აქტი კანონიერი იქნებოდა.

1.2.2. აღსრულების კანონიერება

აღსრულების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს სზაკ-

ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აუცილებელი წინაპირობაა, რომ ავტომანქანის გადატანა ემსახურებოდეს პოლიციის აქტის აღსრულებას. უნდა შემოწმდეს გვაქვს თუ არა ასეთი იასა.

ეს აქტი შეიძლება იყოს ის საგზაო ნიშანი, რომელიც კრძალავს აღნიშნულ ტერიტორიაზე ავტომანქანის დაყენებას. საგზაო ნიშნის იასად მიჩნევის პრობლემატიკა არ არის აღნიშნული კაზისის ამოხსნის ფარგლებში განხილვის საგანი. იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა იასა, რომელიც კრძალავს ავტომანქანის დაყენებას, იმავდროულად ავალდებულებს იმ პირებს, ვისაც მისი ავტომანქანა ნორმის დარღვევით უყენია საკუთარი ავტომანქანა, რაც შეიძლება სწრაფად გაიყვსნონ აღნიშნული ნიშნის მოქმედების ზონიდან. ეს იქნებოდა უაზრო, მოგვეთხოვა ასეთი ვალდებულების ავტომანქანის მძღოლებისთვის ინდივიდუალური გაცნობა, შეასრულონ ეს ვალდებულება.

ამდენად, ავტომანქანის გადატანა საჯარიმო სადგომზე არის აღნიშნული იას-ს (საგზაო ნიშნის) აღსრულების საშუალება – მესამე პირისათვის დავალებით.

აღსრულების კანონიერების წინაპირობაა არა მარტო იასა-ს არსებობა, არამედ აუცილებელი, რომ ვალდებულები პირის მიმართ შესასრულებლად სავალდებულო იყოს. ეს თავის მხრივ დაკავშირებულია იასა-ს ოფიციალურ გაცნობასთან.

ტრადიციული მოსაზრების თანახმად, საგზაო ნიშნის ინდივიდუალური გაცნობა ხდება როდესაც ის ექცევა მისი მოქმედების სფეროში. საჯარო გაცნობის ფორმა დაუშვებელი და შეუძლებელია. აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, სანდროს მიმართ არ მომხდარა ინდივიდუალური გაცნობა, რამდენადაც მას თვალთ არ უნახავს ეს ნიშანი.

გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, საგზაო ნიშნების ოფიციალური გაცნობა ხდება საჯარო გაცნობის ფორმით, მისი განთავსებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ყველასათვის სავალდებულო ძალას იძენს, დამოუკიდებლად იმისა, ის გაეცნო თუ არა მას, ან კიდევ, გამოცემის დროს ახდენდა თუ არა ის მასზე ზემოქმედებას. საჯარო

გაცნობის წესით გამოცემული აქტის შესასრულებლად სავალდებულო ძალისათვის არ არის არსებითი, რომ ის გამოცემის დროს ზემოქმედებას ახდენდეს პირის უფლებებზე.

ავტომანქანის დაყენების აკრძალვა, აღნიშნული მოსაზრების თანახმად, ვრცელდება ყველას მიმართ და აგრეთვე იმ პირებზე, რომლებმაც ნიშნის დაყენებამდე კანონიერად მოახდინეს ავტომანქანის პარკირება. მათ უნდა ევარაუდათ ასეთი ცვლილება თუ არა, ან ქონდათ თუ არა გადამონმების ვალდებულება, არ არის არსებითი აქტის შესასრულებლად სავალდებულო ძალისათვის. სადავოა სასამართლო პრაქტიკის ზეგავლენა გასაჩივრების ვადის დინების დაწყებაზე. ის იწყება ის საგზაო ნიშნის დადგმით და ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც გასაჩივრების ვადებში არც კი ექცეოდნენ მისი მოქმედების სფეროში. საკითხავია ეს ხომ არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებულ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. აღნიშნული არ ქმნის პრობლემას, რამდენადაც იმ პირებს, რომელთა მიმართაც აქტი ფორმალურად იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას, აქვთ შესაძლებლობა, მოითხოვონ საპატიო მიზეზით გაშვებული ვადის აღდგენა სზაკ-ის 180-ე IV მუხლის შესაბამისად.

ამდენად, დაცულია ოფიციალური გაცნობის კანონით დადგენილი მოთხოვნა.

შესაბამისად, აღსრულების ღონისძიება არის კანონიერი.

აღსრულების ღონისძიების კანონიერება ავტომატურად არ გულისხმობს ხარჯების სანდროს მიერ ანაზღაურების ვალდებულებას.

სზაკ-ის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს პირი, რომელსაც ევალება იასა-ს შესრულება.

საგზაო ნიშანი მიმართულია ყველასკენ, ვინც ექცევა მისი მონესრიგების სფეროში. ამდენად, სანდროც მოექცა მისი მოქმედების სფეროში და ვალდებული იყო შეესრულებინა დადგენილი ვალდებულება.

აღნიშნულ ნორმამი მითითებულ ხარჯებს მიეკუთვნება ის ხარჯები, რომელიც გამონვეულია აქტის აღსრულებით მესამე პი-

რისათვის დავალებით (სზაკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში, კაზუსის ფაბულის თანახმად, შპს საპატრულო პოლიციასთან დადებული დავალების ხელშეკრულების საფუძველზე უფლებამოსილი იყო მოეთხოვა მომსახურების ხარჯები 150 ლარის ოდენობით. ამდენად, მოთხოვნის ოდენობა არ არის სადავო, რის შედეგადაც სახეზეა ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი.

გამომრიცხველი გარემოება

უნდა შემონმდეს ხომ არ არსებობს სზაკ-ის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი შემთხვევა, რომელიც სანდროს გაათავისუფლებდა გადახდის ვალდებულებისაგან. ფაბულის თანახმად არ მომხდარა აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადის დადგენა. თუმცა, ყურადსაღებია იმავე ნორმით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, რომელიც გამონვეული უნდა იყოს იმ პირის ბრალეული მოქმედებით, რომელსაც უნდა შეესრულებინა აქტით დადგენილი ქმედება, რომელმაც შესაძლოა გააბათილოს პირველი გამომრიცხავი გარემოება.

ავტომანქანა დაყენებული იქნა საგზაო ნიშნის დადგამამდე, რაც ერთი შეხედვით გამორიცხავს ავტომანქანის მძღოლის ბრალს. თუმცა, საჯარო გზებზე და ქუჩებში ავტომანქანის დაყენების დაშვებადობა იმთავითვე შეიცავს საგზაო ნიშნების შეცვლის შესაძლებლობას. სანდრო ავტომანქანის საჯარო გზაზე და არა კერძო მიწის ნაკვეთზე ავტომანქანის დატოვებით წავიდა რისკზე, რომელიც არსებობს ზოგადად. ამდენად, ივარაუდება სანდროს ბრალეულობა და არ არსებობს მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოება.

შუალედური დასკვნა: სანდროს მიერ არ მომხდარა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე თანხის გადახდა.

შესაბამისად, არ არის სახეზე უსაფუძლო გამდიდრების წინაპირობები.

1.2.3. შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში

უნდა შემონმდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღსრულების საშუალების შერჩევისას ხომ არ არის სახეზე შეცდომა

დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას სზაკ-ის ლეგალური დეფინიციის საფუძველზე. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას შეცდომას მაშინ ექნებოდა ადგილი თუ კი ის გაცდებოდა კანონით დაგენილ ფარგლებს.

აღნიშნული მსჯელობისას უნდა შემოწმდეს, დაცულია თუ არა თანაზომიერების პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, ის უნდა იყოს სათანადო აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ასევე აუცილებელი და პროპორციული.

ღონისძიება სანდროს მანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის თაობაზე ემსახურება სზაკ-ის საფუძველზე საპატრულო პოლიციის მიერ გამოცემული იასა-ს აღსრულებას, რომელიც მიმართულია მართლწესრიგის დაცვაზე. ამრიგად, სახეზეა ლეგიტიმური მიზანი.

კაზუსში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე სანდროს მანქანა გაჩერებული იყო აკრძალულ ადგილას, რითიც ირღვეოდა მართლწესრიგი. აღნიშნული დარღვევის აღმოფხვრა, მათ შორის, შესაძლებელი იყო ავტომანქანის გადატანით. ამდენად გამოყენებული ღონისძიება არის სათანადო.

გარდა ამისა, სათანადო ღონისძიება უნდა იყოს აუცილებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა არსებობდეს უფრო მსუბუქი ღონისძიება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

ფაბულის თანახმად, პოლიციამ ვერ შეძლო სანდროსთან დაკავშირება, რაც თავიდან ააცილებდა ორივე მხარეს მანქანის გადაყვანის საჭიროებას. პოლიცია ასევე არ იყო უფლებამოსილი ავტომანქანა გადაეტანა ისეთ ადგილას, სადაც დაშვებული იყო ავტომანქანის პარკირება, რამდენადაც ის იქ დაცული არ იქნებოდა. ამრიგად, უფრო მსუბუქი ღონისძიება არ არის სახეზე და ღონისძიება არის აუცილებელი.

ღონისძიება პროპორციულია, თუ დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდულს. მოცემულ შემთხვევაში ავტომანქანის გადატანის და შენახვის ხარჯები თანაზომიერ დამოკიდებულებაშია მიღწეულ მიზანთან და ის არ იწვევს სანდროს უფლების შეუსაბამოდ მძიმე შეზღუდვას. ამდენად, ღონისძიება პროპორციულია,

რითაც დაცულია თანაზომიერების პრინციპი.

ღონისძიება განხორციელებულია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

1.2.4. შუალედური დასკვნა

დაცულია მატერიალური კანონიერების კრიტერიუმები.

V. საბოლოო დასკვნა

სარჩელი არის დასაშვები, მაგრამ არა დასაბუთებული.

მექესე კაზუსი

თბილისის #7 სამხედრო ბატალიონის ჯარისკაცების დაბა ვაზიანიდან სასწავლო საწვრთნელი ბაზაზე სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში გადაიყვანა ჯარისკაცები. უკანა გზაზე, როცა ის ბრუნდებოდა, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. სერჟანტმა რევაზ ტორონჯაძემ, მართავდა რა ბატალიონის კუთვნილ ავტომანქანას, დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები. კერძოდ, მან გადააჭარბა დადგენილ სიჩქარეს, ვერ უზრუნველყო მართვა, გადავიდა გზის საპირისპირო მხარეს და დაეჯახა სოსო ჯინჭარაძის ავტომანქანას. აღნიშნული ავარიის შედეგად სოსო ჯინჭარაძის მგზავრმა გაბაშვილმა მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება. შემთხვევის ადგილზე მივიდა საპატრულო პოლიცია და დააფიქსირა ავტოავარიის შემთხვევა. გაბაშვილი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას გაუწიეს სამედიცინო დახმარება. ვინაიდან გაბაშვილს არ ჰქონდა მკურნალობისათვის საჭირო 1000 ლარი, აღნიშნული თანხა გადაიხადა სოსო ჯინჭარაძემ. ავტომანქანის შესაკეთებლად მას ასევე დასჭირდა 700 ლარი.

სოსო ჯინჭარაძემ განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვა მანქანის რემონტისა და გაბაშვილის მკურნალობისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება, რაზეც მან წერილობითი ფორმით მიიღო უარი.

დავალბა: განსაზღვრეთ უფლების დაცვის საპროცესო - სამართლებრივი საშუალება და შეამოწმეთ მისი შედეგიანობა.

კაზუსის ამოხსნა

1. უწყებრივი ქვემდებარეობა/განსჯადობა

შესაძლებელია, რომ დავა იყოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი.

სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ მუხლის შესაბამისად, აღნიშნული დავის საჯარო-სამართლებრივი შინაარსი

გამომდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან.

სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საერთო სა-სამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველია დავა, იმ სამართლებრივი ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისუფლების სამართლებრივი საფუძველი. თუკი მოთხოვნას საფუძვლად დაედება ზიანისანაზღაურების საჯაროსამართლებრივინორმა, დავა იქნება საჯარო - სამართლებრივი, ხოლო თუ საფუძვლად დაედება სამოქალაქო - სამართლებრივი ინსტიტუტი, დავა გან-სჯადობის მიხედვით იქნება სამოქალაქო - სამართლებრივი.

იმის გასარკვევად, ურთიერთობა საჯარო - სამართლებრი-ვი, თუ კერძო - სამართლებრივი ბუნებისაა, უნდა დადგინდეს სოსო ჯინჭარაძის მიერ თავდაცვის სამინისტროსათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. რამ-დენადაც ზიანის ანაზღაურების საკითხი წესრიგდება სზაკ-ის 208-ე მუხლით, ურთიერთობა არის საჯარო სამართლებრივი ბუნების.

სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო, გარ-და კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარ-ჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ სზაკ-ით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

მოსარჩელის მიერ გამოყენებულია საჩივრის ერთჯერადი წარდ-გენის უფლება, რაც გამორიცხავს უწყებრივი ქვემდებარეობით ადმინისტრაციული ორგანოს ქვემდებარეობას

სასკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ (საგნობრივად განსჯად) საქმეებს რაიონუ-ლი (საქალაქო) სასამართლო განიხილავს პირველი ინსტანციით. სასკ-ის მე-5 და მე-6 მუხლების შემონების შედეგად დგინდება, რომ საქმე განსახილველად არ ექვემდებარება მაგისტრ მოსამ-ართლეს.

დავას განსჯადობის მიხედვით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით.

ამრიგად, დავა არის საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი.

II. სარჩელის სახე

შესაძლოა სარჩელის სათანადო სახე იყოს კომბინირებული სარჩელი სასკ-ის 24-ე და 25-ე მუხლების საფუძველზე. ჯერ აღიარებითი სარჩელის ფარგლებში უნდა შემოწმდეს ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი და ამის შემდეგ უნდა იქნას მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურება მავალდებულებელი სარჩელი საფუძველზე.

III. მავალდებულებელი სარჩელი

სასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი. ამისთვის სარჩელის მიზანი უნდა იყოს რეალაქტის განხორციელება.

IV. აღიარებითი სარჩელი

1. სარჩელის დასაშვებობა

სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე შესაძლებელია იყოს დასაშვები. სარჩელი დასაშვებია თუ ის დააკმაყოფილებს სასკ-ის 25-ე მუხლით დადგენილ ელემენტებს.

სასკ-ის 25-ე მუხლის თანახმად სარჩელის დასაშვებობისათვის სახეზე უნდა იყოს უფლება ან სამართლებრივი ურთიერთობა. კაზუსის შინაარსიდან გამომდინარე, ჯინჭარაძესა და თავდაცვის სამინისტროს შორის არსებობდა სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოშობილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე (სზაკ-ის 208 მუხლი).

ასევე აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობა აღიარების მიმართ. მოსარჩელის მიზანია ზიანის მოთხოვნის უფლების არსებობის დადგენა, მისი კანონიერი ინტერესი მდგომარეობს ქმედების განხორციელების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების შექმნაში.

სასკ-ის 25-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს არ შეუძლია აღძრას სარჩელი 22-24-ე მუხლების საფუძველზე. როგორც ზემოთ დადგინდა, მოსარჩელე უფლებას ვერ დაიცავს სასკ-ის 22-23

მუხლების შესაბამისად (სასკ-ის 24-ე მუხლთან დაკავშირებული მსჯელობა იხ. ზემოთ)

სარჩელი სასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე არის დასაშვები.

2.სარჩელის დასაბუთებულობა

შესაძლებელია, რომ სარჩელი იყოს დასაბუთებული

სასკ - ის 25 - ე მუხლის თანახმად, სარჩელი დასაბუთებულია, თუ კი ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედება ზიანს აყენებს მოსარჩელეს და მას აქვს მისი ანაზღაურების მოთხოვნის კანონიერი ინტერესი.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ ხდება ზიანის მიყენების ფაქტის აღიარება, ყოველივე ეს კი ზღუდავს დაინტერესებული მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

2.1. კანონიერება

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება არის უკანონო თუ ის ფორმალურად ან მატერიალურად უკანონო.

2.1.1. ფორმალური კანონიერება

ვინაიდან კაზუსიდან არ იკვეთება ფორმალურ კანონიერებასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეები, ივარაუდება, რომ ფორმალური კანონიერება სახეზეა.

2.1.2. მატერიალური კანონიერება

შესაძლებელია, რომ მოსარჩელეს ჰქონდეს კანონიერი ინტერესი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დადგენაზე.

სზაკ-ის 208-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

როგორცზემოთ დადგინდა, რევაზი მოქმედებდა სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დასადგენად სახეზე უნდა იყოს საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჩადენილი ბრა-

ლეული ქმედება, რომელიც არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, რაც ხდება ზიანის წარმოშობის წინაპირობა (მიზეზობრივი კავშირი).

განვიხილოთ თითოეული მათგანი

2.1.2.1. საჯარო მოსამსახურე

შესაძლებელია, რომ სერჟანტი ტორონჯაძე მოქმედებდა როგორც საჯარო მოსამსახურე

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-3 მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, ასევე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია და მასში მუშაობენ საჯარო მოსამსახურეები.

როგორც კაზუსიდან ირკვევა, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის საავტომობილო ბატალიონის კუთვნილ ავტომანქანას მართავდა თავდაცვის სამინისტროს სერჟანტი რევაზ ტორონჯაძე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სამსახური ეს არის საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების იმ ორგანოებში (დაწესებულებებში) არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე საქმიანობა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა (გარდა აღნიშნული კანონით დადგენილი გამონაკლისებისა) „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს მთავრობა აღმასრულებელ

ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების მიერ. აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. ამდენად, თავდაცვის სამინისტროში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად. ამავე კანონის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე (შემდგომ მოსამსახურედ) ითვლება პირი, რომელიც ამ კანონის თანახმად, უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

სერჟანტი რევაზ ტორონჯაძე არის საჯარო მოსამსახურე.

2.1.2.2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება

როგორც ზემოთ დადგინდა, სერჟანტი ტორონჯაძე იმყოფებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში.

სზაკ-ის 208-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

2.1.2.3. ბრალი

სერჟანტ ტორონჯაძეს უნდა ემოქმედა ბრალეულად.

რამდენადაც 208-ე მუხლში არ არის მოცემული ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის დამდგენი ელემენტი, 207-ე მუხლიდან გამომდინარე ვიყენებთ სამოქალაქოკოდექსის 1005-ე მუხლს, რომლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუკი ზიანი მიყენებულია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ბრალი არის პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და მისი შედეგისადმი, ე.ი. კავშირი პირის ნებელობასა და დამდგარ შედეგს შორის. არსებობს ბრალის ორი ფორმა: განზრახვა და გაუფრთხილებლობა.

რადგან კაზუსში მოყვანილია ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტი,

ძირითადად, ავარია ხდება გაუფრთხილებელი ბრალის ფორმით. ამიტომ განვიხილოთ გაუფრთხილებელი ბრალის ფორმები.

არსებობს გაუფრთხილებლობის ორი ფორმა: თვითიმედოვნება და დაუდევრობა. თვითიმედოვნება ბრალის ისეთი ფორმაა, როდესაც პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. დაუდევრობა ბრალის ისეთი ფორმაა, როდესაც პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლოკიდეც.

იმისათვის, რომ დავადგინოთ გაუფრთხილებლობის რა ფორმა გვაქვს სახეზე, უნდა განვსაზღვროთ, პირს გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა თუ არა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და უსაფუძვლოდ ვარაუდობდა თუ არა, რომ ამ შედეგს აიცილებდა. როგორც კაზუსიდან ირკვევა, რევაზ ტორონჯაძეს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ გადააჭარბა სიჩქარეს, სიჩქარის გადაჭარბებას შეიძლება მოჰყოლოდა ავარია, მაგრამ იგი უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ რადგან გამოცდილი მძღოლი იყო, შეძლებდა ავარიის შედეგის თავიდან აცილებას. რევაზ ტორონჯაძემ არ გაითვალისწინა წინდახედულობის ნორმით აკრძალული წესები.

ამდენად, რევაზ ტორონჯაძე მოქმედებდა გაუფრთხილებელი ბრალის ფორმით-თვითიმედოვნებით.

2.1.2.4. სამსახურებრივი მოვალეობა სხვა პირის მიმართ

სახეზე უნდა იყოს, სერჟანტ რევაზ ტორონჯაძის სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა სოსო ჯინჭარაძის მიმართ.

სზაკ-ის 208-ე მუხლის თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება გულისხმობს მოვალეობის განხორციელებას მესამე პირების მიმართ.

საგზაო მოძრაობის მომწესრიგებელი ნორმა, რომლის დარღვევა

გახდა ზიანის წარმოშობის საფუძველი ითხოვს სერჟანტის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას - გადაადგილება სატრანსპორტო დასაშუალებების გამოყენებით საგზაო მოძრაობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ნორმების დაცვით. ეს ნორმა, იმავდროულად, უზრუნველყოფს ამ ურთიერთობაში მესამე პირების უსაფრთხოების დაცვას. ამდენად, სერჟანტის ამ ვალდებულებას ახასითებს მესამე პირებთან მიმართებით უფლებამოსიულების კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელების მოთხოვნა.

ამდენად, რევაზ ტორონჯაძემ დაარღვია სამსახურებრივი მოვალეობა მესამე პირის სოსო ჯინჭარაძის მიმართ.

2.1.2.5. მიზეზობრივი კავშირი

მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის სახეზე უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

მიზეზობრივი კავშირის განმსაზღვრელი ნორმაა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევად ითვლება გზის სანაპირო მხარეზე გადასვლა.

იმისათვის, რომ დადგინდეს სერჟანტი რევაზ ტორონჯაძის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის კავშირი, უნდა შევადაროთ კაზუსში მოყვანილი გარემოებების საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონის 30-ე მუხლის 1-ლ პუნქტში მოცემულ პირობებს. კაზუსიდან ირკვევა, რომ მძღოლი გადავიდა გზის სანაპირო მხარეს, ვერ უზრუნველყო მართვა და დაეჯახა საპირისპირო მიმართულებით მოძრავ სოსო ჯინჭარაძის მანქანას, რის გამოც მძღოლსა და მის მგზავრს მიადგათ ზიანი.

ამდენად, სერჟანტი რევაზ ტორონჯაძის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. კერძოდ, სერჟანტი რევაზ ტორონჯაძის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო მოხდა ავტოავარია და ზიანი მიადგა სოსო ჯინჭარაძეს.

კაზუსში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამება სზაკ-ის 208-ე მუხლით დადგენილ ელემენტებს.

2.1.2.6. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების აღიარების კანონიერი ინტერესი

მოსარჩელეს აქვს კანონიერი ინტერესი, რომელიც გულისხმობს მის უფლებას მოითხოვოს ქმედების განხორციელება - ზიანის ანაზღაურება. უფლების არსებობის დადგენა არის აუცილებელი სამართლებრივი საფუძველი ქმედების განხორციელების მოთხოვნაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ იკვეთება კომბინირებული სარჩელის საჭიროება სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის დასაშვებობის და დასაბუთებულობის შემომწმება ხდება კაზუსში მოცემული შედეგების საფუძველზე.

3. შედეგი

როგორც ზემოთ აღინიშნა, 25-ე მუხლით მიღწეული შედეგი არის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძველი.

V. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე

სარჩელი ადმინისტრაციული რეალაქტის განხორციელების თაობაზე (სასკ - ის 24-ე ე მუხლის საფუძველზე) შედეგიანი იქნებოდა, თუ ის არის დასაშვები და დასაბუთებული.

1. დასაშვებობა

შესაძლებელია, რომ სარჩელი იყოს დასაშვები.

სასკ-ის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი დასაშვებია, როდესაც პირი ითხოვს ისეთი მოქმედების განხორციელებას, რაც არ გულისხმობს აქტის გამოცემას; მოქმედების განხორციელებით ან განუხორციელებლობით გამონვეულია პირდაპირი და უშუალო ზიანი; დაცულია ხანდაზმულობის ვადები.

1.1. რეალაქტი

მოსარჩელის მოთხოვნა მანქანის რემონტსა და გაბაშვილის მკურნალობისათვის განეული ხარჯის ანაზღაურებაზე შეიძლება იყოს ადმინისტრაციული რეალაქტი.

სასკ-ის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-

მას. იმისათვის, რომ სახეზე იყოს რეალაქტი ის უნდა იყოს განხორცილებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და მას არ უნდა ჰქონდეს მომწესრიგებელი სამართლებრივი ბუნება.

1.1.1. ადმინისტრაციული ორგანო

შესაძლებელია, რომ თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი სერჟანტი ტორონჯაძის სახით იყოს ადმინისტრაციული ორგანო

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის პირი რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

ამისათვის დასადგენია ასრულებდა თუ არა სერჟანტი ტორონჯაძე სამსახურებრივ მოვალეობას, როდესაც იგი გადაადგილებოდა სატრანსპორტო საშუალებით.

სამსახურებრივ მოვალეობად ითვლება არამხოლოდ საქმიანობა სამსახურში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მთავარია, განისაზღვროს სამსახურებრივი მოვალეობის დაწყებისა და დასრულების ფარგლები. ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის ფედერალური სასამართლოს მსჯელობა მსგავს საკითხთან დაკავშირებით, რომელიც სამსახურებრივ მგზავრობას ეხება. სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, მინისტრი და მისი მრჩეველი მივლინებიდან უკან ბრუნდებოდნენ და მაშინ მოხდა ავარია, ზიანი უნდა აანაზღაუროს შესაბამისმა სამინისტრომ, ვინაიდან სამსახურებრივი მოვალეობა ჯერ არ დასრულებულა.

იმის დასადგენად, სერჟანტი რევაზ ტორონჯაძე ასრულებდა თუ არა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, ავტოსაგზაო შემთხვევის ჩადენის დროს, უნდა დადგინდეს, სამხედრო ბატალიონის წევრები სასწავლო წვრთნიდან უკან დაბრუნება ითვლება თუ არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად. გერმანიის მაგალითის გათვალისწინებით, სამსახურებრივი მგზავრობიდან უკან დაბრუნების ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ დასრულდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, რამდენადაც უკან მგზავრობაც გამომდინარეობს და მჭიდრო კავშირშია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, ამ შემთხვევაში წვრთნე-

ბში მონაწილეობასთან.

ამდენად, სერჟანტი რევაზ ტორონჯაძე ავტოავარიის ჩადენის დროს ასრულებდა თავის სამსახურებრივ ვალდებულებას.

ვინაიდან ტორონჯაძე ახორციელებდა სამსახურებრივ ვალდებულებად, მისი საქმიანობა მიიჩნევა, როგორც სამინისტროს მიერ განხორციელებულ საქმიანობად.

სახეზეა ცნების ელემენტი ადმინისტრაციული ორგანო.

1.1.2. ადმინისტრაციული კანონმდებლობა

შესაძლებელია, რომ სერჟანტ ტორონჯაძის მიერ განხორციელებული ქმედება გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საქმიანობა წესრიგდება სამხედრო მოსამსახურეების სასწავლო წვრთნების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტით, რაც თავისი ბუნებით არის ადმინისტრაციულ სამართლებრივი.

სერჟანტი ტორონჯაძე ახორციელებს რა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, გადაადგილება სატრანსპორტო საშუალებით ადმინისტრაციული სამართლის ნორმის დადგენილი ვალდებულების განხორციელების მიზნით.

სახეზეა ცნების ელემენტი ადმინისტრაციული კანონმდებლობა

1.1.3. მონესრიგება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებულ მოქმედებას, სავარაუდოდ არ აქვს მომწესრიგებელი ბუნება.

სზაკ-ის სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მმართველობითი ღონისძიება იმ შემთხვევაში არის მომწესრიგებელი ბუნების, როდესაც ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას.

ზიანის ანაზღაურების მიზნით განსახორციელებული მოქმედება არ იწვევს სერჟანტ ტორონჯაძის უფლების წარმოშობას ან შეზღუდვას, არამედ გამოიხატება ფაქტობრივი მოქმედებაში, რომელიც ემსახურება მისი უფლების რეალიზაციას.

სახეზე არ არის ცნების ელემენტი - მონესრიგება.

ჯინჭარაძის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე გულისხმობს არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, არამედ ადმინისტრაციული რეალაქტის (ფაქტობრივი მოქმედების) განხორციელებას. ე.ი. მართველობითი ღონისძიება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული რეალაქტის ფორმით.

2. მოსარჩელის მიზანი

სარჩელის სახის დადგენისათვის აუცილებელია მოსარჩელის მიზნის დადგენა, რომელიც განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რა ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგის მიღწევა სურს მოსარჩელეს.

რამდენადაც მანქანის რემონტი და მკურნალობისათვის განუეული თანხის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული რეალაქტის ფორმით, მოსარჩელის მიზანია სასამართლომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს ასეთი მმართველობითი ღონისძიების გატარება.

რამდენადაც ორგანო არ აღიარებს ზიანის არსებობას, აუცილებელი ხდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა, რაც ვერ მოხდება 24-ე მუხლის საფუძველზე.

სარჩელის სათანადო სახე შესაძლოა იყოს სასკ-ის 22-ე მუხლით დადგენილი სარჩელი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნული სარჩელი შედეგადად იქნებოდა, თუ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დადგინდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით და მისი ბათილად ცნობა იქნებოდა ზიანის ანაზღაურების საფუძველი, რაც მოგვცემდა საშუალებას, მოგვეთხოვა განუეული ხარჯის ანაზღაურება. როდესაც სოსო ჯინჭარაძემ განცხადებით მიმართა თავდაცვის სამინისტროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ამ უკანასკნელმა არ აღიარა არსებული ფაქტი და უარი განაცხადა თანხის გაღებაზე. ამდენად, სასკ - ის 22 -ე მუხლის საფუძველზე შეუძლებელია მიზნის მიღწევა.

სარჩელის სათანადო სახე შესაძლოა იყოს სასაკ-ის 23-ე მუხლით

დადგენილი სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე. აღნიშნული სარჩელი შედეგს მოგვცემდა, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების აუცილებელი წინაპირობა იქნებოდა ასეთი აქტის გამოცემა. სადავო ურთიერთობასთან მიმართებით, სახეზე არ გვაქვს ასეთი მოწესრიგება.

რამდენადაც, გამოირიცხა სასკ-ის 22-ე და 23-ე მუხლები, უნდა შემოწმდეს სასკ-ის 25 - ე მუხლი, რომლის თავისებურება არის ის, რომ როდესაც უფლების დაცვა ვერ ხორციელდება სასკ-ის 22 - 24 - ე მუხლებით, სწორედ ზემოაღნიშნული მუხლი გამოიყენება.

მოსარჩელის მიზანი მიიღწევა სასკ-ის 25-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების აღიარებით, რომლის საფუძველზეც 24-ე მუხლის შესაბამისად შესაძლებელი გახდება ქმედების განხორციელების მოთხოვნა (კომბინირებული სარჩელი).

1.2. პირდაპირი და უშუალო ზიანი

სასკ-ის 25-ე მუხლით დადგენილი სარჩელის ფარგლებში დადგენილია ზიანის ვარაუდისათვის საკმარისი საფუძველები.

1.3. ხანდაზმულობის ვადები

კოდექსი არ ითვალისწინებს გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადებს, მაგრამ რამდენადაც სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ქმედების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, აუცილებელი ხდება ამ უარის კანონიერების შემოწმება. სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მოქმედების განხორციელების მოთხოვნის დასაბუთებულობის შემოწმება მოიცავს უარის კანონიერების შემოწმებას, ამდენად აუცილებელი ხდება უარის ბათილად ცნობისათვის სასკ-ის 22-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დაცვა.

ეს განპირობებულია კონკრეტული დავის თავისებურებით. სასკ-ის 24-ე მუხლი არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადებს, როდესაც არ გვაქვს სახეზე ადმინისტრაციული ორგანოს უარი ქმედების განხორციელებაზე ან როდესაც სახეზე გვაქვს უმოქმედობით უარი (ფიქცია). რამდენადაც აღნიშნულ დავაში გამოი-

ცა იას-ა მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე, აუცილებელი გახდა სასკ-ის 22-ე მუხლის გამოყენება. სარჩელის მიზნიდან გამომდინარე სარჩელი წარდგენილია 24-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ასევე მოიცავს სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახისთვის დადგენილ მოთხოვნებს. არსებობს მოსაზრება, რომ სასკ-ის 24-ე მუხლზე არ უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ვადები იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა იას-ი ქმედების განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე.

1.4. შუალედური დასკვნა

სარჩელი სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე არის დასაშვები.

2. სარჩელის დასაბუთებულობა

შესაძლებელია რომ სარჩელი იყოს დასაბუთებული.

სასკ-ის 33-ე მუხლის თანახმად სასკ-ის 24-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელი არის დასაბუთებული თუ კი ქმედების განხორციელებაზე უარი არის უკანონო და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

2.1. უარის უკანონობა

უარის უკანონობა დადგენილია სასკ-ის 25-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის შემონმების ფარგლებში.

2.2. პირდაპირი და უშუალო ზიანი

რამდენადაც ტორონჯაძე არის ღონისძიების ადრესატი მის მიმართ დამდგარი პირდაპირი და უშუალო ზიანი იკვეთება სასკ-ის 25-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის შემონმების ფარგლებში.

2.3. შუალედური დასკვნა

სარჩელი არის დასაბუთებული

VI. საბოლოო დასკვნა

რამდენადაც სარჩელი არის დასაშვები და დასაბუთებული სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობაზე (აღიარება), აგრეთვე მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვე-

ტიელბის ბათილად ცნობის თაობაზე და ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების (ზიანის ანაზღაურების) დავალდებულების თაობაზე.



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

